# ოცდამეერთე საუკუნის დადგომამდე დარჩა 16 დღე

პრეზიდენტი

## პრობლემის გადაჭრის საბოლოო ვადად 2001 წლის იანვარი დათქვეს

14 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო კომპანია „გლენკორ ინტერნეიშნლ ა. გ."-ს ვიცეპრეზიდენტი პოლ ვილერი.

საქართველოს მხარეს, ისევე როგორც „გლენკორის" წარმომადგენლობას, ვიზიტის მთავარ მიზნად მიაჩნია დაგროვილი სერიოზული პრობლემების გამო შექმნილი მდგომარეობის გადაუდებელი შეფასება და ისეთ ურთიერთობათა განსაზღვრა, რომელიც მომგებიანი იქნება ყველა მონაწილე მხარისათვის და, რაც მთავარია, ორიენტირებული იქნება მომავლის ინტერესებზე.

კომპანია „გლენკორმა" პარტნიორული ურთიერთობა სააქციო საზოგადოება „მადნეულთან" დაამყარა მაშინ, როდესაც აღნიშნული წარმოება ტექნიკური თვალსაზრისით, პრაქტიკულად, ბანკროტი იყო. „გლენკორის" მიერ მოზიდულმა ინვესტიციებმა, სხვა ღონისძიებებთან ერთად წარმოება კრიზისიდან გამოიყვანა. გარდა ამისა, 2000 წლის მარტიდან დღემდე „მადნეულში" განხორციელებული მენეჯმენტი, პოლ ვილერის აზრით, ძალზე ეფექტიანია. ამის მიუხედავად, წლების განმავლობაში დაგროვილი უამრავი პრობლემა „მადნეულს" კვლავაც ფინანსურ ჩიხში მოქცევის საფრთხეს უქმნის.

იხ. მე-2 გვ.



თანადგომა

## კეთილი ნების გამოხატულება

წლევანდელმა გვალვებმა განსაკუთრებული პრობლემები შეუქმნა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას, მაგრამ განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობა ამ მხრივ აღმოსავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში აღინიშნა.

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ძალისხმევით უცხოეთის არაერთმა ქვეყანამ გამოგვიწოდა დახმარების ხელი. აღსანიშნავია ამ მხრივ მსოფლიო ორგანიზაციების, კერძოდ, სურსათისა და სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ორგანიზაციისა და მსოფლიოს სასურსათო პროგრამის თანადგომა, რამაც გადაწყვიტა კიდეც საქართველოსათვის კვების პროდუქტებისა და თესლეულის გამოგზავნის საკითხი.

საქართველოს პრეზიდენტის წერილს შესაბამისი რეაგირება მოჰყვა ევროპის კომისიის მხრიდანაც, რომელმაც ჰუმანიტარული ოფისის საშუალება დაიწყო 0,4 მილიონი ეკიუს გამოყოფა აღმოსავლეთ საქართველოს გვალვით დაზარალებული ოჯახებისათვის, რომლებიც ხორბლის თესლით მომარაგდებიან.

საქართველოს პრეზიდენტის კეთილი ნების გამოხატულების შედეგად, 0,2 მილიონი ეკიუ გამოეყო ცხინვალის რეგიონის მოსახლეობას თესლისა და საქონლის საკვების შესაძენად.

ყოველივე ამას იტყობინება ევროპის კომისიის თავმჯდომარე რომანო პროდი საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძისათვის ახლახან გამოგზავნილ წერილში.

საქინფორმი.

ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/sakartvelos-respublika

ოთხ დღეში გაზეთს ინტერნეტში გაეცნო 6952 მკითხველი. მათ შორის, 59% აშშ-დან, 32% – საქართველოდან.

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №326 (3727) პარასკევი, 15 დეკემბერი, 2000 წელი. ფასი 50 თეთრი.

პარლამენტის თავმჯდომარე

## მნიშვნელოვანი ეტაპის დასაწყისი



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია გუშინ შეხვდა კომპანია „ბრიტიშ პეტროლიუმის" ვიცეპრეზიდენტს, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენის პროექტის წარმომადგენელს რეფ დივინსსა და ამავე კომპანიის გენერალურ მენეჯერს საქართველოში ენდრიუ ბეინდს.

სტუმრებმა პარლამენტის თავმჯდომარეს საქართველოს ნავთობსადენის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტთან გიორგი ჭანტურიასთან ერთად წარუდგინეს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენის ათკილომეტრიანი დერეფნის ძირითადი მონაკვეთები და მათი ტექნიკური მახასიათებლები.

იხ. მე-2 გვ.

გუშინ

## კოდორის ხეობიდან თბილისში ჩამოვიდნენ გაეროს გათავისუფლებული მეთვალყურეები

14 დეკემბერს, საღამოს, კოდორის ხეობიდან თბილისში საქართველოს სასაზღვრო დეპარტამენტის ვერტმფრენით ჩამოიყვანეს გაეროს სამხედრო მეთვალყურეთა მისიის სოხუმის ოფისის ორი ოფიცერი – საბერძნეთის სამხედრო ძალების კაპიტანი ევსტაფიოს კოგილიდისი და პოლონეთის სამხედრო ძალების პოდპოლკოვნიკი ზბიგნევ ლეხაჩი. თბილისში მათთან ერთად ჩამოვიდა საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული კოდორის ხეობაში ემზარ კვიციანი, რომელიც 12-13 დეკემბერს მოლაპარაკებას ეწეოდა გამტაცებლებთან.



თბილისში ჩამოსულმა ზბიგნევ ლეხაჩმა განაცხადა, რომ გამტაცებლები მათ „ნორმალურად ექცეოდნენ, არ სცემდნენ და კარგად აჭმევდნენ". როგორც მან თქვა, სამი დღის განმავლობაში ისინი „რაღაც შენობაში ჰყავდათ". შენობაში შესვლისა და იქიდან გამოსვლის დროს მათ თვალებს უხვევდნენ. ზბიგნევ ლეხაჩმა აღნიშნა, რომ ისინი 10 დეკემბერს გაიტაცა ხუთმა შეიარაღებულმა პირმა.





გაეროს მისიიდან მიღებული ინფორმაციით, გაეროს გათავისუფლებულ ოფიცრებს მისცემენ შვებულებას და მათ შეეძლებათ ცოტა დაისვენონ და სამშობლო მოინახულონ.

საქინფორმი.

გიხაროდენ!

## ფოთში ხომტარიებს მეოთხე შვილი შეეძინათ



საპორტო ქალაქში ყოველი ახალი ჩვილის მემომატება სიხარულია. ტაბიძის ქუჩაზე მცხოვრებ ხათუნა ლუკავასა და მერაბ ხომტარიას ამ დღეებში მეოთხე შვილი შეეძინათ. ბიჭს ლევანი დაარქვეს; მერაბი მრავალშვილიანი ოჯახიდანაა, სამ დას ერთი ძმა ჰყავს; როგორც ვხედავთ, ტრადიციებს არც ის ღალატობს და დღეს მეოთხე ვაჟის დაბადებით ხარობს.

ხომტარიების მრავალშვილიან ოჯახში საზეიმო განწყობილებაა, – შინ სიხარულით ელოდებიან პატარას ორი წლის ნათია და ტყუპები – გიორგი და გურამი. ხათუნასა და მერაბის ახალგაზრდა ოჯახი XXI საუკუნეს ნამრავლით მეხვდება.

**სიხარული არ მოკლებოდეს მათ ოჯახს!**

ნანა ხომტარია, ფოთი.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

წუხელ

## მიწისძვრა თბილისში

**გუშინ დაახლოებით 19.50 საათზე თბილისში მიწისძვრა დაფიქსირდა.**

სეისმოლოგიური ობსერვატორიის დირექტორის ავთანდილ ახალბედაშვილის თქმით, მიწისძვრის ეპიცენტრი თბილისში, კერძოდ, გლდანის რაიონის მიმართულებით იყო და მისმა სიმძლავრემ დაახლოებით 5 ბალი შეადგინა.

საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ოთარ ტაველიშვილმა სომხეთის სეისმოლოგიურ ცენტრზე დაყრდნობით განაცხადა, რომ მიწისძვრის ეპიცენტრი საქართველო-სომხეთის საზღვრიდან მარნეულის მიმართულებით 10 კილომეტრში დაფიქსირდა. ბიძგების სიმძლავრე ეპიცენტრში 5 ბალი იყო, ხოლო თბილისში – 4. დეპარტამენტის ინფორმაციით, მიწისძვრას მსხვერპლი და ნგრევა არ მოჰყოლია.

– მიწისძვრისას პრეზიდენტი სახელმწიფო კანცელარიაში იმყოფებოდა და სამუშაო ადგილი არ დაუტოვებია, – განუცხადა „იპრინდას" პრემიერის პრესმდივანმა კახა იმნაძემ.

მიწისძვრის ბიძგების მიუხედავად, მეტროპოლიტენი ჩვეული რეჟიმით მუშაობდა. თუმცა, დედაქალაქში სატელეფონო კავშირი დაირღვა და მისი აღდგენა ერთი საათის შემდეგ მოხერხდა.

იპრინდა.

დღის თემა

## ჯორჯ ბუში აშშ პრეზიდენტია

რესპუბლიკელი ჯორჯ ბუში გახდა შეერთებული შტატების 43-ე პრეზიდენტი – უპრეცედენტო ხანგრძლივობისა და დაძაბულობის წინასაარჩევნო კამპანიისა და მარათონული ხმის დათვლის შემდეგ. მან მიმართა ამერიკელ ერს, ქვეყანას შერიგება მოუწოდა და განაცხადა, რომ არ აპირებს გულში ჩაიტოვოს უკანასკნელი რამდენიმე კვირის ტკივილი და წყენა. ბუშმა ილაპარაკა თავისი პრეზიდენტობის პრიორიტეტებზე, მათ შორის, განათლების სისტემის, გადასახადის შემცირებისა და თავდაცვის პრობლემებზე, და გამოთქვა იმედი, რომ ყველასთან შეძლებს საერთო ენის გამონახვას იმ საკითხებზე, რომლებიც ღრმა უთანხმოებებს იწვევდა. იქამდე ცოტა ხნით ადრე ტელევიზიით გამოვიდა ალ გორი და აღიარა თავისი დამარცხება. მან ბუშს გამარჯვება მიულოცა და შესთავაზა გვერდზე გადადონ პარტიული ინტერესები და შეხვდნენ ერთმანეთს, აგრეთვე, მოუწოდა ამერიკელებს, გაერთიანდნენ ახალი პრეზიდენტის მეთაურობით.



რეპლიკა

## აი, სამჯერ არ ვუპასუხე...

**კი ვაპირებდი, არ დავიფიცებ, სერიოზულად მეპასუხა „ალიას" ჟურნალისტისთვის წერილისა გამო – „საქართველოს დამოუკიდებლობას ხუთი თვე დარჩა". ამ სათაურის** ქართულით დამეწყო, „სპექტრის ერთსულოვნებით" გამეგრძელებინა და, რბილად რომ ვთქვათ, ამ პუბლიკაციის ალოგიკურობანი მკითხველისთვის ხელის გულზე დამედო, მაგრამ დავემსგავსებოდი მაშინ პარლამენტის რინგზე საჩხუბრად ასულ დეპუტატს და სასაცილოდ ამიგდებდნენ: სხვა საქმე არ ჰქონდაო?

ამიტომ არ ვუპასუხებ.

როცა პოლიტიკური ცხოვრების მაღალი მატერიების „გარჩევის" პრეტენზიის მქონე კაცს გერმანისტი გერმანულის მცოდნე ჰგონია და სხვა არაფერი, რა სახარებაც უნდა წაიკითხო მის თავზე, იგი მაინც უცოდინარობის ტყეში გაიქცევა.

ან რომელი მღვდელი მე ვარ, თავზე კალთა გადავაფარო?

როცა კაცი წაიქილიკებს: „ოფიციალური პრესა იუწყება: არსენიშვილი დარწმუნებულია, რომ თუ მოგვარდება ეკონომიკური პრობლემები საქართველოსა და რუსეთის შორის, პოლიტიკურიც მოწესრიგდება". საინტერესოა, როდის დაშორდა ეს ორი რამ ერთმანეთს და როდის მერე გამორიცხავენ (?!) ერთმანეთს?"

იხ. მე-2 გვ.

რეპლიკა

## ჰქენით სიკეთე, ბატონო ჯაბა!..

**ყურადღებით წავიკითხეთ გაზეთ „დრონში" (14.XII. №146) ბატონ ჯაბა იოსელიანის „წერილი მასმედიას".**

არ დავმალავთ, რომ ამ ყურადღებას უფრო იმის მოლოდინი განაპირობებდა, თუ რა შეიძლებოდა ეთქვა საქართველოში ცნობილ ამ კაცს დღეს მკითხველებისთვის, მათ შორის (მისამართის შესაბამისად), მასმედიის წარმომადგენლებისთვის.

ყურადღებით კი წავიკითხეთ, მაგრამ საყურადღებო, სამწუხაროდ, ვერაფერი ამოვიკითხეთ, გარდა დასასრულს ერთობ შეუფარავი მუქარამოწოდებისა, – საქართველოში დიქტატურა დიდხანს ვერ იბოგინებსო („უზურპატორი" და „ტირანი" დასახელებული არ არის, ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარისა არ იყოს).

მაინც რას გვამცნობს „მხედრიონის" მამამძუძე ჯაბა იოსელიანი ამ ერცელ უსტარ-მიმართვაში?

იგი „კრიტიკულად" მიმოიხილავს დღეს დამკვიდრებულ მოარულ ცნებას – „სტაბილიზაციას" და ათასმერთედ იმეორებს იმას, რაც მანამდე თქვეს ყველა ჯურის ლიბერალიანებმა, გაგნიძეებმა და სხვებმა: რომ დღეს „ღრმა ეკონომიკური კრიზისია", რომ ქვეყნის გარეთ გახიზნულია „მოსახლეობის მეოთხედი, რითაც ჩანაგდება ერის გენოფონდი", რომ გვაქვს „პოლიტიკური სახელმწიფო", რომ „არქიმაფიოზური ოლიგარქიაა", რომ „მმართველობა ბიუროკრატიულია", „კრიმინალურია", ჰყვავის „პოლიტიკური ტარტიუფიზმი", „ტოტალიტარიზმი", „საზოგადოებრივი ქაოსი" და ა. შ. და ა. შ.

ერთი სიტყვით, გაცვეთილი ტრაფარეტული ლანძღვაა არსებული ხელისუფლებისა და მეტი არაფერი.

არადა, რაღაც სხვას ველოდით კაცისგან, რომლის პოლიტიკურ არენაზე ყოფნასაც ესოდენი კატაკლიზმები მოჰყვა ერის ცხოვრებაში. მისი ხელახალი გამოჩენა თითქოს რაღაც ახალი საკმაზით უნდა შეკმაზულიყო.

იხ. მე-2 გვ.

ჟურნალისტის უბის წიგნაკიდან

## ათასად კაცი დაფასდა...

### ჩვენი დროის პარადოქსები

ჟურნალისტიკა ის პროფესიაა, რომლის თვალსაწიერიდან ჩინებულად მოჩანს ნებისმიერი ხელისუფალი. თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგიერთი შორიდან არნახულად ბრწყინავს კიდეც, მაგრამ საკმარისია მიუახლოვდე და, ხიბლს დაკარგავს.

ნოდარ დუმბაძე ამბობდა, ადამიანი ფრესკა არ არის და რომ შეაფასო, ერთი კუთხიდან კი არ უნდა უცქირო, გარს უნდა შემოუარო და იმ მხრიდან დაინახო, რომლიდანაც უკეთ მოჩანსო. მაგრამ... ბევრი არც ამ მეგონების სტანდარტში რომ არ ჯდება? უარე გარშემო, რამდენიც გინდა: „კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოსდინდების"...

მოირგებს თუ არა სავარძელს სხვადასხვა გზით აღზევებული ზოგ-ზოგიერთი, პირველი, რასაც ივიწყებს, თავისი ბუნებრივი მდგომარეობაა. ისე კადნიერდება, ქედმაღლობს და ყოყლოჩინობს, თითქოს ყველანაირი სიკეთე, რაც ამ ქვეყნად ადამიანთათვის არის განკუთვნილი, მხოლოდ მას ეკუთვნის.

იხ. მე-4 გვ.

ინფორმაცია

### მუშა ჯგუფის შეხვედრა სოხუმში

აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკოორდინაციო საბჭოს უსაფრთხოების ზომების საკითხებზე მომუშავე პირველი სამუშაო ჯგუფის მეექვსე სესია გაიმართა ოთხშაბათს, 13 დეკემბერს გაეროს დამკვირვებელთა მისიის სოხუმის ოფისში.

სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა დიტერ ბოდენმა, საქართველოს საგანგებო დავალებათა მინისტრმა მალხაზ კაკაბაძემ და დსთ კოლექტიური სამშვიდობო ძალების მთავარსარდალმა, გენერალ-ლეიტენანტმა სერგეი კოროზკომ. ქართულ დელეგაციას ხელმძღვანელობდა დაზვერვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ავთანდილ იოსელიანი, ხოლო აფხაზური მხარის დელეგაციას – თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე გივი აგრბა.

პირველი სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე განიხილეს მოსკოვში 1994 წელს ხელმოწერილი ცეცხლის შეწყვეტის და ძალთა დაშორიშორების შესახებ შეთანხმების დარღვევის შემთხვევები და გაეროს დამკვირვებელთა თავისუფალ გადაადგილებასთან დაკავშირებული პრობლემები, ტექნიკური საკითხები, რომლებიც შეეხება უსაფრთხოების ზონის საზღვრების შესაძლო გადაწევას და ცეცხლის შეწყვეტის, ანუ გამყოფი ხაზის გადაკვეთის კონტროლს, კოდორის ხეობაში შექმნილ სიტუაციას.

### მოსკოვში. დსთ ეკონომიკური საბჭოს სხდომაზე

დღეს მოსკოვში დსთ ეკონომიკური საბჭოს მეექვსე სხდომა გაიმართება, რომლის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ლევან ძნელაძე.

დღის წესრიგის თანახმად, სხდომის მონაწილეები მოისმენენ ინფორმაციას ორმხრივ მოლაპარაკებებზე დსთ ფარგლებში თავისუფალი ვაჭრობიდან ამოღებათა სიების შესახებ, განიხილავენ სახელმწიფოთაშორისი და სამთავრობათაშორისო დოკუმენტის ძალაში შესვლის საკითხს, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს თავისუფალი სავაჭრო ზონების ფორმირებას, საკითხებს – შრომის საერთო ბაზრის ჩამოყალიბების კონცეფციისა და მუშახელის მიგრაციის პროცესის დარეგულირების შესახებ, სახიფათო ობიექტებზე საწარმოო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით თანამშრომლობის შესახებ და სხვა.

### განიხილავენ სატარიფო პოლიტიკას

გუშინ ბაქოში დაიწყო ტრასეკას წევრი ქვეყნების ტრანსპორტის მინისტრების შეხვედრა.

შეხვედრაში ქართული მხრიდან მონაწილეობს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრი მერაბ ადეიშვილი.

შეხვედრაში მხარეები ძირითადად ევროაზიული დერეფნის ფუნქციონირების საკითხებს განიხილავენ, მათ შორის, ტვირთების გადაზიდვის სატარიფო პოლიტიკას. წინასწარი მონაცემებით, შეხვედრა 15 დეკემბერსაც გაგრძელდება და ხელი მოეწერება ოქმს.

### მე-9 და მე-10 ბლოკები მუშაობს

თბოსადგურ „AES მტკვარში" ამჟამად ორივე – მე-9 და მე-10 ენერგობლოკები გამართულად მუშაობს და ჯამში 400 მეგავატი სიმძლავრის ელექტროენერგიას გამოიმუშავებს, – აცნობეს პრაიმ-ნიუსს „AES მტკვარში".

მათი ინფორმაციით, მე-9 ენერგობლოკი, რომელიც დაზიანების გამო რამდენიმე დღის წინათ გამოირთო, ოთხშაბათს საღამოს კვლავ ჩაირთო.

თბოსადგური „AES მტკვარი", რომელიც 300 მეგავატი სიმძლავრის მე-9 და მე-10 ენერგობლოკების ბაზაზე ჩამოყალიბდა, ამერიკული კომპანია AES-ის კუთვნილებაა.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: იპრინდამ და პრაიმ-ნიუსმა.

ტრანსპორტი

## სახელმწიფომ მთლიანად გაასწორა მეტროპოლიტენთან სამგზავრო ბილეთების ანგარიში

წლეულს რვაჯერ გაჩერდა მეტროს მატარებლები ელექტროენერგიის მოულოდნელი გამორთვის გამო. საერთო ანგარიშით, მატარებლები ათ საათზე მეტ ხანს მოცდა.

– გაისად მეტროპოლიტენს 35 წელი უსრულდება, – თქვა მეტროპოლიტენის სამმართველოს უფროსმა გურამ გაბუნიამ, – ამ ხნის განმავლობაში მოწყობილობა დაძველდა, საჭიროა კაპიტალური რემონტი. სრულ რეკონსტრუქციას, სულ ცოტა, 40 მილიონი დოლარი დასჭირდება. მაგრამ ინვესტიციების მოზიდვა მჭიდროდ არის დაკავშირებული პრივატიზაციასთან, ეს კი ჯერჯერობით არ დგას დღის წესრიგში. მართალია, მსოფლიო ბანკი მომავალი წლისთვის დაგვპირდა, რომ გამოყოფს 3,5 მილიონ დოლარს კრედიტის სახით, მაგრამ ამ ფულით მხოლოდ აუცილებელი სამუშაოების შესრულებას შევძლებთ.

შარშან სახელმწიფომ იმ სამგზავრო ბილეთების ღირებულების ნახევარი დაფარა, რომლებიც შეიძინა შეღავათებით მოსარგებლეთათვის. ამის შედეგად მეტროპოლიტენმა 9 მილიონი ლარი იზარალა. წლეულს ეს თანხა მთლიანად დაიფარა.

საქინფორმი.

უკანასკნელ საათს

**აშშ** 42-ე პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა, რომელიც დიდ ბრიტანეთში ვიზიტად იმყოფება, საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება მიულოცა ჯორჯ ბუშს.



**ექსპერტების** მოსაზრებით, ჯორჯ ბუში თავისი პრეზიდენტობისას დაემსგავსება არა მამამისს – ჯორჯ ბუშ უფროსს, არამედ მის წინამორბედს, მე-40 პრეზიდენტს რონალდ რეიგანს.



ამინდი დღეს

დასავლეთ საქართველოში
ტაბლოზში: ღამით +1+6; დღისით +5+10.
მთაში: ღამით -2+3; დღისით +1+6.

აღმოსავლეთ საქართველოში
ბარში: ღამით 0+5; დღისით +3+8.
მთაში: ღამით -3+2; დღისით 0+5.

თბილისში
ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, სუსტი ქარი.
ღამით +2+4; დღისით +6+8.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

ლარის კურსი

15 დეკემბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. | 1 | 2.8945 ლარი |
| გერმანული მარკა | 1 | 0.8918 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1.9850 ლარი |
| ევრო | 1 | 1.7442 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0710 ლარი |

ინტერპანორამა

**„აშშ** 43-ე პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს რფ პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა საპრეზიდენტო საჩუქარი გაუკეთა", – ასე შეაფასეს ჟურნალისტებმა პუტინის მიერ აშშ მოქალაქის ედმონდ პოუპის შეწყალების ფაქტი.



**კუბაში** ოფიციალურ ვიზიტად მყოფმა რფ პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა პრეზიდენტი ფიდელ კასტრო რუსი რუსეთში მიიპატიჟა.



**ესპანელი** მონაცემებით, ეჭვს აღარ იწვევს მედია-მაგნატის ვლადიმერ გუსინსკის ექსტრადიცია რუსეთში – ესპანეთის მართლმსაჯულებამ იგი სისხლის სამართლის დამნაშავედ ცნო.



**დღეს** რფ სახელმწიფო სათათბირო განიხილავს პროლეტარიატის ბელადის ვლადიმერ ლენინის ცხედრის მავზოლეუმიდან გამოტანის საკითხს.



„საქართველოს რესპუბლიკა" – ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების" თვითმფრინავებში.

**პრეზიდენტი**

# პრობლემის გადაჭრის საბოლოო ვადად 2001 წლის იანვარი დათქვეს

**(პირველი გვერდიდან)**

ასე, მაგალითად: ერთობლივ საწარმო „კვარციტს,“ რომლის 50 პროცენტს სწორედ „მადნეული“ ფლობს, დღემდე „მადნეულისათვის“ არავითარი მოგება არ მოუტანია. ბოლო თვეების განმავლობაში კი სააქციო საზოგადოება „მადნეულმა“ „გლენკორის“ მხარდაჭერით დააფინანსა „კვარციტის“ საქმიანობა იმისათვის, რომ ეს საწარმო საერთოდ არ გაჩერებულიყო, რაც, თავის მხრივ, გაჩერებული საწარმოს პრობლემებზე რომ არაფერი ვთქვათ, უმძიმეს ეკოლოგიურ ვითარებას შექმნიდა. ამასთან, არსებული ფინანსური პრობლემები კიდევ უფრო დაამძიმებდა მდგომარეობას „მადნეულში“.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, უახლოეს დღეებში მიღებული უნდა იყოს გადაწყვეტილება „მადნეულის“ საწყობებში დაცული ოქროს მარაგის რეალიზაციის შესახებ იმ პირობებით, რომელთაც ქართული მხარე აყენებს და გამართლებულია იურიდიული თვალსაზრისითაც. ოქროს რეალიზაციის შედეგად საქართველოს ბანკებში აკუმულირებული თანხები კი საწარმოს რეაბილიტაციას მოხმარდება.

„გლენკორის“ ვიცეპრეზიდენტის შეფასებით, იანვრამდე ამ პრობლემის გადაჭრის გზა თუ არ მოიძებნა, მაშინ „მადნეულის“ ფინანსური მდგომარეობა კრიზისულ ზღვარს მიაღწევს. შეხვედრაზე კრიზისული მდგომარეობის საბოლოო ვადად იანვარი დათქვეს.

შეხვედრაზე, აგრეთვე, ილაპარაკეს იმ სამომავლო პროექტებზე, რომლებიც, ერთნაირად აინტერესებს როგორც „გლენკორის“, ისე საქართველოს მხარეს. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი სასარგებლო წიაღისეულით მოვაჭრე შვეიცარიული კომპანია „გლენკორი“ მზად არის საქართველოში სერიოზული კაპიტალის დასაბანდებლად.

**სახელმწიფო საინფორმაციო სამსახური-საქინფორმი.**



# კლიმატის ჭირვეულობას ყველა ქვეყანა მომზადებული უნდა შეხვდეს

მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია, რომლის კონვენციასაც საქართველო 1994 წელს შეუერთდა, ჩვენს ქვეყანაში 17 პროექტს ახორციელებს. მათ შორის არის პროექტები, რომლებიც ითვალისწინებს სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოებას, სატელეკომუნიკაციო სისტემების შექმნას, მეტეოროლოგიურ სამსახურებთან ურთიერთობასა და ადგილობრივი კადრების მომზადებას. 14 დეკემბერს თბილისში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია — „ტრასეკას ჰიდრომეტეოროლოგიური უსაფრთხოება“, რომელიც მიეძღვნა ტრასეკას სივრცეში მეტეოროლოგიური მომსახურების სრულყოფას.

მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა გოდვინ ობასმა იმავე დღეს საქართველოს პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ ტრასეკას სივრცეში ჰიდრომეტეოროლოგიური უსაფრთხოების დაცვა ეკონომიკურ დივიდენდებს მოიტანს, რადგანაც უკეთ იქნება დაზღვეული ტრასეკას ქვეყნების მოსახლეობის სიცოცხლეცა და ქონებაც.

გოდვინ ობასის ინფორმაციით, ბოლო წლებში მსოფლიოში გლობალური დათბობის პროცესი მიმდინარეობს. 1998 წელი, ბოლო 600 წლის განმავლობაში, ყველაზე თბილი წელიწადი იყო, ხოლო მომდევნო წლები ბოლო 400 წლის მანძილზე ყველაზე მაღალი ტემპერატურით გამოირჩევა. სპეციალისტთა პროგნოზით, დამდეგი საუკუნე კლიმატის მკვეთრი ცვალებადობით სრულიად გამორჩეული იქნება. ამიტომაც მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის გენერალური მდივანი ყველა სახელმწიფოს, მათ შორის, საქართველოსაც, ურჩევს, გააძლიერონ თავიანთი მეტეოროლოგიური სამსახურები. თავად ორგანიზაცია, რომელსაც არსებობის 50 წელი შეუსრულდა, კვლავ ჰპირდება საქართველოს ამ მხრივ აქტიურ მხარდაჭერას.

საქართველოს პრეზიდენტის მოსაზრებით, სასურველია ამ უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემით დაინტერესდეს გაერო, როგორც ყველაზე მასშტაბური და ძლიერი საერთაშორისო ორგანიზაცია, და მეტეოროლოგიური პროგნოზირების სამსახურის გაძლიერების საკითხს სპეციალური ასამბლეა მიუძღვნას. რაც შეეხება ტრასეკას სივრცეს, აქ, ედუარდ შევარდნაძის აზრით, მიზანშეწონილია შეიქმნას შესაბამისი ცენტრი, რომლის ადგილსამყოფელი, გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, შესაძლოა სწორედ თბილისი იყოს.

საქართველოს პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა სტუმარს იმ ქმედითი დახმარებისათვის, რომელსაც საქართველოს მეტეოროლოგიური სამსახური იღებს მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციისაგან და იმედი გამოთქვა, რომ თანამშრომლობა კვლავაც აქტიურად გაგრძელდება.

**საქართველოს სახელმწიფო საინფორმაციო სამსახური-საქინფორმი.**

**დაჯილდოება**

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2000 წლის 10 დეკემბერი ქ. თბილისი

### საქართველოს კულტურის სფეროს მუშაკთა ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართული თეატრალური და საესტრადო ხელოვნების განვითარებაში, მის პოპულარიზაციასა და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ნაყოფიერი პედაგოგიური, შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ღირსების ორდენით დაჯილდოვდნენ საქართველოს კულტურის სფეროს მუშაკები:

**ალბერტ არევაძე** – საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი; **გიორგი ბულაძე** – თვითნასწავლი კომპოზიტორი და მომღერალი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე; **ხვთისო მესხიძე** – თბილისის მერიის კულტურის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი; **ია ნინიძე** – მოსკოვის გრ. გურევიჩის სახელობის მუსიკალურ თეატრ „ღამურას“ წამყვანი მსახიობი; **კუკური ომხერელი** – აფხაზეთის დამსახურებული არტისტი ქ. ზუგდიდი); **ირაკლი როსტიაშვილი** – საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მოლაპარაკე ჟანრის მსახიობი; **ლია ღლონტი** – თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგე; **დურმიშხან ხულორდავა** – საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მოლაპარაკე ჟანრის მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი.

**ე. შევარდნაძე.**

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2000 წლის 10 დეკემბერი ქ. თბილისი

### საქართველოს სპორტის დარგის მუშაკთა ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში, მაღალი რანგის სპორტსმენთა მომზადებასა და ახალგაზრდა თაობის ფიზიკურ აღზრდაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, ნაყოფიერი პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის ღირსების ორდენით დაჯილდოვდნენ საქართველოს სპორტის დარგის მუშაკები:

**ირაკლი ბაქრაძე** – საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრები გუნდის კაპიტანი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, ევროპის თასის მფლობელთა თასის მფლობელი; **ვაჟა მერკვილაძე** – ტყიბულის რაიონის სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ჭიდაობაში, სპორტის ოსტატი; **რაჩიკ მომჯიანცი** – საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი; **გაიოზ მძელური** – საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი; **იური რუხაძე** – საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი; **კარლო ჩხაიძე** – თბილისის მერიის განათლების სამმართველოს მოსწავლეთა საქალაქო ფიზკულტურულ-სპორტული გაერთიანების დირექტორის პირველი მოადგილე, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი.

**ე. შევარდნაძე.**

### საქართველო-თურქეთის მორიგი კონსულტაციები

გუშინ ანკარაში დაიწყო საქართველოსა და თურქეთის საგარეო პოლიტიკურ უწყებათა მორის კონსულტაციების მეხუთე რაუნდი.

კონსულტაციაზე საქართველოს დელეგაციას საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი ბურდული ხელმძღვანელობს. დელეგაციის წევრები შეხვედრებს გამართავენ თავდაცვისა და ტრანსპორტის სამინისტროებში.

შეხვედრებზე განიხილება საერთამორისო და რეგიონული უსაფრთხოების განმტკიცების, კონფლიქტების მოგვარებაში რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის გააქტიურების, ასევე, საზღვრო, საზღვრის დაცვის, ვაჭრობისა და ეკონომიკის სფეროებში თანამშრომლობის საკითხები.

### მაიკლ სქოული მოითხოვს

„ეი-ი-ეს – თელასის“ გენერალური დირექტორი მაიკლ სქოული კვლავ მოითხოვს, რომ ქვეყნის მთავრობამ შემოიღოს ელექტროენერგიით თბილისის სადღეღამისო უზრუნველყოფა. ამისათვის საჭიროა ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდეს რკინიგზას, სააქციო საზოგადოება „თბილწყალკანალის“ ობიექტებს და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას, რომლებიც, როგორც იგი ამტკიცებს, ელექტროენერგიით ფაქტობრივად უსასყიდლოდ სარგებლობენ, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს თენგიზ ჩხიკვაძეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოს „დისპეტჩერიზაცია — 2000-ის“ გენერალურმა დირექტორმა ბორის კოჟორიძემ.

### 20 მარტიდან ენგურჰესი გაჩერდება

სოხუმის „ჩერნომორენერგოს“ გენერალური დირექტორის სერგეი ბაგაფშის განცხადებით, 2001 წლის 20 მარტიდან სარემონტო-აღდგენითი სამუშაობის განსახორციელებლად გაჩერდება ენგურჰესი.

მეკეთების სამუშაოები დაახლოებით 2,5 თვე გაგრძელდება. ამ პერიოდში აფხაზეთი ელექტროენერგიას თბილისიდან ან რუსეთიდან მიიღებს.

როგორც ბაგაფშმა აღნიშნა, ენგურჰესის აღდგენითი სამუშაოებისათვის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა 40 მილიონი დოლარის ოდენობის კრედიტი, ხოლო ევროკომისიამ 10 მილიონი დოლარის გრანტი გამოყო. სამუშაოებისათვის საჭირო 14 მილიონს კი ქართული მხარე გაიღებს.

### „27 დაკარგული კოცნა“ ოსკარზე წარადგინეს

ამმ კინოაკადემიის ოსკარის პრემიაზე უცხოური ფილმების ნომინაციაში წარდგენილია რეჟისორ ნანა ჯორჯაძის სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „27 დაკარგული კოცნა“. ოსკარის პრემიაზე წარდგენილი ფილმებიდან თებერვალში 5 საუკეთესო შეირჩევა, ხოლო გამარჯვებულის დაჯილდოების ცერემონია მარტის ბოლოს გაიმართება.

ფილმი „27 დაკარგული კოცნა“, რომელიც წლეულს გადაიღო ნანა ჯორჯაძემ, საქართველო-გერმანია-დიდი ბრიტანეთი-საფრანგეთის ერთობლივი წარმოებაა. მისი სცენარის ავტორები არიან ნანა ჯორჯაძე, ირაკლი კვირიკაძე და მარია ზვერევა.

ფილმში ცნობილ ფრანგ მსახიობ პიერ რიშართან ერთად მონაწილეობენ ნუცა კუხიანიძე, მაკო იაშვილი, ევგენი სიდიხინი და ამალია მორდვინოვა.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, იპრინდამ და პრაიმ-ნიუსმა.**

**პარლამენტის თავმჯდომარე**

# მნიშვნელოვანი ეტაპის დასაწყისი

**(პირველი გვერდიდან)**

როგორც რეჯ დიგინგსმა აღნიშნა, პროექტის განმახორციელებელ საინჟინრო ჯგუფს წინასწარი სამუშაოების ჩასატარებლად დაძაბული შრომა მოუწევს. მისივე თქმით, პროექტის ირგვლივ ძირითადი მოლაპარაკებები უკვე დასრულდა, ხოლო ამ გიგანტური კონსტრუქციის მშენებლობა 2004 წლისათვის დამთავრდება. შესაბამისი ეკონომიკური გათვლები უკვე დღეს ცხადყოფს იმ ხარგებლიანობას, რასაც ნავთობსადენის ამუშავება საქართველოსთვის მოიტანს.

ზურაბ ჟვანია დიდი ინტერესით გაეცნო შეხვედრაზე წარმოდგენილ პროექტებს და აღნიშნა, რომ საექსპორტო ნავთობსადენის მშენებლობა პირადად საქართველოს პრეზიდენტის ინტერესთა სფეროს განეკუთვნება; პარლამენტის თავმჯდომარე თავადაც რეგულარულად ეცნობა ყველა მოწოდებულ ინფორმაციას.

„ნავთობსადენის პროექტის განხორციელება ჩვენი სახელმწიფოსათვის მეტად მნიშვნელოვანი ეტაპის დასაწყისი იქნება როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია ისიც, რომ იგი რეგიონში სტაბილურობის გარანტი გახდება ამ თვალსაზრისით“, — აღნიშნა შეხვედრაზე პარლამენტის თავმჯდომარემ და კომპანიების წარმომადგენლებს საქართველოს პარლამენტისა და პირადად თავისი მხრიდან ყოველგვარი დახმარება აღუთქვა.

**საქართველოს პარლამენტის პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი.**

**საკუთრება**

# სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს აცნობეს ქონების მართვის სამინისტროში, ეს უწყება პარლამენტის შესაბამის კომიტეტებთან ერთად ამზადებს კანონპროექტს „სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში სახელმწიფოს ინტერესების დაცვის შესახებ“. ამ კანონპროექტის თანახმად, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს, როგორც მესაკუთრეს, პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე უფლება აქვს საწარმოებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილი მართვის უფლებით გადასცეს შესაბამის დარგობრივ სამინისტროებს და უწყებებს. ამის აუცილებლობა განპირობებულია იმ მიზეზით, რომ ქონების მართვის სამინისტროს სხვა უწყებებისაგან განსხვავებით არ ჰყავს სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, რომლებიც შეძლებდნენ წარემართათ საწარმოთა საქმიანობა. შეუძლებელიცაა, რომ ერთი უწყება პროფესიულად ერკვეოდეს ისეთი ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული დარგების სპეციფიკაში, როგორიცაა მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ჯანმრთელობის დაცვა, კავშირგაბმულობა, ენერგეტიკა, ტრანსპორტი, კინემატოგრაფია და ასე შემდეგ. კიდეც რომ ჰყოლოდა სამინისტროს კომპეტენტური სპეციალისტები, მისი 137-კაციანი კოლექტივი მაინც ვერ გაართმევდა თავს 1400-მდე საწარმოს მართვას.

**საქინფორმი.**

**საერთაშორისო კონფერენცია**

# ტრასეკას ჰიდრომეტეოროლოგიური უსაფრთხოების გარანტია ექნება

**აღმოსავლეთ ევროპაში, სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში მდგრადი, საიმედო და ოპერატიული მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური სისტემის ჩამოყალიბებაა მთავარი თემა საერთაშორისო კონფერენციისა სახელწოდებით „ტრასეკას ჰიდრომეტეოროლოგიური უსაფრთხოება“, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ინიციატივით გაიხსნა 14 დეკემბერს თბილისში, მთავრობის კრწანისის რეზიდენციაში.**

აღნიშნული მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური სისტემა კი, განაცხადა კონფერენციის გახსნისას მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა გოდვინ ობასიმ, ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის — ტრასეკას სრულფასოვანი და უსაფრთხო ფუნქციონირებისათვის საგანგებოდ შეიქმნება, რასაც მსოფლიო საზოგადოებრიობა უდიდეს სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებს. ეს საკითხი ძალზე აქტუალურია, მით უფრო, რომ ტრასეკას პროექტის მონაწილე ქვეყნების კლიმატურ – გეოგრაფიული პირობები ძალზე მრავალფეროვანი და, ხშირ შემთხვევაში, საკმაოდ რთულია, რადგანაც ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის სივრცეში 11 სახეობის კლიმატია. ამდენად, ისეთ საშიშ ატმოსფერულ მოვლენებზე, როგორიც წყალდიდობა, ღვარცოფები და სხვა სტიქიური პროცესებია მუდმივი დაკვირვება, ოპერატიული და გრძელვადიანი პროგნოზირება და ადრეული გაფრთხილების სისტემის ჩამოყალიბებაა საჭირო.

საერთაშორისო კონფერენციის გახსნაში მონაწილეობდა საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე თედო ისაკაძე, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას გააცნო საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მისალმება ფორუმის მონაწილეებისადმი.

კონფერენციის მონაწილე ტრასეკას წევრი 12 ქვეყნის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურების ხელმძღვანელებმა იმსჯელეს სატრანსპორტო დერეფნის უსაფრთხო ექსპლოატაციის ჰიდრომეტეოროლოგიური უზრუნველყოფის პროექტზე, რომლის სრულმასშტაბიანი განხორციელებისათვის, მათივე აზრით, საჭიროა ერთობლივი ძალისხმევისა და რესურსების სრული მობილიზაცია. აღნიშნულ პროექტს განსახილველად, სავარაუდოდ, ევროგაერთიანებასაც წარუდგენენ, რომლის უშუალო პატრონაჟითაც ხორციელდება ტრასეკა.

საქართველომ ფორუმზე ტრასეკას ჰიდრომეტეოროლოგიური უსაფრთხოების საკოორდინაციო-საინფორმაციო ცენტრის შექმნის იდეა წამოაყენა. თანაც ცენტრი, ჩამოყალიბების შემთხვევაში, ჩვენი ქვეყნის ინიციატივით, ბინას თბილისში დაიდებს.

კონფერენცია მუშაობას დღეს დაასრულებს.

**საქინფორმი.**

**რეპლიკა**

# აი, სამჯერ არ ვუპასუხე...

**(პირველი გვერდიდან)**

ამას დამწერს, რა თქმა უნდა, თავმოყვარე ადამიანმა არ უნდა უპასუხოს. **(ეს ერთი).**

ვინ თქვა, ბიძია, რომ „ეს ორი რამ“ (ვერ ვიპოვეთ შესაფერისი ტერმინი და ამიტომ ეწერთ „რამეს“?) დამორდა „ერთმანეთს“? ერთი შემადგენლის ცვალებადობა მეორეზე რომ მოქმედებს, ეს „გამორიცხვაა“, თუ, პირიქით?

მათე კირვალიძე (ამასობაში კინაღამ დამავიწყდა, ვის არ უნდა ვუპასუხო) მომდევნო წინადადებაში თავად ამტკიცებს იმას, რისი თქმაც დაეპირე: „საინტერესოა, რატომ ვერ გაიგეს კანცელარიაში, რომ რუსეთი პოლიტიკური მანტაჟისათვის ეკონომიკურ ბერკეტებს იყენებს?“

რატომ ვერ გაიგეს? ალბათ, იმიტომ, რომ ელოდნენ, მათე გაიგებს და გვეტყვისო.

თუ პოლიტიკა ეკონომიკაზე მოქმედებს (რასაც წერილის ავტორი ამტკიცებს), ეკონომიკა პოლიტიკაზე რატომ ვერ იმოქმედებს?

ამაზე დავას რომ დაიწყებს კაცი, იმას ნამდვილად არ უნდა უპასუხო. (ეს მეორე).

როცა ჟურნალისტი დაწერს: „ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ოფიციალური პრესის წარმომადგენლებიც თავს უფლებას აძლევენ სახელმწიფო მინისტრს ჰკითხონ: „შეიძლება თუ არა იმის თქმა, რომ მინსკის სამიტი არის რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობათა დათბობისაკენ გადადგმული ნაბიჯი?“

ნახეთ, ნახეთ, რა უვიცები არიან, ეს „ოფიციალური პრესის წარმომადგენლები“, რომელთაც არც იციან პრეზიდენტის „ლამის მთელი პოლიტიკური სპექტრის“ მიერ გაზიარებული შეფასება.

მათემ გვითხრა და დღეის ამას იქით გვეცოდინება!

ისე კი, სწორედ „ოფიციალური პრესის“ წარმომადგენლებს ჰქონდათ უფლება, ამ შეკითხვით მიემართათ სახელმწიფო მინისტრისთვის და მასზე გაცემული პასუხით კიდევ ერთხელ გაესვათ ხაზი შევარდნაძისეული შეფასებისათვის, რომელიც (სხვათა შორის) მან პირველად მაინც და მაინც გარჩევის საგნად გამხდარი ინტერვიუს ერთ-ერთ ავტორს და იქ მყოფ სხვა ჟურნალისტებს განუცხადა მინსკის სამიტის დამთავრებისთანავე, თვითმფრინავში.

არ წაუკითხავს და რა ჰქნას?

არაფერი. წაიკითხოს „საქართველოს რესპუბლიკის“ 2 დეკემბრის პუბლიკაცია: „ედუარდ შევარდნაძე: საქართველო-რუსეთის ახალი დიდი ხელშეკრულება წალეკავს მთელ იმ ლექს, რომელიც ორი ქვეყნის ურთიერთობაში დაგროვდა“.

წაიკითხოს თუნდაც აქედან:

— „ბატონო პრეზიდენტო, შეიძლება თუ არა, ისეთი დასკვნის გაკეთება, რომ თქვენს ორმხრივ შეხვედრებს კოლეგებთან საქართველოს პერსპექტივისთვის უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე ღსთ სამიტს, რომელიც მინსკში გაიმართა? თუ ეს ზედმეტად რადიკალური შეფასებაა?

— პრინციპულად სწორი შეფასებაა, თუმცა არა მარტო ამ სამიტის მიმართ...“ უპასუხებს პრეზიდენტი შევარდნაძე.

და შემდეგ — ბოლომდე, „როგორც ტექსტშია“.

თუ იმას ვერ გრძნობს კაცი, რომ თავის გამოკეტილ კარს ამტვრევს, არ უნდა უპასუხო ნამდვილად. **(ეს მესამე).** აკი ვთქვი, რომ მაინც სცრუის ტყისკენ გაექცევა-მეთქი თვალები.

ან — აკვიატებული დასკვნისკენ, რომელიც წერილის ბოლოს თხასავით გაჰყიდის — ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ დაპროგრამებულ ფინალამდე მისულიყო.

აი, სამჯერ არ ვუპასუხე! (პარალელი თენგიზ ჩანტლაძის კლასიკურ სკეტჩთან).

ან როგორ უნდა მეპასუხა კაცისთვის, რომელსაც იუმორის გრძნობა არა ჰქონია და „ილიჩის ნათურის“ შესახებ ხუმრობა ვერა და ვერ გაუგია?

თანაც — სინათლე გამოირთო! ველოდო, როდის ჩართავენ?

**არმაზ სანებლიძე.**

**კარიკატურა თემაზე**



თვითგანდიდება.

**ბესიკ ზუბაშვილის ნახატი.**

# ჰქენით სიკეთე, ბატონო ჯაბა!..

**(პირველი გვერდიდან)**

ბატონ ჯაბას პოლიტიკური რეანიმაცია არ შედგა.

ვერც შედგებოდა.

საქმე ის კი არ არის, რომ ერთ დროს გასამხედროებული ორგანიზაცია „მხედრიონი“, დღეს პოლიტიკურ ორგანიზაციად მოევლინა ქვეყანას და მისმა ლიდერმა, ხატოვნად რომ ვთქვათ, სამხედრო ფორმის ნაცვლად პოლიტიკოსის სმოკინგი მოირგო.

ყველა ფერისცვალება და მიმიკრია ამაოა.

მატარებელმა ჩაიარა. „მხედრიონი“ ველარ აახტება და ველარც უნდა აახტეს ამ მატარებელს.

არავინ უარყოფს პირველი თაობის მხედრიონელთა თავგანწირვას და მამაცობას ომში, მაგრამ ქვეყანას დღესაც არ მოუშუშებია შემდგომი პერიოდის „მხედრიონისგან“ მიყენებული ტკივილი.

ბუნებრივია, ბატონი ჯაბას განვლილი გზაც გვახსოვს.

ამდენად, მისი დღევანდელი მოწოდებები, არა გვგონია, სერიოზულ ყურადღებას იმსახურებდეს.

სამაგიეროდ, პოლიტიკოსისგან განსხვავებით, ერთობ საინტერესო და მიმზიდველია მწერალი ჯაბა იოსელიანი. მისასალმებელია მისი მწერლური ნაყოფიერებაც: ამ ბოლო პერიოდში (ციხეში ჯდომისას) სამი წიგნი შემატა ქართულ ლიტერატურას.

და გვინდა ვთხოვოთ ბატონ ჯაბას: ის დრო, რომელიც ფუჭ, უპერსპექტივო (და არავისთვის საჭირო) პოლიტიკურ მოღვაწეობას უნდა მოახმაროთ, მთლიანად ლიტერატურას დაუთმეთ – ეგ საქმე მშვენივრად გამოგდით. ქვეყანას კი თავისი გზით სიარული აცალეთ!

ჰქენით სიკეთე!

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის ჟურნალისტები.**

**გვთავაზობენ**

# ახლა მაინც წაიკითხონ ჩემი მათდამი გაგზავნილი წერილი

**როგორც ჩემთვის ცნობილი გახდა, პარლამენტი, რომელმაც 2000 წლის საშემოდგომო სესია ოფიციალურად დახურულად გამოაცხადა, უახლოეს დღეებში, რიგგარეშე სხდომაზე აპირებს კანონპროექტის განხილვას საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე.**

ასე ნაჩქარევად და სათანადოდ მოუმზადებლად ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის განხილვა, დარწმუნებული ვარ, არ შეიძლება. სპეციალისტების აზრს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება იგნორირებას რომ უკეთებს, ეს სულაც არ მიკვირს იმის ფონზე, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით არც ქვეყნის პრეზიდენტის და არც სახელმწიფო მინისტრის დავალებები არ სრულდება.

დაბეჯითებით ვთხოვ საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრს ვანო ჩხარტიშვილს, საქართველოს ფინანსთა მინისტრს ზურაბ ნოღაიდელს, საქართველოს საგადასახადო შემოსავლების მინისტრს მიხეილ მაჭავარიანს, ახლა მაინც წაიკითხონ 2000 წლის ივლისში ჩემი მათდამი გაგზავნილი წერილი, რომელშიც დეტალურადაა ჩამოყალიბებული ამ მიმართებით ხელისუფლების არასწორი ქმედების შედეგები. თუ ძველ წერილებში ქექვას თავს აარიდებთ, მაშინ იქნებ თქვენც და პარლამენტის შესაბამისმა სამსახურებმა და საერთოდ პარლამენტარებმაც, თუმცა გულზე მაინცდამაინც არ გეხატებათ, გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (8-14 დეკემბერი) მესამე გვერდზე გამოქვეყნებული ჩვენი წერილი ნახოთ „პრეზიდენტს მისი გუნდის ბევრი წევრი ღალატობს“, სადაც თეთრზე შავით წერია, რომ „ქვეყნის საგადასახადო კოდექსში ნებისმიერი ცვლილება უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ პრობლემის დეტალური შესწავლის, გარკვეული აპრობაციის, ექსპერიმენტის ჩატარებისა და მისი შედეგების ღრმა ანალიზის საფუძველზე, რათა ბოლოს და ბოლოს, გამოირიცხოს ამ კოდექსის ყოველ ფეხის ნაბიჯზე, დაუსაბუთებელი და ყოვლად გაუმართლებელი ცვლილებები“.

ეს, რაც შეეხება საკითხის ფორმალურ მხარეს. ახლა კი ორიოდე სიტყვით, თვით განსახილველად შემოთავაზებული კანონპროექტის იმ ნაწილის ავკარგობაზე, სადაც საუბარია ვაჭრობის ობიექტებში საგადასახადო სისტემის „სრულყოფაზე“.

ხმამაღლა ვაცხადებ, რომ საგადასახადო კოდექსის ცვლილების შემოთავაზებული ვარიანტი არამც და არამც არ ემსახურება ამ საქმის მოწესრიგებას, გამარტივებას, გაიოლებას და, რაც მთავარია, საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდას. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ქვეყნის პრეზიდენტმა არ უნდა დააკანონოს რომელ ბაზრობაზე, რომელ დახლზე, რომელ ჯიხურზე ვინ რამდენი უნდა გადაიხადოს. ამის გარდა შემოთავაზებულ ვარიანტში სხვა ბევრი კურიოზიცაა, მაგრამ მათზე მსჯელობა საგაზეთო სტატიაში უხერხულად და გაუმართლებლად მიმაჩნია.

მაქვს წინადადება – გამოაქვეყნეთ შემოთავაზებული კანონის ცვლილებების პროექტი პრესაში, მოაწყვეთ მისი საჭირო განხილვა, აწონ-დაწონეთ მისი ავკარგობა და ამის შემდეგ მიიღეთ სათანადო გადაწყვეტილება.

**ანზორ ბაბუხადია,**
საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი, ბიზნესის სფეროთა ინტერესების დაცვის კავშირის თავმჯდომარე, საქართველოს მცირე მეწარმეთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი.

**აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი**

# მოძრაობა „ხალხთა დაახლოებისათვის“

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ ყოლბაია და საქართველოს პარლამენტის წევრი, ოჩამჩირის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი არნოლდ ფენდერავა ამ დღეებში ოჩამჩირის რაიონიდან დევნილი მოსახლეობის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

შეხვედრის მონაწილეების მსჯელობის საგანი იყო აფხაზეთში, კერძოდ, ოჩამჩირის რაიონში არსებული ვითარება, დევნილი მოსახლეობის სოციალური დაცვა, აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგებისათვის მიმდინარე მუშაობა. ხაზგასმით აღინიშნა, რომ კონფლიქტის მოწესრიგების გაჭიანურების პირობებში საჭიროა სახალხო დიპლომატიის განვითარებისადმი ახლებური მიდგომა, რაც გულისხმობს „ხალხთა დაახლოებისათვის“ მოძრაობის დაწყებას ქვემოდან.

**საქინფორმი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

# საქართველოს პრეზიდენტის
# ბრძანებულება

2000 წლის 4 დეკემბერი — ქ. თბილისი

## საქართველოს სტატისტიკის განვითარების 2001-2005 წლების სახელმწიფო პროგრამის შესახებ

1. დამტკიცდეს „საქართველოს სტატისტიკის განვითარების 2001-2005 წლების სახელმწიფო პროგრამა" და ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა (თ. ბერიძე), სამინისტროებმა და უწყებებმა, მმართველობის რეგიონულმა და ადგილობრივმა ორგანოებმა თავიანთი საქმიანობა წარმართონ აღნიშნული პროგრამის სრულმასშტაბიანი და დროული რეალიზაციის უზრუნველსაყოფად.
3. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა სტატისტიკურ სამუშაოთა სახელმწიფო ყოველწლიური პროგრამების შემუშავებისას გაითვალისწინოს საქართველოს სტატისტიკის განვითარების 2001-2005 წლების სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული სამუშაოების შესრულება, ხოლო ფინანსთა სამინისტრომ (ზ. ნოღაიდელი) უზრუნველყოს მათი შესაბამისი სრული დაფინანსება.
4. სტატისტიკის მზარდი საზოგადოებრივი როლისა და ფუნქციის გათვალისწინებით, აგრეთვე, სტატისტიკური ინფორმაციის პოპულარიზაციის მიზნით საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა სამ თვეში წარმოადგინოს წინადადება ქვეყანაში სტატისტიკის დღის დაწესების შესახებ.

ე. შევარდნაძე.

# საქართველოს სტატისტიკის განვითარების 2001-2005 წლების სახელმწიფო პროგრამა

საქართველოში სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა, საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრება და განვითარება თვისობრივად ახალ, მზარდ საზოგადოებრივ როლს აკუთვნებს სტატისტიკას. რჩება რა ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესების შემეცნების უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტად, სტატისტიკა სულ უფრო მეტად იძენს საზოგადოების მართვის, ცნობიერების ფორმირების, საერთაშორისო ურთიერთობისა და შედარების უმძლავრესი საშუალების ფუნქციას.

აღნიშნული პროგრამის მიზანია ჩამოაყალიბოს ახალი საუკუნის და ათასწლეულის დასაწყისში სახელმწიფო სტატისტიკის ძირითადი მიმართულებები, ამოცანები, პრიორიტეტები მის წინაშე დაყენებული საზოგადოებრივი ფუნქციების სრულად შესრულების მიზნით.

## თავი I.
## სტატისტიკა 1990-იან წლებში

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარე ტექტონიკური ხასიათის ძვრები სტატისტიკური საქმიანობის, სახელმწიფო სტატისტიკის სერიოზული გამოცდის საგანი გახდა. საზოგადოებრივი ურთიერთობების ცვლილება მოითხოვდა მათზე დაკვირვების მაქსიმალურ-ოპერატიულ ორგანიზებას და ადეკვატურ რეაგირებას. საჭირო გახდა დაკვირვების მთელი ინსტრუმენტარიუმის ძირეული ცვლილება, ინფორმაციის მოპოვების განსხვავებული, ალტერნატიული წყაროების ფორმირება. მასობრივი ხასიათი მიიღო საბაზრო ეკონომიკის მახასიათებელი ინდიკატორების შემუშავებისა და დანერგვის პროცესმა. განსაკუთრებული ყურადღების საგნად იქცა ქვეყნის ეროვნულ მეურნეობაში მიმდინარე ინსტიტუციური ცვლილებების და რეფორმების დახასიათება.

სტატისტიკური სამსახურის დიდი ძალისხმევის, აგრეთვე, საერთაშორისო ეკონომიკური და სტატისტიკური ორგანიზაციების ქმედითი დახმარებით შესაძლებელი გახდა ქვეყანაში ეროვნულ ანგარიშთა სისტემის დანერგვის დაწყება, სამეწარმეო სტატისტიკის ხაზით პირველადი ინფორმაციის მიღების დარგობრივიდან საწარმოთა სტატისტიკაზე გადასვლა, მუშაობა დაიწყო შინამეურნეობებზე დაკვირვების შერჩევითმა ქსელმა, გატარდა ღონისძიებები სოფლის მეურნეობაში აღრიცხვისა და სტატისტიკის მოსაწესრიგებლად, სოფლის საკრებულოები დაკომპლექტდა სტატისტიკოს-აღმრიცხველების დამატებითი საშტატო ერთეულით, დაინერგა სამომხმარებლო და მწარმოებელთა ფასების ინდექსები. სტატისტიკურ კვლევებში დაინერგა ეგრეთ წოდებული „ცენზობრივი" მეთოდები, ინფორმაციის მიღების ძირითად წყაროდ იქცა შერჩევითი კვლევები, მოქმედებაში შევიდა ერთიანი სახელმწიფო სტატისტიკური რეგისტრი (ბიზნეს-რეგისტრი), რომელიც უკვე აერთიანებს რეგლამენტირებულ ინფორმაციას 65 ათასზე მეტ სუბიექტზე.

განხორციელდა სტატისტიკურ-მეთოდოლოგიური ინსტრუმენტარიუმის სრულყოფა, შეიცვალა მოქმედი საკლასიფიკაციო სისტემა — ნაცვლად საბჭოური ტიპის „სახალხო მეურნეობის დარგობრივი კლასიფიკატორისა" (ОКОНХ) დაინერგა ევროპულთან ჰარმონიზებული ეკონომიკურ საქმიანობათა სახეობების კლასიფიკატორი (1997). ამის პარალელურად შემუშავდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის კლასიფიკატორი (1997), საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა (1998), პროდუქციის სახელმწიფო კლასიფიკატორი (1999).

მთლიანად სტატისტიკური საქმიანობის სრულყოფა მიმდინარეობდა აღრიცხვისა და სტატისტიკის სრულყოფის სამწლიანი (1997-2000 წწ.) პროგრამის ფარგლებში, რომელიც, თავის მხრივ, ორგანულ ნაწილად შევიდა იმავე პერიოდის ეკონომიკური რეფორმის მეორე ეტაპის სახელმწიფო პროგრამაში.

სტატისტიკური საქმიანობის სამართლებრივ ბაზას განსაზღვრავდა კანონი „სტატისტიკის შესახებ" (მიღებული იქნა 1997 წლის ნოემბერში) და ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილი დამატებები და ცვლილებები სტატისტიკური ინფორმაციის წარდგენისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით. აღნიშნული კანონები და დეპარტამენტის დებულება შემუშავებული იყო იმ გამოცდილების საფუძველზე, რომელიც დაგროვდა საერთაშორისო მასშტაბით განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების და სტატისტიკური სამსახურებისა და შესაბამისი საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ.

## თავი II.
## სტატისტიკური საქმიანობის სამართლებრივი ბაზა 2001-2005 წლებში

სტატისტიკის მზარდი საზოგადოებრივი როლის შესაბამისად გაძლიერდება აღნიშნული საქმიანობის სამართლებრივი ბაზა. სტატისტიკური ინფორმაციის წარმოებისა და გამოყენებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით სამართლებრივმა გარემომ, ერთის მხრივ, სრულად უნდა დაიცვას პირველადი სტატისტიკური ინფორმაციის მწარმოებლების საზოგადოებრივი და კომერციული ინტერესი, კონფიდენციალობა და, მეორეს მხრივ, უზრუნველყოს წარმოებული ინფორმაციის თანაბარი ხელმისაწვდომობა ინფორმაციის ყველა კატეგორიის მომხმარებელთათვის.

საქართველოში სხვადასხვა საერთაშორისო პროექტების რეალიზაციისა და ამ კუთხით შესაძლო ინვესტორთა მზარდი დაინტერესების პირობებში მომზადდება კანონპროექტი, რომელიც დაარეგულირებს საქართველოს ტერიტორიაზე საერთაშორისო ორგანიზაციების, საზღვარგარეთელი პარტნიორების, რეზიდენტების მიერ ან მათი მონაწილეობით ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ სხვადასხვა მონიტორინგების, შერჩევითი კვლევების ან ინფორმაციის სხვა საშუალებით მოპოვების საკითხებს.

მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი მოამზადებს კანონპროექტს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შესახებ.

## თავი III.
## სახელმწიფო სტატისტიკის ორგანიზაცია 2001-2005 წლებში

სახელმწიფო სტატისტიკის ორგანიზაცია წარიმართება „სტატისტიკის შესახებ" კანონის მოთხოვნების რეალიზაციის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული ორგანიზაციული სტრუქტურა და სტატისტიკური საქმიანობა მთლიანად დაეფუძნება ეროვნული ეკონომიკის განვითარების თავისებურებების შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებზე ორიენტირებულ სტატისტიკურ მეთოდოლოგიებს.

სტატისტიკის ორგანიზაცია თანდათანობით უფრო გამარტივდება და მისი ადგილობრივი ორგანოები პირველადი სტატისტიკური ინფორმაციის მოზიდვის პარალელურად სულ უფრო მეტად იქნებიან დაკავებული სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელებით, მომხმარებლებთან ურთიერთობებით.

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი 2002 წლის ბოლომდე შეიმუშავებს სტატისტიკის ორგანიზაციის ვერტიკალური სტრუქტურის პროექტს, სტატისტიკის ადგილობრივი ორგანოების გაერთიანებისა და გამსხვილების თვალსაზრისით. აღრიცხვისა და ანგარიშგების ერთიანი სახელმწიფო სისტემის წარმოების შენარჩუნების მიზნით თვისობრივად ახალ დონეზე ავა სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომლობა დარგობრივი სტატისტიკური ინფორმაციის მწარმოებელ საქვეუწყებო და დამოუკიდებელ სტატისტიკურ დაწესებულებებთან.

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი დაეხმარება შესაბამის ალტერნატიულ (არასახელმწიფო) სტატისტიკურ სამსახურებს მეთოდოლოგიური ლიტერატურით და კონსულტაციებით. მიზანშეწონილია სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის სამეცნიერო ინფორმაციული ცენტრის ბაზაზე არსებული საბიუჯეტო დაფინანსების ფარგლებში სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შექმნა, რაზეც 2000 წლის ბოლომდე ერთობლივ წინადადებებს წარმოადგენენ საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის და ფინანსთა სამინისტროები.

2001 წლის ბოლომდე დასრულდება სტატისტიკის ტერიტორიული სამმართველოების, ხოლო 2004 წლის ბოლომდე — რაიონული განყოფილებების აღჭურვა თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიებით და მათი ჩართვა ინფორმაციის გადაცემის ერთიან სტატისტიკურ ქსელში, მათ შორის მომხმარებლებთან, ფართოდ იქნება გამოყენებული ელექტრონული ფოსტა, ფაქსი და სხვა თანამედროვე კომუნიკაციური საშუალებები.

სახელმწიფო სტატისტიკის სისტემის თანამშრომელთა სტიმულირებისა და კვალიფიცირებული კადრების მოზიდვისათვის გამოყენებული იქნება მატერიალური სტიმულირების მოქნილი მექანიზმი, რისთვისაც სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს და მის ადგილობრივ ორგანოებს უნდა მიეცეთ უფლება სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ სამუშაოებზე სტატისტიკური ინფორმაციის წარმოება და რეალიზაცია განახორციელონ დამკვეთის მიერ განსაზღვრული პროგრამით და პერიოდულობით.

შემუშავდება და დაინერგება კადრების ტესტირების და კვალიფიკაციის ამაღლების, მომზადება-გადამზადების მოქნილი სისტემა.

უმნიშვნელოვანესი სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამის მომზადებისას უფრო სრულად იქნება გათვალისწინებული მომხმარებელთა ინტერესები, მათ შორის უზრუნველყოფილი იქნება ინდიკატიური გეგმების შესრულებისა და მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესების სისტემატური ანალიზი.

სამინისტროების, უწყებებისა და ადგილობრივი სტატისტიკური ორგანოებისათვის მომზადდება სახელმწიფო სტატისტიკური ანგარიშების ტაბელი.

სტატისტიკური აღრიცხვისა და აღწერების, შერჩევითი კვლევების ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური საკითხები და შედეგები პერიოდულად განხილული იქნება საქართველოს პრეზიდენტთან არსებულ საკონსულტაციო ეკონომიკური საბჭოს სხდომაზე.

## თავი IV.
## კლასიფიკატორები და საწარმოთა და ორგანიზაციათა ერთიანი სახელმწიფო რეგისტრი

ჩამოყალიბდება საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზებული ეროვნული კლასიფიკატორების შექმნის ერთიანი კონცეფცია. შემუშავდება მისი პრაქტიკაში დანერგვის ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური ღონისძიებების თანმიმდევრული განხორციელების სამუშაოების გაძღოლის გეგმა. 2000 წლის ბოლომდე შემუშავდება ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ინფორმაციული უზრუნველყოფისათვის კლასიფიკატორები, რომელთა საშუალებითაც მოხდება ხარჯების კლასიფიცირება იმ ფუნქციების მიხედვით, რომლებსაც ასრულებენ სახელმწიფო ორგანოები, სამომხმარებლო საქონელზე და გაწეულ მომსახურებაზე დანახარჯების კლასიფიცირება, შემოსავლებისა და გასავლების ნაკადების, ეროვნულ ანგარიშთა სისტემის აქტივებისა და პასივების ცვლილებების შესწავლა და სხვ.

უზრუნველყოფილი იქნება კლასიფიკატორების გამოყენება არა მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისათვის, არამედ მთლიანად ეროვნული მეურნეობის მართვისათვის; 2001 წლამდე დასრულდება კლასიფიკაციისა და კოდირების ეროვნულ სისტემასთან დაბეგვრის, ბიუჯეტის ფორმირების, ინდიკატიური გეგმის შედგენის პროცედურის შესაბამისობაში მოყვანა. ეროვნული სტანდარტების შემოღებასთან დაკავშირებით და საერთაშორისო საფინანსო ორგანოების რეკომენდაციების საფუძველზე საწარმოთა რეგისტრაციის პრაქტიკის გასამარტივებლად შეტანილ იქნება ცვლილებები საქართველოს კანონში „მეწარმეთა შესახებ".

2001-2005 წლებში შექმნილი კლასიფიკატორების სრულმასშტაბიანი დანერგვისა და მათი პერმანენტული განახლების უზრუნველსაყოფად შეიქმნება საჭირო ნორმატიულ-მეთოდოლოგიური ბაზა. შექმნილ კლასიფიკატორებში სისტემატურად შევა ცვლილებები მათი პერმანენტული აქტუალიზაციის უზრუნველსაყოფად. მათი წარმართვისათვის შეიქმნება ავტომატიზებული სისტემა (პროგრამულ-ტექნოლოგიური უზრუნველყოფის განსაზღვრა და შექმნა, მონაცემთა ბაზების ლოგიკური სტრუქტურის შემუშავება, მომხმარებელთა დიალოგურ რეჟიმში მომსახურების პროგრამის შემუშავება და სხვ.).

2001 წლიდან განხორციელდება კლასიფიკატორების მონაცემთა ბანკის ფორმირება. სამინისტროებსა და უწყებებში, რეგიონული სამსახურების კლასიფიკატორების წარმართვის ფორმირება, პერსონალის სწავლება, მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა პოტენციალის გამოყენება შემუშავებული კლასიფიკატორების სემანტიკური და ტერმინოლოგიური უზრუნველყოფის მიზნით.

გაგრძელდება ქვეყნის მთავარი კომპლექსური რეგისტრი — ერთიანი სახელმწიფო სტატისტიკური რეგისტრის შექმნის სამუშაოები.

2001 წლიდან სამეწარმეო სფეროში შერჩევითი კვლევები მთლიანად განხორციელდება მუდმივად განახლებადი სახელმწიფო სტატისტიკური რეგისტრის საფუძველზე. ჩამოყალიბდება სტატისტიკური რეგისტრისა და სუბრეგისტრების განახლების და ხარისხის გადამოწმების მოქნილი მექანიზმი.

2002 წლისათვის დასრულდება სოფლის მეურნეობის რეგისტრისა და მისი სუბრეგისტრების შექმნა.

## თავი V.
## სამეწარმეო სტატისტიკის სრულყოფა

საბაზრო ეკონომიკა ართულებს სამეურნეო სუბიექტების საქმიანობის პროფილს, შესაბამისად, განაპირობებს სხვადასხვა სახის ეკონომიკური საქმიანობით დაკავებული საწარმოს დახასიათებისათვის ინტეგრირებული სტატისტიკური ანგარიშების ფორმების შემოღებას. საბუღალტრო და პირველადი სტატისტიკური აღრიცხვა თანდათან სრულ შესაბამისობაში მოვა საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებულ წესებთან, რაც უზრუნველყოფს სამეურნეო საქმიანობის დახასიათებას მრავალ ჭრილში.

2001 წლიდან სამეწარმეო სტატისტიკაში დაინერგება ევროსტანდარტებთან შესაბამისი თემატიკის მქონე წლიური სტრუქტურული გამოკვლევები.

2001-2005 წლებში საწარმოთა სამეწარმეო აქტივობის და სამეურნეო ფინანსური საქმიანობის სტატისტიკური დახასიათება განხორციელდება ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი სახეობისა და ქვეყნის მსხვილი რეგიონების მიხედვით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა აგრარულ სექტორში მიმდინარე პროცესებს და ქვეყანაში ახალი საკუთრებითი, საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების ანალიზს. გაფართოვდება შესაბამისი შერჩევითი დაკვირვების წრე და თემატიკა. ჩატარებული იქნება სრული სასოფლო-სამეურნეო აღწერები. 2001 წლისათვის სოფლის საკრებულოებისათვის შემოღებული იქნება ახალი რედაქციის საკომლო წიგნები.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შესწავლას ეროვნული მეურნეობის იმ დარგებში და საქმიანობათა სახეების მიხედვით, სადაც ყველაზე მაღალია მისი მასშტაბები.

სამეწარმეო სფეროში ფარული ნაწილის დასადგენად ყოველწლიურად განხორციელდება შერჩევითი გამოკვლევები. აღნიშნული პრობლემების სტატისტიკურ შესწავლაში დიდ როლს შეასრულებს ყველა სახის ეკონომიკური საქმიანობისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოთა საყოველთაო ეკონომიკური აღწერა, რომელიც 2001 წელს გაიმართება.

სისტემატურ ხასიათს მიიღებს საწარმოთა საქმიანი აქტივობის შესახებ კონიუნქტურული კვლევები ეროვნული მეურნეობის ყველა დარგში.

ენერგეტიკის სამინისტროსა და სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ 2001 წლის 1 მარტამდე შემუშავდება ერთობლივი ღონისძიებების პროექტი საქართველოს სათბობ-ენერგეტიკული ბალანსის შედგენის შესახებ.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსა და სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტთან ერთად, შეიმუშავებს საწარმოთა და ორგანიზაციათა ფინანსური მდგომარეობისა და საინვესტიციო მიმზიდველობის ანალიზის მეთოდიკას.

## თავი VI.
## მაკროეკონომიკური ინდიკატორები

მაკროეკონომიკური სტატისტიკის უახლესი წლების ძირითად ამოცანას წარმოადგენს:

— ეროვნულ ანგარიშთა სისტემის სრული დანერგვა, მის მოთხოვნებთან დარგობრივი სტატისტიკური მონაცემების, აღრიცხვა-ანგარიშების სისტემის სრულ შესაბამისობაში მოყვანა, ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ეკოლოგიის, ჯანდაცვის, ტურიზმის სატელიტური ანგარიშების დანერგვა;

— მთლიანი შიდა პროდუქტის და მისი ძირითადი კომპონენტების გაანგარიშება კვარტალური პერიოდულობით წარმოების, საბოლოო დანახარჯების, შემოსავლების მეთოდებით;

— კონსოლიდებული ანგარიშების შედგენა ინსტიტუციური სექტორის მიხედვით.

2001 წლისათვის დაინერგება აქტივებისა და პასივების ბალანსი.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა აღურიცხავ სექტორში წარმოების მოცულობის შუალედური მოხმარებისა და დამატებული ღირებულების მაჩვენებლების გათვლას. ამისათვის ფართოდ იქნება გამოყენებული შეფასების პირდაპირი და ირიბი მეთოდები. საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსთან ერთად შემუშავდება აღურიცხავი ეკონომიკის მონიტორინგის პროგრამა.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის შესატყვისი მაჩვენებლების გაანგარიშებაში შემუშავდება და დაინერგება მონაცემების რედაქტირების ავტომატიზებული სისტემები.

ქვეყნის თავისებურებისა და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით თვისობრივად დაიხვეწება საგადამხდელო ბალანსის შედგენის მექანიზმი.

ფართოდ დაინერგება ექსპორტ-იმპორტის მოცულობის დადგენისას ეგრეთ წოდებული „სარკისებური" მეთოდი, შემუშავდება საგადამხდელო ბალანსის კომპონენტთა პროგრამული უზრუნველყოფა. სისტემური ხასიათი მიეცემა შერჩევითი და პილოტური გამოკვლევების ორგანიზებას და განხორციელებას. დაინერგება მომსახურების საერთაშორისო სტატისტიკა.

დაიხვეწება და გამრავალფეროვნდება ფასების სტატისტიკა, სხვადასხვა წარმოების, საქონლისა და მომსახურების ფასებზე და ტარიფებზე დაკვირვების ორგანიზება და შესაბამისი ინდექსების გაანგარიშება. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა საკვლევი ტერიტორიების შერჩევის ოპტიმიზაციას.

2001 წლიდან დაიწყება სამუშაოები სოფლის მეურნეობის, ექსპორტ-იმპორტის, სამშენებლო სამუშაოთა, სატრანსპორტო ტვირთზიდვის, ტურისტული მომსახურების ინდექსების გაანგარიშების ხაზით. სრულყოფილი სახე მიეცემა სამომხმარებლო ფასების ინდექსისა და მწარმოებელთა ფასების ინდექსების გაანგარიშებას. ამ მიზნით გაფართოვდება და სისტემატურად აქტუალიზებული გახდება სამომხმარებლო კალათაში საქონლის და მომსახურების წარმომადგენელთა ჩამონათვალი. სამომხმარებლო საქონლის ფასებზე დაკვირვებით მოცული იქნება უმეტესი სამხარეო-ადმინისტრაციული ერთეული. ფასების ინდექსების გაანგარიშებაში მხედველობაში სრულად იქნება მიღებული სეზონური და საქონლის ხარისხობრივი პარამეტრების ფაქტორები.

შემუშავდება და დაინერგება:

— სოფლის მეურნეობაში პროდუქციის მოცულობისა და რეალიზაციის, წარმოების საშუალებათა მოცულობის, შესასყიდი ფასების ინდექსების გაანგარიშება;

— მშენებლობასა და ინვესტიციებში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ფასების, მანქანებსა და მოწყობილობებზე კაპიტალური დაბანდებებისა და ფასების ინდექსები;

— ტრანსპორტში — ტვირთის გადაზიდვის ტარიფების ინდივიდუალური ინდექსების, ტრანსპორტის სახეობათა მიხედვით ტვირთის გადატანისა და მგზავრთა გადაყვანის ფასების ინდექსები;

— ტურიზმის, როგორც საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული და დინამიურად განვითარებადი დარგის საჭიროებისათვის, 2000 წლიდან დაიწყება აქტიური მუშაობა ტურისტთა მომსახურების ინდექსის გაანგარიშების დასადგენად;

— 2002 წლის ბოლომდე დასრულდება ეროვნულ ანგარიშთა სისტემის, ფინანსების, სტატისტიკისა და ბუღალტრული აღრიცხვის სრულყოფისა და საერთაშორისო სტანდარტებთან მათი სრულ შესაბამისობაში მოყვანის სამუშაოები.

## თავი VII.
## შრომის ბაზრის სტატისტიკა

სტატისტიკა უფრო სრულად და სიღრმისეულად დაახასიათებს დასაქმების სფეროში, მათ შორის, შრომის ბაზარზე შექმნილ მდგომარეობას. განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცევა სრული და არასრული, არაფორმალური, მეორადი დასაქმება და თვითდასაქმება, დასაქმებისა და უმუშევრობის შესწავლა განხორციელდება განათლების, ასაკის, სქესის, ქალაქ-სოფლის და რეგიონულ (მ. შ. რაიონულ) ჭრილებში.

განხორციელდება სპეციალური კვლევები დასაქმების ტიპის (დაქირავებული, თვითდასაქმებული), ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების, ეროვნული მეურნეობის დარგებისა და სექტორების მიხედვით.

სისტემატური ხასიათი მიეცემა სპეციალურ შერჩევით კვლევებს სამუშაო ძალის მოქნილობის, მობილურობის, პროფილის ცვლილებისა და რიგი სხვა ნიშნების მიხედვით. ყოველ ორ წელიწადში ერთხელ განხორციელდება 7-17 წლის ასაკის ბავშვთა და მოზარდთა დასაქმების შესწავლა.

მოხდება შრომის ანაზღაურების შესწავლა დასაქმებულთა, ეკონომიკურ საქმიანობათა სახეობათა და შემოსავლების სიდიდის მიხედვით.

დასაქმებისა და შრომითი შემოსავლის ანალიზის დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა შემოსავლების და დასაქმებულთა შრომითი სტაჟის კორელაციური კავშირის ანალიზს.

ორგანიზებულ იქნება ინფორმაციის მიღება ქვეყნის არარეზიდენტების წილის შესახებ საქართველოში დასაქმებულთა საერთო რიცხოვნობასა და შემოსავლებში, აგრეთვე, შრომითი მიგრაციის მასშტაბების, ინტენსიობის, ძირითადი ქვეყნების მიგრანტთა ასაკის, პროფესიის, კვალიფიკაციის და მიგრაციის ხანგრძლივობის ნიშნის მიხედვით.

## თავი VIII.
## მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სტატისტიკა

განხორციელდება მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სრულმასშტაბიანი, კომპლექსური დახასიათება მათი შემოსავლებისა და ხარჯების, აგრარული აქტივობის, მოხმარების ხასიათისა და რიგი სხვა პარამეტრების მიხედვით. სისტემურ, კომპლექსურ ხასიათს მიიღებს მოსახლეობის განათლების, ჯანდაცვის, მომსახურების, სოციალური ეკოლოგიის დახასიათება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სამუშაო და თავისუფალი დროის შესწავლას, კრიმინოგენური სიტუაციის ანალიზს.

სახელმწიფო სტატისტიკა განახორციელებს მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზს და მოახდენს ამ მდგომარეობის მარკეტინგულ და პროგრამულ, აგრეთვე, მისი გადახდისუნარიანი მოთხოვნის შესწავლას.

დაინერგება საზოგადოების წევრებისა და ოჯახების კეთილდღეობის სხვადასხვა თანამედროვე ინდიკატორები.

მოსახლეობის ცხოვრების დონისა და განვითარების შეფასებას საფუძვლად დაედება შინამეურნეობების შერჩევითი კვლევა და სხვადასხვა ასპექტის სპეციალური მონიტორინგები (სიღარიბის, კორუფციის შესწავლის, საბინაო ფონდის მდგომარეობის, მოსახლეობის ეკონომიკური ქცევის, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა და სხვ.).

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სოციალურ სფეროში მიმდინარე ინსტიტუციურ გარდაქმნებს და რეფორმებს, ჩატარდება სპეციალური კვლევები (მონიტორინგები: არასახელმწიფო, ყველა ტიპის სასწავლებლებზე, სამედიცინო მომსახურების სისტემის, სოციალური დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის შესახებ, აგრეთვე, სამეცნიერო სფეროში კერძო ორგანიზაციების და მმართველობის სფეროში მეცნიერ მუშაკთა რიცხოვნობისა და დაკავებული თანამდებობების მიხედვით და სხვ.).

სრულყოფილ სახეს მიიღებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, საკომუნიკაციო და ინფორმაციული ტექნოლოგიების საქმიანობის სტატისტიკა.

## თავი IX.
## დემოგრაფიული სტატისტიკა და მოსახლეობის აღწერები

ფაქტობრივად, აღსადგენია მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის სტატისტიკა, ასამაღლებელია მისი ობიექტურობის ხარისხი. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა უნდა უზრუნველყოს აღნიშნულ მაჩვენებელთა სისტემის წარმოება ქვეყნის, რეგიონულ და რაიონულ ჭრილებში. დამატებით შესწავლას საჭიროებს შერეული ქორწინებები და მათთან დაკავშირებული ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის მაჩვენებლები.

რეგულარული ხასიათი უნდა მიიღოს მიგრაციული პროცესების შესწავლამ აღნიშნულ პროცესთა მიზეზების, მიმართულებების, გეოგრაფიის და ხანგრძლივობის მიხედვით მიგრანტთა ასაკის, სქესის, განათლების, პროფესიის და ეროვნების ჭრილში.

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან და იუსტიციის სამინისტროსთან ერთად უნდა შეიმუშაოს მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის რეგისტრაციის უფრო მოქნილი და სავალდებულოდ შესასრულებელი ფორმის ნიმუში (მობადობისა და მოკვდაობის, მოქალაქეთა რეგისტრაციის, აღრიცხვიდან მოხსნის შესახებ).

ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს გენდერული სტატისტიკის ასპექტი.

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ განხორციელდება კონსულტაციები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიის ინსტიტუტთან და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დემოგრაფიის დეპარტამენტთან. საქართველოში მოსახლეობის რეგისტრის შემოღების მიზანშეწონილობის შესახებ წინადადება წარმოდგენილ იქნება საქართველოს მთავრობის სხდომაზე განსახილველად 2004 წლის ბოლომდე.

შესაბამისი ყურადღება მიექცევა მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მომზადებას, ჩატარებას და მიღებული მასალების დამუშავებასა და დროულ გამოქვეყნებას.

საყოველთაო აღწერების ათწლიანი პერიოდის შუალედში ჩატარდება მოსახლეობის სოციალურ-დემოგრაფიული 5-პროცენტიანი გამოკვლევა. პირველი ასეთი გამოკვლევა მოეწყობა 2005 წლის მარტის მდგომარეობით.

## თავი X.
## ბუნებრივი რესურსები და გარემოსდაცვითი ღონისძიებების სტატისტიკა

თანამედროვე ეკოსისტემის მდგომარეობა, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების წინაშე მდგარი პრობლემები დღის წესრიგში აყენებს ეკოლოგიის სფეროში სტატისტიკური აღრიცხვის სისტემის ძირეული რეფორმირების აუცილებლობას.

ეკოლოგიის სტატისტიკის ყურადღების ცენტრში მოექცევა გარემოსა და ეროვნული მეურნეობის მდგომარეობის მახასიათებელი ინდიკატორების დაკავშირება, ეროვნულ ანგარიშთა სისტემის სატელიტური „მწვანე" ანგარიშის დანერგვა. დიდი ყურადღება დაეთმობა კვლავწარმოებადი და არაკვლავწარმოებადი ბუნებრივი რესურსების საბაზრო ურთიერთობებში ჩართვის, ჩანაცვლებისა და მდგომარეობის ანალიზს.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან ერთობლივი თანამშრომლობის საფუძველზე დაინერგება საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული მაჩვენებელთა სისტემის შესაბამისი კლიმატის ცვლილების, ბიოლოგიური მრავალფეროვნების, გარემოს დამჟავიანების, მტკნარი წყლის რესურსებისა და სანაპირო ზოლის სამშროებისა და მისი განვითარების მართვის მონიტორინგები. საზოგადოებისა და ბუნების დამოკიდებულებაში ანალიზი გაუკეთდება ისეთ პრობლემებს, როგორიცაა ქალაქის და მსხვილი აგლომერაციის ეკოლოგია, მეორადი ნედლეულის, ნარჩენების შეგროვებისა და უტილიზაციის საკითხები, ტექნოლოგიური ავარიები, აგრეთვე, სოციალური ეკოლოგია.

დიდი ყურადღება მიექცევა ქვეყნის ეკოლოგიური მდგომარეობის ამსახველი სტატისტიკური კრებულებისა და ბიულეტენების გამოცემას და პუბლიკაციების მომზადებას, მოსახლეობის ინფორმირებას მისი ეკოლოგიური განათლებისა და გარემოსადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულების კულტურის ამაღლებისათვის.

## თავი XI.
## სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავების ტექნოლოგიები

სტატისტიკური სამსახურის მიერ მომხმარებელთა მოთხოვნილებების სრულად დაკმაყოფილებისათვის დეპარტამენტი და მისი ადგილობრივი ორგანოები აღიჭურვებიან თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიებით. დასრულდება სტატისტიკის ერთიანი საინფორმაციო ქსელის შექმნა და ძირითად მომხმარებელთან კავშირი. რეგიონული სტატისტიკური სამსახურებიდან ინფორმაციის შეგროვება, შენახვა და გავრცელება განხორციელდება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. ინფორმაციის დამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შეიქმნება მაკროეკონომიკური, ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული და სხვა ტიპის სტატისტიკური ინფორმაციის მონაცემთა ბაზები.

სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელების ერთ-ერთ პრიორიტეტულ, პროგრესულ ფორმად იქნება მიჩნეული ინტერნეტი, მასში ქართულ და ინგლისურ ენებზე განთავსდება მაკრო-სტატისტიკური ინფორმაცია. სტატისტიკური ინფორმაციის პროდუქტი გამოიცემა დისკეტებსა და კომპაქტ-დისკებზე.

სტატისტიკაში დაინერგება გეო-ინფორმაციული სისტემები. ათვისებული იქნება ინფორმაციის შეყვანის სკანერული ტექნოლოგია. ერთიანი სტატისტიკური რეგისტრის წარმართვისა და აქტუალიზაციისათვის განხორციელდება შესაბამის პროგრამულ საშუალებათა მოდერნიზაცია.

## თავი XII.
## ურთიერთობა ინფორმაციის მომხმარებლებთან

არსებითად გაუმჯობესდება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მახასიათებელი მოხსენებები და წელიწდეულები, თემატური სტატისტიკური კრებულები. თვისობრივად ახალ ხასიათს მიიღებს ურთიერთობა ინფორმაციის ნებისმიერი ტიპისა და რანგის მომხმარებელთან მათი მოთხოვნილებების უფრო სრული, ოპერატიული და ყოველმხრივი დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად. მაქსიმალურად დაცული იქნება სხვადასხვა კატეგორიის მომხმარებლისათვის სტატისტიკურ ინფორმაციაზე თანაბარი ხელმისაწვდომის პრინციპი. მომხმარებელთა ინტერესი დაკმაყოფილდება როგორც ბეჭდვითი სახით, ისე ინფორმაციის გადაცემის სხვა თანამედროვე ელექტრონული საშუალებებით. მომხმარებლებთან მუშაობის ორგანულ ატრიბუტად გადაიქცევა პრესკონფერენციები, ბრიფინგები.

პუბლიკაციების სათანადო ხარისხის უზრუნველსაყოფად შემუშავდება შესაბამისი დოკუმენტები, ჩამოყალიბდება ერთიანი საგამომცემლო სტანდარტი, რომელშიც განისაზღვრება პუბლიკაციის იერსახე, გაფორმების ელემენტები და ა. შ. 2001 წელს დაიწყება სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოსაცემი და სხვა სახის პუბლიკაციების კატალოგის გამოცემა.

2001 წლის პირველ კვარტალში შემუშავდება მომხმარებელთა რეესტრი მათი ძირითადი ჯგუფების გამოყოფით. სისტემატურად დაიხვეწება მათი სპეციფიკური მოთხოვნილებებიდან გამომდინარე ინფორმაციის მიწოდების მეთოდები და ხერხები.

განხორციელდება სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებელთა მოთხოვნების კონიუნქტურული და მეცნიერული კვლევა, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მომხმარებელთა სამომხმარებლო კულტურის ამაღლებას და მათ მიერ სტატისტიკური ინფორმაციის სწორ, ობიექტურ ინტერპრეტაციას.

## თავი XIII.
## საერთაშორისო თანამშრომლობა

სტატისტიკური საქმიანობის წარმატების ქვაკუთხედია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და წარმოებული სტატისტიკური ინფორმაციის საერთაშორისო შედარებითობის უზრუნველყოფა პრინციპით: საქართველოს სტატისტიკა შეიძლება ვერ ანგარიშობდეს ყველა იმ ინდიკატორს, რომლებსაც ითვლიან მოწინავე საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნები, მაგრამ მის მიერ წარმოებული ყველა ინდიკატორი უნდა იყოს საერთაშორისო მასშტაბით აბსოლუტურად შედარებადი და თავსებადი.

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი შეინარჩუნებს და გააღრმავებს იმ ურთიერთობებს, რომელიც ბოლო წლებში ჩამოყალიბდა გაეროს სტატისტიკის განყოფილებასთან, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, მსოფლიო ბანკთან, ევროსტატთან, მოწინავე ქვეყნების (გერმანია, შვეცია, პოლანდია, დიდი ბრიტანეთი, საბერძნეთი, თურქეთი, რუსეთი...) სტატისტიკურ სამსახურებთან. ამასთან, როგორც გამოცდილების გაზიარების, ისე დეპარტამენტის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მაქსიმალურად ნაყოფიერად გამოიყენებს აღნიშნულ ინსტიტუტებთან თანამშრომლობის ნებისმიერ ფორმას (სამუშაო შეხვედრა, სემინარი, კონსულტაცია და ა. შ.)

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი გააფართოებს და თვისობრივად ახალ დონეზე აიყვანს საერთაშორისო შედარებითობას, რათა უფრო სრულად წარმოაჩინოს საქართველოს ადგილი და როლი მსოფლიო მეურნეობაში წარმოებული დოვლათის, კეთილდღეობის და სხვა ინდიკატორების მიხედვით.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 326. პარასკევი, 15 დეკემბერი, 2000 წელი.

## ჟურნალისტის უბის წიგნაკიდან

(პირველი გვერდიდან)

პაუზა:

**არადა, თუ ხალხისთვის განკუთვნილი ქონება ხალხს არ უნაწილდება, მაშინ მან ის მაინც უნდა იცოდეს, რომ სახელმწიფო შემოსავალს კარგად განკარგავს. ეს თითქმის იმას ნიშნავს, რომ ხალხს ამ სიმდიდრით ტკბობის გარკვეული საშუალება ეძლევა.**

ვინ ხარ შენ იმ ზოგიერთისთვის, ვინც ცხოვრების გამრიგედ გაგიმწესეს?

— არარაობა. იმიტომ, რომ ის რბილ სავარძელში ზის, იმიტომ, რომ უახლესი მარკის მანქანა ემსახურება, იმიტომ, რომ სუპერმზეთუნახავი მდივანი თავს დაჰფოფინებს და... კიდევ ბევრი იმიტომ...

ამ დროს დაკისრებული მოვალეობისა და პასუხისმგებლობის ტვირთით ისე უნდა იყოს დამძიმებული, შენს თავისუფლებას შენატროდეს, მაგრამ... გაგიგონიათ? თანამდებობა დღეს, სამწუხაროდ, საქმეს კი არა, მისი მფლობელის კეთილდღეობას ემსახურება... ამიტომაც შენ უკიდურესად უნდა გიჭირდეს, მათი ოჯახები კი ყოველგვარი სიკეთით სარგებლობდნენ...

კაცი, რომელიც იმიტომ აამაღლეს, რომ შენი კეთილდღეობისთვის გარჯილიყო, თავისი მომხმარებლური ფსიქოლოგიითა და ცხოვრების წესით დაუფარავად დაგცინის. უფრო უარესიც, თუ დროზე არავინ შეაჩერა (ეს კი ჩვენთან იშვიათობაა), ისე თამამდება, თავის ნაავკაცარს თავხედურად თვალში გჩრის...

ყოველივე ამაზე მწვავედ და მოურიდებლად ითქვა ამას წინათ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, როდესაც პროფესორ-მასწავლებლები, საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები და სტუდენტები საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამის ძირითადი მიმართულებების პროექტს, მისი შემმუშავებელი ჯგუფის წევრებთან ერთად განიხილავდნენ. ის კი არადა, აკადემიკოსმა თეიმურაზ კოპალიანმა პირდაპირ უთხრა პარლამენტარ ვახტანგ რჩეულიშვილს — საიდან ამდენი სიმდიდრე, თუ არ მოიპარავდი, არ გექნებოდა, მე, აკადემიკოს კაცს, კოსტიუმი ვერ გამომიცვლია, შენ ამდენი საიდანღა დააგროვეო?

მართალია, ჩემი ქონება ჩემი ხელისშემშლელია, მაგრამ შემიძლია დავამტკიცო, რომ თითოეული თეთრი ჩემი და მამაჩემის ალალი შრომით არის მოპოვებული, — უპასუხა რჩეულიშვილმა და იქვე შეეცადა დაწვრილებით ახსნას, თუ როგორ გამდიდრდა.

მსგავსი განმარტებები საზოგადოებას არაერთი, ე. წ. ახალი ქართველისგან მოუსმენია ამ ბოლო დროს, მაგრამ არც ისეთი ბეჩავია ვინმე, არ იცოდეს, თუ რა ოქროს კოშკს დაიდგამს კაცი ალალი შრომით დღეს, არც რჩეულიშვილისთვის დაუკრავს იმ დღეს ვინმეს თავი თანხმობის ნიშნად, უბრალოდ, ის შერჩათ გამომსვლელებს ხელში პარლამენტართაგან (სხვას მოსვლით თავი არ შეუწუხებია), თორემ დარწმუნებული ვარ, რომ მოსულიყვნენ, ბევრს არ დააყრიდნენ კარგ დღეს.

ვინ არის დღეს იმის „ჩიტი", ჩინოვნიკის მიერ მოყოლილი გამდიდრების ზღაპარი დაიჯეროს? მაგრამ... გვიყვებიან, თანაც სწამთ, რომ გვაჯერებენ. ეს კი სიბრიყვეა.

ამ თავყრილობაზე ანტიკორუფციული პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფის ხელმძღვანელმა, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ლადო ჭანტურიამ საზოგადოებაში დღეს გამეფებულ მორალურ კლიმატს გაუსვა ხაზი. თქვა, რომ კორუფციის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ელიტური კორუფციაა, რომელიც ხელისუფლების მაღალ ეშელონებში არსებობს. ჩვეულებრივ ის დაკავშირებულია განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხებისა თუ მატერიალური სიკეთეების მითვისებასთან. ამიტომაც იწვევს იგი საზოგადოების განსაკუთრებულ პროტესტს...

აღნიშნა ისიც, რომ საქართველოში დღეს არსებულმა კორუფციის დონემ საზოგადოებას დაუკარგა ნდობა სახელმწიფო უწყებებისადმი, დაარღვია მოსახლეობის სამოქალაქო ერთობის ზნეობრივი საფუძველი. ბევრს, ძალიან ბევრს იმისიც კი აღარ სჯერა, რომ შესაძლებელია დღეს საქართველოში არსებობდეს არაკორუმპირებული სახელმწიფოებრივი და სამოქალაქო სტრუქტურა... და აქვე: ლადო ჭანტურიამ უმაღლეს თანამდებობის პირთა ეთიკის კოდექსის მიღების აუცილებლობა გამოკვეთა, რომელშიც დამატებით უნდა განისაზღვროს მათდამი წაყენებული მოთხოვნები. სწორედ ამ წინადადებამ გამახსენა სხვადასხვა დროს უბის წიგნაკში ჩაწერილი შენიშვნები, თანამდებობის პირთა მიერ ზრდილობის ელემენტარული ნორმების დაცვის აუცილებლობის შესახებ.

# ათასად კაცი დაფასდა...

## ჩვენი დროის პარადოქსები



**კაცი, რომელიც იმიტომ აამაღლეს, რომ შენი კეთილდღეობისთვის გარჯილიყო, თავისი მომხმარებლური ფსიქოლოგიითა და ცხოვრების წესით დაუფარავად დაგცინის. უფრო უარესიც, თუ დროზე არავინ შეაჩერა (ეს კი ჩვენთან იშვიათობაა), ისე თამამდება, თავის ნაავკაცარს თავხედურად თვალში გჩრის...**

ბევრი ვიფიქრე, კონკრეტულად სჯობდა მეთქვა (პიროვნებათა გვარ-სახელს ვგულისხმობ კონკრეტულობაში), თუ ისე, ზოგადად, მაგრამ მოდით, ამჯერად იმ სიტუაციებს აღვწერ, რომელშიც თვითონ ვყოფილვარ, და მჯერა, მტრიხები თვითონ იპოვიან თავის ადრესატს...

პაუზა:

**ერთხელ არწივმა თავის ბუდეში მუხლუხო ნახა მოკალათებული. გაოცდა, ამ სიმაღლეზე როგორ ამოხვედიო? ხოხვითო, უპასუხა მუხლუხომ.**

შემდეგ ხოხვით, ქლესვითა და ლიქნითაა ზოგიერთი მოხვედრილი თანამდებობაზე, თორემ კაცი — ფუყე და არაფრისმაქნისი, მთავრობაში როგორ უნდა გაჭაჭანებულიყო?

მავანს კი აშკარად ეტყობა, რომ ძილ-ღვიძილშიც სულ გამორჩენაზე ფიქრობს, საიდან ვასკვნი? ორგვარი სალამი იცის, ერთი ანგარებიდან გამომდინარე, მეორე მშიერ გოშიასთვის გადაგდებული ლუკმის მსგავსი. ერთს სულ არ ამჩნევს, მეორეს ათას კაცში გამოარჩევს, ერთი ცაში აჰყავს ქებით, მეორეს აცამტვერებს... თვითონ? თვითონ კარგად ცხოვრობს, მეცნიერებაზეც თავს დებს, თუმცა კოლეგები ამბობენ, დიდად არაფრით გამოირჩევაო... ბევრჯერ შეუტიეს, მაგრამ წყლიდან, რატომღაც, ყოველთვის მშრალი ამოვიდა...

მან კი სულ დაბალი საფეხურიდან დაიწყო. კანონზომიერად ამაღლდა, მინისტრიც იყო ერთხანს. მაგრამ წუთითაც არ დავიწყნია, რომ, უწინარეს ყოვლისა, ჩვეულებრივი ადამიანი იყო. არ გაღიღუულებულა, არც მის მდივანს სცვიოდა კატის ბეწვივით ტყუილი: მინისტრი არ არის, დაკავებულიაო. არ ეცალა, თვითონ გეტყოდა, ეცალა და შეეძლო, თვითონვე გხლებოდა. მიუხედავად მაღალი ჩინისა (პირდაპირი გაგებით), თავმდაბლობის გამო მისთვის ჩინმედლები არავის ჩამოურთმევია, თანამდებობიდანაც უმტკივნეულოდ წავიდა. თვითონ არაფერი დაუშავებია, მაგრამ რაღაც ხომ მაინც თავისი თუ ხელქვეითთა უყურადღებობით გაფუჭდა? მორალმა უკარნახა, სკამს არ ჩაბღაუჭებოდა. იგი უსკამოდაც პიროვნებაა და დღესაც ქვეყნის საკეთილდღეოდ იღწვის.

იგი კი ენერგეტიკის ერთ-ერთ მამად ითვლებოდა. თანამდებობა არც დღეს აკლია, მაგრამ ძველისთვისაც აქვს ხალხისთვის პასუხი გასაცემი. ვისთვის უხვსალმიანი იყო, ვისთვის — ძუნწი. მცნობდა, მაგრამ არასოდეს მომსალმებია. იშვიათად, მაგრამ როცა მომენტი მოითხოვდა, ვესალმებოდი. ხან მიპასუხებდა, ხან — არა. ერთხელაც მისმა ინფორმაციამ მთავრობის სხდომაზე ბლიც-ინტერვიუ მოითხოვა. სხდომის დამთავრებისთანავე შევბედე, დამდო პატივი, შეჩერდა, მაგრამ რად გინდათ, ჩემს შეკითხვასაც უპასუხებდა და აურიამებულ დარბაზში მყოფთაც არ ტოვებდა უყურადღებოდ. გაწყვიტა უცბად ლაპარაკი და ერთერთ ჩემს კოპწია კოლეგას მიმართა, რატომ აღარ რეკავ, სულ დაგვივიწყეო? რა თქმა უნდა, იმანაც უპასუხა... როგორ შეეძლო თანამდებობის პირს და ისიც მამაკაცს, ასე უბოდიშოდ, არაფრის გამო გაეწყვიტა ინტერვიუ? ან, იქნებ, მე მგონია, რომ არაფრის გამო? რა თქმა უნდა, პროტესტის ნიშნად გამოვრთე დიქტოფონი და გავეცალე. ბუნებრივია, არც ინტერვიუ დაბეჭდილა. ის დიდი კაცი არც მაშინ და არც მეორე დღეს არ დაინტერესებულა, მქონდა თუ არა მასთან კვლავ შეკითხვა, ან ის, რაც მითხრა, რატომ არ გამოქვეყნდა მეორე დღეს გაზეთში.

ეს კაცი ადრე ერთ-ერთ მაღალ თანამდებობას განაგებდა. დღეს პარლამენტარია. სხვას ისე დამაჯერებლად უქნევს თითს, გეგონებათ, თვითონ სულ თითისწვერებზე დადიოდეს ეთიკის წინაშე. კარგად მიცნობდა, როგორც ჟურნალისტს. ერთიორჯერ მისი მუშაობაც კი გავაცანი საზოგადოებას. კიდევ ვეწვიე, რა თქმა უნდა, სარედაქციო დავალებით. ვზივარ და ველოდები, მოვაო, — მითხრა მდივანმა. შემოდის, შემოჰყავს ჩემი კოლეგა ერთ-ერთი „ბოლმა" გაზეთიდან. პატივისცემის უპირატესობა აშკარად ჩემი კოლეგის მხარეს არის. ვგრძნობ, მაგრამ არ ვიმჩნევ, რას იზამ, დრომ მოიტანა, — დღეს ვისიც გეშინია, იმას ეფერები...

და მოდით, ერთიც ამოვისუნთქოთ.

პაუზა:

**თაგვს ჰკითხეს, ყველაზე დიდი მხეცი ვინ არისო?**

**— კატაო, — უპასუხა.**

შემოდის მდივანი და ბოდიშის მოხდით შემოჰყავს უცხოელი სტუმრები. ჩემი მასპინძელი, რა თქმა უნდა, კვლავ ჩემს კოლეგას, არნახული ეპითეტებით, წარუდგენს მათ. მე კვლავ ვაიწყდები... იმ ჟურნალისტმა თავის წერილში მაინც წაკბინა, მე საქმის ობიექტური მხარე წარმოვაჩინე. მასპინძლის ეს შეუფერებელი შტრიხი კი ჩემთვის ჩავინიშნე.

ამ თანამდებობაზე ახლა სხვა ზის, ზრდილი და თავაზიანი, ოღონდ ქალბატონი...

ვისზეც ახლა უნდა ვთქვა, ლამის ნათესავადაც კი მეკუთვნის. რაც თავი მახსოვს, სულ თანამდებობის კაცი იყო. ახლა აღარა... პირისპირ მუდამ მცნობდა. საქმით — არასოდეს. არავისთან დასცდენია ჩემს სასარგებლოდ კეთილი სიტყვა. ის კი არადა, დიდ ღონისძიებებზე თვალს ისე ოსტატურად ამარიდებდა, თითქოს ვერც მხედავდა. ბევრს დაუჩივლია იმ დიდ კაცზე ჩემთან იგივე. და, სამწუხაროდ, კვერი დამიკრავს. ასეთი და მსგავსი კუდით ნაქებლებს ხომ ვერ წავუშლი?

ის კი სულ ახალგაზრდაა, უზენაესი სტრუქტურის თავკაცი, კაცი ზრდილი და პატიოსანი, ზნემაღალი და კეთილზე კეთილი. კაცი, რომელსაც იშვიათად მოეძებნება დღეს მსგავსი, რომელიც თავისი განსწავლულობითა და კულტურით იდგეს მის საღარ სიმაღლეზე და მაინც იყოს იმდენად თავმდაბალი, საქვეყნოდ პატივს სცემდეს იმ ხალხს, ვისაც ადამიანობისა და ნიჭიერების გარდა არაფერი გააჩნია: არც თანამდებობა და არც ჩინ-მედლები.

სამაგიეროდ, არის კიდევ სხვა ახალგაზრდა, სულ ახლახან გამთავრობისწევრებული, არანაკლები ნიჭითა და ცოდნაგანათლებით გამორჩეული. მაგრამ ზრდილობა-კულტურასთან ერთობ მწყრალი. მას ბევრი სასიკეთოს ქმნა ძალუძს და ბევრ რამეშიც შეუძლია, რომ გული დაგწყვიტოს. თუნდაც იმაზე, რომ აშკარად გაგრძნობინოს, ვინ ხარ შენ, სულაც არ მეპიტნავებიო. და ამას ისე უაპელაციოდ გეტყვის, — არ მცალია, მოვიცლი და შეგატყობინებთო, მორიდებულად მეთავამებული ინტერვიუ პირზე შეგაციედება. შენთვის ვერასოდეს იცლის. ოპოზიციური გაზეთებისთვის კი, იცოცხლეთ...

სხდომაზე შეუძლია გადაიმხლართოს... ისე დაამთქნაროს, მთელი დარბაზი ხახაში ჩაიტიოს, ან ისე გაიზმოროს, შეგეშინდეს, მხრები არ ამოუვარდესო. სამაგიეროდ, ღმერთმა მოგცეს მაქებრად და გამოროს მაძაგებლად, — ერთიც უკიდურესი იცის და მეორეც. უკიდურესობა კი ვერაფერი სახეიროა, ფეხის წამოკვრა იცის, ამის შედეგი კი ყოველთვის წაბარბაცება როდია, ამ დროს უფრო ხშირად კისერს იტეხენ.

ფუი, ეშმაკს, რამ გამახსენა, მაგრამ ნათქვამია, კაცი მაღალ მდგომარეობას ხშირად იმავე ნაკლის გამო ჰკარგავს, რამაც ადრე შეუწყო ხელი მის ამაღლებასო.

აი ისინი კი, დარბაზში მძიმემძიმედ, მხრებისა და პორტფელების ქნევით რომ შემოდიან, ისე უჩუმრად გესალმებიან, თითქოს არც შენი წყენინება უნდათ, და არც ის, რომ ამგვარი თავმდაბლობა შენიშნონ კოლეგებმა. თუ პროფესიიდან გამომდინარე შეკითხვა გაქვს და ჩაუსაფრდი, ისე გიპასუხებენ, ზედაც არ შემოგხედავენ, შენც გელაპარაკებიან და სხვასაც არ ტოვებენ უყურადღებოდ. კეისრობას ჩემულობენ. კოლეგებთან კი რიხიანად ლაპარაკობენ, ყოყლოჩინობენ, თავს იფასებენ, თემის შესაბამისად იღიმებიან, იცინიან, ხარხარებენ და ეს მანამდე, სანამ კარს უმაღლესი ხელისუფალი შემოხსნიდეს, მერე კი ყველა ერთიანად გაიტრუნება და მე ვხედავ მათ ნამდვილ სახეებს, მათი შინაგან ბუნებას, რაც იმაზე ნაკლებ ამაზრზენი როდია, რაც ზემოთ მოგახსენეთ...

ან კიდევ, რომ იცოდნენ, რა სასაცილოდ გამოიყურებიან ისინი, რომლებიც რალაცნაირად წრიალებენ, წვალობენ, რათა იქნებ როგორმე უმაღლესი ხელისუფალის მხედველობის არეალში მოხვდნენ, იქნებ ამოიცნონ, რა თვალით უყურებს იგი ნებისმიერს. ვაი თუ იმას შეხედა, ვისაც ხვალ უნდა შეხედოს და არა იმას, ვისაც დღეს ხედავს?

ჩემი დაკვირვებით, სწორედ ისინი იტანჯებიან, ვისაც თავის ნაჩუმათევ-ნახელმრუდევი აწუხებს და ახლა ამ დამამცირებელი მანჭვა-გრეხით ცდილობს, ამოიცნოს გაცხადებულა თუ არა მისი დაფარული.

**მოდით, აქ დავსვამ ამჯერად მრავალწერტილს და არა წერტილს, რადგან სათქმელი ჯერ კიდევ ბევრი, ძალზე ბევრი მაქვს, ოღონდ სახვალიოდ.**

**ზოგადი ლაპარაკი რის მაქნისიაო, იქნებ შემომედავოს მკითხველი და ამ წერილის არაკონკრეტულობის გამო მისაყვედუროს, მაგრამ მერწმუნეთ, შემდგომ წერილებში არც ამ დაკონკრეტებას გავექცევი, რადგან ჩემი არცთუ ხანმოკლე ჟურნალისტობის მანძილზე ბევრ მაღალჩინოსანს შევხვედრივარ და მოსაუბრია. ბევრის სიწმინდე და პატიოსნება დამინახავს, ბევრის — სიბრიყვე და სიბეცე, ბევრისა — თვალთმაქცობა და ცბიერება, პირფერობა თუ სიიაფე. ერთნი წასულან, მეორენი მოსულან, ჩვენ კი ჟურნალისტები ამ ცვალებადობის კალეიდოსკოპს დიდად არ გავუკვირვებივართ, რადგან ვიცით, მომხმარებლური ფსიქოლოგია, „ჯერ თავო და თავოს" კრედო და ადამიანთა კეთილდღეობისათვის ზრუნვის უკანა პლანზე გადაგდება, ადრე თუ გვიან, ბუმერანგივით უკან ბრუნდება. რაც შეეხება ზრდილობას, იგი, როგორც სამკაული, დასაბამიდან, ამშვენებს კაცს.**

**მაშინ მე რაღა მაწუხებს? თუნდაც ის, რომ კაცი, რომელიც იოტისოდენადაც ვერ აგამაღლებს, შენს ცხოვრებას არ უნდა განაგებდეს!**

**რუსუდან ლორთქიფანიძე.**

## წიგნი

— ჩვენ ამას გადავწყვეტთ, როცა დოკუმენტებს ვიპოვით, — ცივად შენიშნა დრონგომ, — ხელი გადმოწიეთ, ლიკვიდატორო, აიღეთ თქვენი ძმისშვილის პისტოლეტი. ჰო, მართლა, სად იშოვეთ ასეთი ძველთაძველი „ტტ"? არც გაიფიქროთ სროლა. უჩემოდ მაინც ვერავის იპოვით, ხოლო თუ მომკლავთ, საერთოდ ვერაფერს მიიღებთ. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ასეთი ძველი პისტოლეტი შეიძლება, არც გავარდეს. სად იყიდეთ? ძველ ბაზარზე?

პოტაპჩუკმა ხელი გადასწია, დრონგომ უყოყმანოდ მიაწოდა ახალგაზრდას პისტოლეტი. პოტაპჩუკმა იარაღი თავზე მიაბჯინა.

— არ გეშინია, — ინტერესით შეეკითხა ის, — თუკი გესერი?

— მე ხომ გითხარი, რომ თავი სუსტი ადგილი გაქვთ, — საყვედურით წაიჩურჩულა დრონგომ, — შეინახე პისტოლეტი და თავი დაანებე ტაკიმასხარაობას. უნდა გადავწყვიტოთ, რა გავაკეთოთ შემდეგ.

— თქვენ მართლა დრონგო ხართ? — ჰკითხა პოტაპჩუკმა, პისტოლეტს რომ ინახავდა.

— მაინც, თქვენი აზრით, როგორი უნდა ვიყო? კბილებში ჩიბუხგაყრილი, რათა დამიჯერო? ან იქნება შენი ძმისწული უნდა მიმეხვრიტა, რათა დამემტკიცებინა, რომ დრონგო ვარ? შენც ერთი, რობინ ჰუდი გამოხვედი რა ... „ისინი სუქდებიან, მე კი სიღარიბეში ვცხოვრობ", — გამოაჯავრა მან ლიკვიდატორს.

— ეს აქ რა შუაშია?

— იმ შუაშია, რომ, — მკაცრად უთხრა დრონგომ, — ხალხს უბედურება დაატყდა. შენ კი ქურდულად შეიპარე იმათ სახლში და შენ ოხრობები იქ დააყენე. სასწრაფოდ მოაშორე, თორემ შენთან ერთად არსად არ წამოვალ. დღესვე მოაშორე. შემდეგ კი ჩვენ გადავწყვეტთ, რა უნდა გავაკეთოთ.

— ლოზინსკითანაა წასვლა საჭირო... — შესთავაზა პოტაპჩუკმა, — ის ახლა კიევშია. ის უნდა დაიკითხოს.

— დასაწყისისათვის გეთანხმები. მაგრამ ჯერ მიკროფონები მოაშორე. გაითვალისწინე, რომ შევამოწმებ. რაც გინდა, ის მოიტყუე, ოღონდ შენი აპარატები იქიდან წაათრიე. თუმც დარწმუნებული არა ვარ, რომ ლოზინსკი იმის კურსში არ იყოს, თუ სად ცხოვრობენ საველიევი და მისი თანამებრძოლი. მაგრამ ვერსიის სახით გამოდგება. მამასადამე, მოვილაპარაკეთ, დღეს თქვენ მოხსნით მიკროფონებს, ხვალ კი კიევში გაფრინდებით, ვფიქრობ, პასპორტის პრობლემა არ გექნებათ.

— არა, — გაიღიმა პოტაპჩუკმა და მეორე პისტოლეტიც შეინახა.

— ცოლის საქმე როგორა გაქვს? — გაახსენდა დრონგოს, — მისი მარტო დატოვება შეგიძლია?

— ცოლი აღარა მყავს, — ნაღვლიანად უპასუხა პოტაპჩუკმა, მას ისევ გაუფუჭდა ხასიათი, — მე მარტო დავრჩი.

დრონგომ მანქანის კარი გააღო. შემდეგ რაღაც გაახსენდა და ჰკითხა:

— ის ყმაწვილი მართლა თქვენი ნათესავია? უკეთესი ვერავინ იპოვე? თუ არავის ენდობით?

— ამასაც მიხვდით, თუ ჩემგან გაიგეთ? — იკითხა მოღუშულმა პოტაპჩუკმა.

— რასაკვირველია, მივხვდი. თქვენ ხომ ტიპიური მევახშე ხართ, ფულს არავის გაუყოფდით. თანაც სახიფათოა უცხო ადამიანებისათვის ასეთი საქმის მინდობა. მამასადამე, შევთანხმდით, კიევში ერთად გავემგზავრებით. ხვალ კალინინზე, წიგნის მაღაზიასთან დაგელოდები. ეს კი, ალბათ, უეჭველად იცი?

— რატომ იქ? — ვერ მიხვდა პოტაპჩუკი.

— ვერ მოვასწარი წიგნის მაღაზიაში შევლა, მინდა, საინტერესო წიგნი ვიყიდო, რათა თვითმფრინავში თქვენი სისულეები არ ვისმინო, — ჩაიცინა დრონგომ, მძლავრად მიაჯახუნა მანქანის კარი და მეტროს სადგურისკენ გასწია.

პოტაპჩუკმა პისტოლეტი ასწია, დაუშვა, რაღაცაზე ჩაფიქრდა, ისევ ასწია და დაუშვა. დრონგომ იგრძნო საფრთხე, მაგრამ არ მობრუნებულა. პირველი წუთიდანვე უნდა აგრძნობინო არამზადას, რომ მისი არ გეშინია. ამიტომაც მიდიოდა ასე მშვიდად, მანქანას რომ მორდებოდა და სამიზნედ თავისი ფართო ზურგი მიუშვირა. საღამოს სახლში რომ დაბრუნდა, ვლადიმერ ვლადიმეროვიჩს დაურეკა.

— შენ თავად არ იცი, სად შეძვერი, — მაშინვე უთხრა მოხუცმა, — ეს, როგორც ჩანს, უზარმაზარი პრობლემაა, მაგრამ მე თავიდან დავიწყებ...

### თავი IX

საღამოს, სამსახურიდან წასვლის წინ, ის ლოქტიონოვმა გამოიძახა. ალექსეევი ამ საუბარს უკვე სამი თვე ელოდებოდა. სამი თვე, რომლის დროსაც საველიევის ჯგუფის ძებნა ოდნავადაც არ წაწეულა წინ. თითქოს ოთხივე გაითქვიფა რღვევის მღვრიე და ავადმყოფურ ატმოსფეროში, ასე დამახასიათებელი რომ იყო ოთხმოცდათერთმეტი წლის შემოდგომისათვის. ალექსეევი მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ სუკის ოფიცრები არ შეიძლება, ასე გამქრალიყვნენ. ამიტომაც ისევ და ისევ ამოწმებდა ყველა დოკუმენტს, აღნიშნავდა რა გამოვლენილ დეტალებს. მაგრამ დაკარგულებზე ვერაფერი გაიგო. ერთ-ერთ ასეთ საღამოს გამოიძახა ლოქტიონოვმა.

— არის რაიმე ახალი? — მოქანცულად ჰკითხა გენერალმა, როცა ალექსეევი მის პირდაპირ ჩამოჯდა, — ლოქკუტიასის საქმეში არაფერი შეცვლილა?

— არა, გულახდილად უპასუხა ალექსეევმა, — მილიციამ უზარმაზარი შრომა გასწია, ასობით მოწმე დაიკითხა. მათი აზრით, ბანკის ვერსიას უნდა შეეეშვათ.

— როგორც ჩვენ მიგვაჩნდა, — დაეთანხმა გენერალი, — თქვენ რა გაქვთ ახალი?

— უფრო უარესი. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ჯგუფის ყველა წევრი აორთქლდა.

— ეს ლირიკაა, — შეედავა გენერალი, — მოიტა კონკრეტული ფაქტები.

— ჯერ ერთი, ჯგუფი ჩამოყალიბდა სუკის ყოფილი თავმჯდომარის, გენერალ კრიუჩკოვის პირადი მითითებით, ოთხმოცდათერთმეტი წლის იანვრის მოვლენების შემდეგ ლიტვაში. მაშინ პენსიაზე გაუშვეს ბობკოვი, მიხეილ გორბაჩოვის დაჟინებით, მას დამნაშავედ რომ თვლიდა ასეთ დაპირისპირებაში. მე ვფიქრობ, რომ სუკის ხელმძღვანელობა იოლად როდი წავიდა ასეთ ნაბიჯზე. ბობკოვი ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილია, თუ ყველაზე გამოცდილი არა, კრიუჩკოვის დროინდელი სუკის თანამშრომელთა შორის. და აი, ბრწყინვალე პროფესიონალს პენსიაზე აცილებენ...

— ყოველივე ამას რატომ მიამბობ? — ჰკითხა ლოქტიანოვმა, — მე უშენოდაც კარგად მახსოვს ყველაფერი.

— ცხადია, ამის პასუხად სუკის მაშინდელი ხელმძღვანელობა იწყებს ზესაიდუმლო ოპერაციას საველიევის ჯგუფზე მითითებით, — გააგრძელა ალექსეევმა, თითქოს ყურადღებაც არ მიუქცევია გენერლის რეპლიკაზე, — ამიტომაც საველიევის ჯგუფისათვის შეირჩა ორი ლიკვიდატორი და ორიც ანალიტიკოსი. ცხადია, უკვე გაანგარიშებული იყო ლიტვის შესაძლებელი გამოყოფის ვარიანტები და წინასწარ მზადდებოდა მასალები ცენტრალური დაქვემდებარებების აგენტურაზე ისე, რომ ყველაზე ძვირფასი აგენტები უშუალოდ მოსკოვისთვის შეენარჩუნებინათ.

— შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ შენ სუკში არ გიმუშავია და არ იცი, ყოველივე ეს როგორ კეთდებოდა, — თავი გაიქნია ლოქტიონოვმა, — რაში მჭირდება ეს ანბანური ჭეშმარიტება, პირდაპირ საქმეზე გადადი.

— ჯგუფი უშუალოდ სუკის თავმჯდომარეს კრიუჩკოვსა და ერთ-ერთ ოფიცერს ექვემდებარებოდა. ოფიცრის გვარი არსად არის მოხსენიებული, მაგრამ ის საველიევის ჯგუფის მუშაობის შედეგებზე უშუალოდ სუკის თავმჯდომარეს მოახსენებდა. ცხადია, „ლიკვიდატორები" იმისთვის გააგზავნეს, რათა „გაეწმინდათ" ანალიტიკოსების შესაძლო შეცდომები და თავიდან მოეშორებინათ არასასურველი პირები, ვინც უარს იტყოდა მოსკოვთან თანამშრომლობაზე. მაგრამ საქმის მასალებში არ არის მონაცემები იმაზე, შეძლო თუ არა ჯგუფმა დასახული ამოცანის შესრულება. არცერთი ოფიცერი საველიევის ჯგუფის თანამშრომლებიდან კონტრდაზვერვის ორგანოებში აღარ მუშაობს, ოთხივე დათხოვნილია ოთხმოცდათერთმეტის შემოდგომაზე. უფრო სწორედ, ორი დაითხოვეს, ორი კი ჩამოწერეს, როგორც მოკლულები.

— რატომ მიმეორებ იმას, რაც მე თვითონ გითხარი, — თავი გააქნია ლოქტიონოვმა, — შენ სამი თვე მუშაობდი, რათა ყოველივე ეს, უკვე ცნობილი ამბები დაგვედგინა, ესაა ყველაფერი, რაც გაიგე?

— არა, ეს ყველაფერი არაა, — შეეპასუხა ალექსეევი, — ჯერ ერთი, მე შევძელი, გამერკვია, თუ ვინ მოახსენებდა აგვისტოს იმ დღეებში უშუალოდ კრიუჩკოვს ლიტვის მოვლენებზე. აი, ოფიცრების სია. სამი კაცია. კრიუჩკოვი მათ პრაქტიკულად ყოველდღე ღებულობდა. შეიძლება გამოვიანგარიშოთ, სახელდობრ, ვინ იყო დაკავშირებული საველიევის ჯგუფთან.

— საიდან მიიღე? — სიისაკენ ხელი გაიშვირა დაინტერესებულმა ლოქტიონოვმა.

— კრიუჩკოვით დაინტერესდნენ საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტის (გკჩპ) ჩავარდნის შემდეგ, — განუმარტა ალექსეევმა, — მაშინ მასთან პროკურატურის თანამშრომლები მივიდნენ. მათ დოკუმენტები ამოიღეს მისი პირადი სეიფიდან. სანამ მიმდინარეობდა გამოძიება „გეკაჩეპეს" საქმეზე, ისინი პროკურატურაში ინახებოდა. მაგრამ ამნისტიის შემდეგ ფედერალური უშიშროების სამსახურს დაუბრუნეს. მე ნებართვა ვითხოვე მათ გასაცნობად.

— ძალზე გონიერულია, — თავი დაუქნია გენერალმა. მან სიაში ჩაიხედა, წაიკითხა და მოიღუშა, — შენ ხომ არ გადაირიე?

— ეს გვარები კრიუჩკოვის უბის წიგნაკში იყო, — ჯიქურად უთხრა ალექსეევმა, — სწორედ ამ ხალხს ღებულობდა ის ბოლო თვეში, თითქმის ყოველდღიურად.

ფურცელზე სამი გვარი ეწერა — პოლკოვნიკი მუშკარიოვი, პოდპოლკოვნიკი ლოქტიონოვი, პოდპოლკოვნიკი სარიჩევი. მითითებული ოფიცრებიდან მეორე თავად ლოქტიონოვი იყო, ამ ექვსი წლის მანძილზე, რაც ოთხმოცდათერთმეტს აშორებდა, გენერალმაიორობას რომ მიაღწია. მან დაბნეულად ერთხელ კიდევ ჩაიკითხა სია და თვალები ალექსეევს მიაპყრო.

— სულ ეს იპოვეთ? ბევრი არაფერია. მე თვითონ გეტყოდით, თუ ყოველდღიურად რა საკითხებზე მოვახსენებდი. მას აინტერესებდა მოვლენები აღმოსავლეთ ევროპაში, განსაკუთრებით ბულგარეთსა და რუმინეთში. მე მაშინ ამ მიმართულებებს ვკურირებდი, ნამდვილად ყოველდღიურად მოვახსენებდი. შენ გაკმაყოფილებს ეს პასუხი, თუ ჩემს დაკითხვას აპირებ?

— უბრალოდ, მე მიმაჩნია, რომ საჭიროა თქვენი სანქცია კრიუჩკოვისა და დანარჩენი ორი ოფიცრის დაკითხვაზე, რომლებიც უკვე აღარ მუშაობენ ჩვენს უწყებაში.

— ჩვენთან ბევრი ვინმე აღარ მუშაობს. ეს არ ნიშნავს, რომ ყველაზე ეჭვი გვქონდეს, კიდევ რა აღმოაჩინეთ?

— ჩვენთან დარჩენილი დოკუმენტებით თუ ვიმსჯელებთ, პოლკოვნიკ იაკუტისს არავითარი კავშირი არ ჰქონდა საველიევის ჯგუფის მუშაობასთან. იგი მხოლოდ ეხმარებოდა მას, გამოდიოდა რა კოორდინატორის როლში, ამიტომაც სწორედ ამის გამო მისი მოკვლა არ შეეძლოთ.

— მაშინ ვინ მოკლა ის და რატომ?

— ეს ჯერჯერობით არ ვიცით.

— სამაგიეროდ მე ვიცი, — მკაცრად დაასკვნა გენერალმა, — შენ მნიშვნელოვანი საქმის დამუშავება მოგანდეს, შენ კი კატა-თაგვობანას თამაშობ. მაშინვე მოსულიყავი ამ ქაღალდით ჩემთან და მე ყველაფერს აგიხსნიდი. კრიუჩკოვის დაკითხვის ნებასაც არავინ მოგცემს. ახლა ის დრო აღარ არის, რომ მოხუცი შევაწუხოთ.

— მას შეუძლია, გამოძიებას დაეხმაროს, — ჯიუტად თქვა ალექსეევმა.

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 313-321, 323-325.

ჩინგიზ აბდულაევი

# „გუშინდელი დღე შობს ხვალეს"



## გვთავაზობენ

### გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციას

# აღვადგინოთ ეროვნული მთლიანობა და საზოგადოებრივი თანხმობა

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" წლეულს, 26 ნოემბერს გამოქვეყნდა ბატონ ლევან სანიკიძის წერილი სათაურით „კიდევ ერთხელ ეროვნულ სახელმწიფოსა და ეროვნულ იდეოლოგიაზე", რომელშიც საუბარია ჯემალ (გიორგი) ლაზარიაშვილის ნაშრომის „ეროვნული იდეოლოგია და სახელმწიფო" მნიშვნელობის შესახებ. გამოთქმულია მოსაზრება იმ უარყოფითი მოვლენების ირგვლივ, თუ როგორ წალეკა ყოველივე არაქართულმა ეროვნული ფასეულობანი. ვხედავთ, თუ როგორ ანგრევს ეროვნულ თავმოყვარეობას კოსმოპოლიტურ-ინტერნაციონალური იდეოლოგია, რომელიც გადაშენებით ემუქრება ყოველივე ქართულს. როგორც ცნობილია, „სულიერი დეგრადაცია არის არა მარტო სულიერი გადაგვარების, არამედ ფიზიკური გაქრობის საშიშროებაც";

ყოველივეს ითვალისწინებს ჩვენი ხილული თუ უხილავი მტერი, რომელიც ჩვენი გეოგრაფიული საზღვრების მოშლაზე მეტ ყურადღებას ერის სულიერ ნგრევას აქცევს. ნგრევას, რომელიც კოსმოპოლიტური იდეოლოგიის მეშვეობით ხორციელდება.

განსაკუთრებით უჭირს ქართული სახელმწიფოს მშენებლობას; გაურკვეველია მისი განმსაზღვრელი სამართლებრივ, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პრინციპები. მოუგვარებელია ეროვნული ერთიანობისა და თანხმობის საკითხი. 27 ნოემბერს რადიოინტერვიუში საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა: „ეროვნული მთლიანობა" ნიშნავს, რომ ყოველი ქართველი, საქართველოს მოქალაქე (განურჩევლად პოლიტიკური შეხედულებისა) გაერთიანდეს რამდენიმე უზენაესი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეალის გარშემო. ეს არის, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობა, პიროვნებისა და მოქალაქის თავისუფლება, წინაპართა კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება, აღორძინება" (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა" №311, 28 ნოემბერი, 2000 წელი).

საქართველოს პოლიტიკური, სულიერი და ეკონომიკური კრიზისის დღევანდელ ვითარებაში გვინდა, გვჯეროდეს საქართველოს პრეზიდენტისა, იმ ადამიანებისა, რომლებსაც ჭეშმარიტად აწუხებთ ქვეყნის ბედი. ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ საზოგადოებრივი თანხმობა და ეროვნული მთლიანობა შესაძლებელია მხოლოდ ჯანსაღი ეროვნული იდეოლოგიის განხორციელების მეშვეობით, რასაც განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობენ პრესის საშუალებები, რადიო და ტელევიზია.

**ვიზიარებთ ბატონ ლევან სანიკიძის წინადადებას — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ეგიდით, თვეში ერთხელ ჩატარდეს საჯარო დისკუსია თემაზე „ეროვნული იდეოლოგია და ქართული სახელმწიფო".**

როგორც ერის სულიერი მამა ილია იტყოდა: „არავინ არის ქვეყანაზე იმისთანა, რომ რაიმე კეთილი, სახელმწიფოსათვის გამოსაყენი ნიჭი და უნარი არ სჭირდეს... ოღონდ კი ნუ შეჰხუთავთ, გზა მიეცით ყველას თავი იჩინოს თავისებურად, თავის ღირსებისა და სიკეთისამებრ" (ი. ჭავჭავაძე, ტ. III, გვ. 159-160).

საზოგადოების მონაწილეობა ჯანსაღი ეროვნული იდეოლოგიის ფორმირებაში შესაძლებლობას მოგვცემს, აღვადგინოთ ეროვნული მთლიანობა და საზოგადოებრივი თანხმობა შესაფერისი ფორმითა და პოლიტიკური, სამართლებრივი, სოციალურ-ეკონომიკური პრინციპებით.

**ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის საზოგადოებრიობის სახელით: რაჟდენ სტურუა, რომან კოპლატაძე, იური რატიანი, გიორგი ჩიჩინაძე, თამარ შანიძე, ჯემალ ქურციკიძე, ციცინო ასლამაძე, ელენე წიკლაური, ვასილ ზანგურაშვილი, ქეთევან ქვარიანი, ვაჟა აბაშიძე, მარინა შაღური.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

ეროვნული ბიბლიოთეკა




# დედოზარი

საქართველოს რესპუბლიკა | ყოველთვიური დამატება | №42 | 15 დეკემბერი, 2000 წელი.


წინასაახალწლო



## სოფლის ხვავი და ბარაქა — დახლებზე

აგრარული ბაზრები სურსათ-სანოვაგითა და მომხმარებლით ისე არასდროს არის სავსე, როგორც ახალი წლის წინა დღეებში.

სოფლის მშრომელებმა უკვე გამოიტანეს თავიანთი ნამატი პროდუქცია და ხელსაყრელ ფასებშიც ჰყიდიან. თავის მხრივ, ქალაქელმა დიასახლისებმაც დაიჭირეს თადარიგი და წინასწარ იძენენ საჭირო პროდუქტებს, რომ მერე, სადღესასწაულო რიგებსა და ხალხმრავლობას ასცდნენ.

რაც შეეხება პროდუქტებზე ფასებს, ისინი მუდამ ხელმისაწვდომია საშუალო ჯიბის მომხმარებლისათვის.

რა გინდა, სულო და გულო: დახლები ავსებულია ხილით და ციტრუსით, ხორცით და ბოსტნეულით, თაფლით და ნიგვზით – აქ აწყვია ყველაფერი ის, რაც თქვენი ოჯახის ტრადიციულ საახალწლო სუფრას უთუოდ დაამშვენებს...

მიზანი

## პრეზიდენტის განკარგულების შეუსრულებლობა დანაშაულია

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გარდამავალ პერიოდში აშკარად გამოიკვეთა საქართველოში თხილის კულტურის განვითარების დიდი სოციალურ-ეკონომიკური, და აქედან გამომდინარე, პოლიტიკური მნიშვნელობაც.

შარშან საქართველოდან გაიტანეს დაახლოებით 10 ათას ტონამდე თხილი. ეს მაჩვენებელი აგროპროდუქციის ექსპორტის ფულად გამოხატულებაში პირველ ადგილზეა, მაგრამ ბიუჯეტში ერთი თეთრიც არ შესულა.

ამიტომ სავსებით კანონზომიერი იყო, რომ საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ უდიდესი დაინტერესება გამოიჩინა თხილის კულტურის მიმართ. არსებობს პრეზიდენტის რამდენიმე განკარგულება ამ საკითხზე. მას შემდეგ საკმაო დრო გავიდა.

თხილის ბიზნესში არსებულ დღევანდელ მდგომარეობასა და მის პერსპექტივაზე ვესაუბრე ასოციაცია „ქართული სოფლის" პრეზიდენტს, სახელმწიფო საკოორდინაციო კომისიის წევრს, პროგრამა „თხილის" ხელმძღვანელს, აგრარული უნივერსიტეტის პროფესორს ბიძინა სარჯველაძეს.

– 1990 წლამდე საქართველოში თხილისა და სხვა კაკლოვანი კულტურების განვითარების პერსპექტივას თითქმის ყურადღება არ ექცეოდა, – თქვა მან, – მაგრამ ახლა, როცა მრავალწლიანი კულტურების მოსავლის გასაღების რუსული ბაზარი დავკარგეთ, მკვეთრად გამოიხატა ევროპის ნაკლები დაინტერესება ჩვენი ძირითადი კულტურების მიმართ, განსაკუთრებით თხილზე, მსოფლიო ბაზარზე მისი გაძვირების გამო.

*– ბატონო ბიძინა, ჩვენი გაზეთის მკითხველისათვის, ალბათ, საინტერესო იქნება ასოციაცია „ქართულმა სოფელმა" რა მუშაობა გასწია თხილის კულტურის განვითარების საქმეში და, ალბათ, პრობლემები კიდევ გაქვთ?*

– მოგახსენებთ. თხილის მწარმოებელ ძირითად რაიონებში სწორედ ჩვენი ასოციაციის ხელშეწყობითა და დახმარებით შეიქმნა თხილის ამხანაგობა-მეურნეობები, გაშენდა 2000 ჰექტარამდე პლანტაციები, შარშან, მაგალითად, ლანჩხუთის რაიონის მთიან ზონაში ამხანაგობა „კოლხიდამ" თხილის პლანტაცია 30 ჰექტარზე გააშენა, ხოლო საგარეჯოს რაიონის სოფელ სართიჭალაში ჩვენი რეკომენდაციით თხილის პლანტაცია სარწყავ მიწებზე 30 ჰექტარზე გააშენა შპს „მამულმა". საერთოდ კი, პერსპექტივაში, გათვალისწინებულია საქართველოში თხილის პლანტაცია 50 ათას ჰა-ზე გაშენდეს. მეწარმეებისა და ამხანაგობებისათვის 50 ათასი ნერგი შემოვიტანეთ, წლეულს კი, ზაქათალის რაიონის სოფელ ალიაბადიდან, თუ დაფინანსება იქნება, 1 მილიონამდე სამრეწველო ჯიშს შემოვიტანთ დაბალ ფასებში.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის მასშტაბებს არ შეესაბამება, მაგრამ ვინაიდან პროგრამა სახელმწიფოს მხრიდან არ დაფინანსებულა, მეტის გაკეთება ვერ შევძელით.

საქართველოს პრეზიდენტის არაერთი პრინციპული გაფრთხილებისა და ჩვენი ძალისხმევის შედეგად, წლევანდელი ბიუჯეტიდან 500 ათასი ლარი გამოგვიყვეს, მაგრამ ფინანსთა სამინისტრომ ეს თანხა სეკვესტრში მოაქცია. გამოყვეს მხოლოდ 210 ათასი ლარი, თითქოსდა სანერგეების მოსაწყობად, სინამდვილეში კი, ეს თანხა გასანაწილებლად ტენდერით ჯიშთა გამოცდის სადგურს მიეცა, საბოლოოდ კი მხოლოდ ოთხი ფერმერი დაფინანსდა, ისიც, პროგრამა „თხილის" გვერდის ავლით, თხილის ნერგი იაფია – 10,15 თეთრი ღირს, ამ თანხის ოთხ ფერმერზე გადანაწილება, ჩვენი აზრით, უკანონოა, და შემოწმებას საჭიროებს, მით უმეტეს, ხელთა გვაქვს საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამა, რომელიც ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს ავალდებულებს ხელი შეუწყოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული თითოეული თეთრის კანონიერ ხარჯვას.

*– რა ადგილი უჭირავს თხილის ბიზნესში საქართველო-ამერიკის საქციო საზოგადოება „არგო ჰოლდინგ ჯორჯიას"? როგორც ცნობილია, ამ თემაზე პრესაში, ერთ პერიოდში, დიდი ამბავი იყო ატეხილი.*

– ჩვენ მივესალმებით ყველა დაინტერესებულ ფირმას, ყველა ინვესტორს, მათ შორის, დასახელებულ ჰოლდინგსაც, ვინც რაიმე სასიკეთოს გააკეთებს ჩვენი ქვეყნისათვის. ამ ფირმას ცნობილი ადამიანები ხელმძღვანელობენ, აქვთ საინტერესო ბიზნესგეგმა, ვნახოთ, როგორ განხორციელდება მათი ჩანაფიქრი, მაგრამ იგი სახელმწიფოს, ქართველი ერის ინტერესებს უნდა ექვემდებარებოდეს.

ჩვენი პროგრამა ითვალისწინებს, რომ საქართველო თხილის წარმოების მიხედვით მსოფლიოს ძირითადი მწარმოებელი ქვეყნების სამეულში მოხვდეს, ამიტომაც არის პრიორიტეტული ამ სახელმწიფო პროგრამის განხორციელება.

საქართველოში შექმნილ „აგრობიზნესბანკს" სათანადო დახმარება შეუძლია გაგვიწიოს, მაგრამ ამას, დღემდე, ნამდვილად ვერ ვგრძნობთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, კელავ ჰაერში დარჩება ქვეყნის ხელმძღვანელის დაინტერესება თხილისა და კაკლოვანი კულტურების გაშენებისთვის. არადა, პრეზიდენტის მსოფლიო ავტორიტეტმა სოლიდური ინვესტიციები მოიზიდა ჩვენს ქვეყანაში, თუმცა, როგორც ახლა ირკვევა, ეს თანხები ყოველთვის დანიშნულებისამებრ როდი იხარჯება!

იხ. მე-6 გვ.

უკაცურობა

## ნოემბერში ატირებული ვაზი

ოცდაორი წლის წინათ, მაშინდელი „ჭიათურმშენის" სამმართველომ, საწარმოს გასწვრივ რამდენიმე ძირი ვაზი დარგო და „შაბათობების" წყალობით, ასეულ მეტრზე ულამაზესი ტალავერი მოაწყო.

შვილივით ნაზარდი ვაზი ტალავერს შეუყვა, ლაზათიანად შეერწყა გარემოს, თვალსა და გულს ახარებდა... ნაყოფს უხვად იძლეოდა... ვინ მოთვლის, ამ ვაზების მტევნების ნაყურით, რამდენჯერ დაულოცავთ საქართველო და გამრჯე კაცის მარჯვენა.

გავიდა წლები. ჭიათურის რაიონის გამგეობამ ხელიხელ ნაგოგმანები ტალავერი პირველ მეპატრონეთ ხელშეკრულებით გადასცა. ვაზებს თავს ევლებოდნენ ამაგდარი ადამიანები, მაგრამ, განა ყველა „კაცია-ადამიანი"?!

ამას წინათ, ვიღაც არაკაცის მსახვრალმა ხელმა რამდენიმე ვაზი ძირში გადაჭრა. ატირდა ვაზი, სევდამ შეიპყრო ტალავერის გამშენებლები და მხილველები. ქირქილებდა არაკაცი, თავისი მზაკვრული ჩანაფიქრით ფრთაშესხმული... ნეტავ, ვინ იყო, ვინ ოხერი? – საქართველოში სალოცავ ხატად მიჩნეული, თაობიდან თაობაში გადაცემული ვაზის კულტი ნუთუ მისი გონებისათვის არაფრის მთქმელი და არაფრის მაუწყებელი არ იყო?!



უკომენტაროდ...

**სოზარ კუპატაძე,**
„სრ" საკ. კორ.

P. S. ჟარმაგმა ადამიანებმა გადაჭრილი ვაზი სათუთად შეახვიეს, ეგებ გაზაფხულზე კვირტი იყაროსო. ესღაა მათი ნუგეში.

პოლიციაში გვამცნეს: საქმეს ვიკვლევთო, ვნახოთ, როგორი მამულიშვილები არიან ზესტაფონელი წესრიგის დამცველები.

ს. კ.

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!**

მიზანი

# პრეზიდენტის განკარგულების შეუსრულებლობა დანაშაულია

(მეხუთე გვერდიდან)

***– საინტერესოა, მიწის სავარგულებიდან რა ფართობის გამოყოფაა ნაგულისხმევი თხილის პლანტაციის გაშენებისათვის?***

– მოგეხსენებათ, საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა, ადგილი აქვს ეროზიულ მოვლენებს, ამიტომ თხილი, ძირითადად, ფერდობებზე და მცირე კონტურიან ადგილებში უნდა გაშენდეს და არ დაიკავოს ქვეყნის ძირითადი სამარცვლე მასივები.

აგრარულ უნივერსიტეტში უკვე შექმნილია თხილის რიგთაშორისების დამამუშავებელი მცირე მექანიზმები, რომლებიც მაღალი ეკონომიკური ეფექტიანობით ხასიათდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო გამოცდილებიდან გამომდინარე, თხილის პლანტაციების რიგთაშორისებში ისეთი ძვირფასი კულტურა ითესება, როგორიც სოიაა (იგი ნიადაგში ტოვებს საკვებს).

ამდენად, თხილის პროგრამის შესრულება ადამიანის კვების პროდუქტებით მომარაგებასთან ერთად ხელს შეუწყობს მეცხოველეობისა და მეფრინველობის განვითარებასაც, მით უმეტეს, საქართველოში საუცხოო ნიადაგურ-კლიმატური პირობებია ამ კულტურის მოვლა-მოყვანისათვის, საჭიროა მხოლოდ სპეციალისტებმა მოგვცენ რეკომენდაციები ძირითადი სამრეწველო ჯიშების შერჩევისა და სწორი, მეცნიერულად დასაბუთებული აგროტექნიკის მხრივ. 1 ჰა თხილის პლანტაცია ტონანახევრამდე სამრეწველო ნაყოფს იძლევა, რომელიც ბაზრის ფასებით 6 ათას დოლარამდეა.

ამდენად „თხილის" პროგრამის შესრულება სოლიდური თანხით შეავსებს ბიუჯეტს.

***– ბატონო ბიძინა, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ქვეყნის პრეზიდენტმა თხილისა და სხვა კაკლოვანი კულტურების სამრეწველო განვითარების მხარდაჭერის შესახებ წელსაც გამოსცა ახალი განკარგულება.***

– დიახ, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, 2000 წლის 3 ოქტომბერს მან ხელი მოაწერა №1059 განკარგულებას თხილისა და კაკლოვანი კულტურების გაშენებისა და პროდუქციის წარმოება-გადამუშავების სამრეწველო საფუძველზე გეგმაზომიერი განვითარებისათვის: შეიქმნა საკოორდინაციო საბჭოს ახალი შემადგენლობა სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის დავით კირვალიძის თავმჯდომარეობით და, რაც მთავარია, პრეზიდენტმა ამ განკარგულების შესრულება პირად კონტროლზე აიყვანა.

სახელმწიფო პროგრამა, ჩვენი აზრით, მაღალ დონეზე შესრულდება, თუ თხილის გაშენებისათვის ფერმერებს, გლეხებს ფულადი თანხები ხელზე კი არ მიეცემათ, არამედ უზრუნველყოფილი იქნებიან ნერგებით, სასუქებით, საწვავით, ტექნიკით და სხვა.

შეგვპირდნენ, რომ მომავალი წლის ინდიკატურ გეგმაში აუცილებლად შეიტანენ „თხილის" პროგრამის დაფინანსების საკითხს. ვნახოთ, თუ ეს მოხდება, რა თქმა უნდა, მოსახლეობასაც ეშველება და ქვეყანასაც.



**იმედია, პრეზიდენტის განკარგულება „თხილის" პროგრამის შესახებ ამჟამად უთუოდ შესრულდება, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ქვეყანაში საბიუჯეტო შემოსავლებს.**

***– საინტერესოა, თხილის პლანტაციების გაშენების საქმე ხელს ხომ არ შეუშლის დასავლეთ საქართველოში ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების განვითარებას?***

– არა მგონია, პირიქით, ჩაის კულტურის შემდგომი განვითარება აუცილებელია საქართველოს ეკონომიკისათვის, უდავოდ უნდა შენარჩუნდეს ჩაის პლანტაციების ის რაოდენობა მაინც, რაც დღეისათვის არსებობს და დამოუკიდებელი ქვეყნის მეცნიერულად გამართლებული სპეციალიზაციით არის ნაკარნახევი, მაგრამ ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს კრეფის ტექნოლოგია.

სხვათა შორის, პრეზიდენტმა ასევე დიდი ინტერესი გამოიჩინა თავის დროზე ლიმონის გასაშენებლად. მისი ენერგიული ჩარევით, სამ წელიწადში, მაშინ, როცა საერთოდ არ იწარმოებოდა ეს ძვირფასი სამკურნალო ნაყოფი, მარტო სუფსაში დამზადდა სამი ათას ტონაზე მეტი ლიმონი, ხოლო პირადად ჩემს მიერ მოწყობილ ლიმონარიუმში ყოველწლიურად 25 ტონაზე მეტი ნაყოფი იკრიფებოდა. ნიშანდობლივია, რომ ლიმონის პირველი ნერგიც სუფსაში ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ დარგო. ეს იყო 1981 წელს. ეს ფაქტი ფოტოზეც აღიბეჭდა და ამ სურათმა თავის დროზე თითქმის ყველა საკავშირო გაზეთი მოიარა. სწორედ პრეზიდენტის მაშინდელი მხარდაჭერა გახდა საფუძველი იმისა, რომ დღეს საქართველოს ბაზარი გაჯერებულია ლიმონის, ამ ძვირფასი სამკურნალო მცენარის, ნაყოფით.

ასევე იმედია, პრეზიდენტის განკარგულება „თხილის" პროგრამის შესახებ ამჟამად უთუოდ შესრულდება, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ქვეყანაში საბიუჯეტო შემოსავლებს.

**ყოველი წელი ახალ-ახალ სასიკეთო ცვლილებებს გვთავაზობს. იმედია, ასე იქნება მომავალშიც. ეს წერილიც იმის დასტურია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობა მომავალ წელიწადსაც ახალ ძალებს მოიკრებს, რაც სოფლისა და ქალაქის მშრომელთა კეთილდღეობის საწინდარი იქნება.**

ესაუბრა
ნაზი იმნაიშვილი

ძიება

# იყოს მთაც ბარივით ნაყოფიერი

**სამთო ტერიტორიების ათვისების თვალსაზრისით საქართველო ოდითგანვე დიდ გამოცდილებას ფლობს.**

**თანამედროვე პირობებში ეროზიულმა პროცესებმა თითქმის გაანახევრა სახნავ-სათესი ფართობები, სათიბ-საძოვრების 30-35 პროცენტი. რეგისტრირებულია ასობით ზვავსაშიში და მეწყერწარმომქმნელი კერები.**

**საბაზრო ურთიერთობათა ჩამოყალიბების პირობებში გარკვეული საშიშროება იქმნება სამთო ტერიტორიების უკონტროლო სამეურნეო გამოყენებისათვის, რამაც შეიძლება მიგვიყვანოს შეუქცევადი ეკოსისტემური კატასტროფების განვითარებამდე. ამდენად, აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო ბაზისა და მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამის შექმნა.**

ამ კუთხით პირველი ნაბიჯები უკვე გადადგმულია. მიღებულია კანონი „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ", რომლის მიზანია: „...საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლისა და „ალპური კონვენციის" საერთაშორისო წესდების შესაბამისად: მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა; მაღალმთიანი რეგიონების მდგრადი განვითარების პოლიტიკის გატარება თანამედროვე მოთხოვნებისა და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით..."

ამ პრობლემათა დასაძლევად დღეისათვის შეიძლება განვსაზღვროთ შემდეგი ძირითადი მიმართულებები:

სამთო ეკოსისტემების ბიომრავალფეროვნებისა და მდგრადი განვითარების პრინციპების დაცვისათვის ძირითად კრიტერიუმთა სისტემის დამუშავება; სამთო რეგიონის სამეურნეო პოტენციალის რაციონალურად გამოყენების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა;

მთის მოსახლეობის მიგრაციული პროცესების მართვა. მათი ეკონომიკური, სოციალური, განათლებისა და კულტურული დონის ამაღლების ღონისძიებათა კომპლექსი.

პირველ ეტაპზე დამუშავდება სამთო პრობლემებისადმი სახელმწიფო მიდგომების ძირითადი პრინციპები, თავმოყრილი და გაანალიზებული იქნება ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილება და მეცნიერული მიღწევები. დამუშავდება პილოტპროექტები ზონალობისა და ბუნებრივ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით.

მეორე ეტაპი ითვალისწინებს უკვე არსებული ფერმერული მეურნეობების საქმიანობის ანალიზს და ზონალობის მიხედვით ფერმების შერჩევას პილოტპროექტების განსახორციელებლად, შემუშავდება ღონისძიებათა კომპლექსი მომსახურე სფეროს ინფრასტრუქტურის ჩამოსაყალიბებლად.

მესამე ეტაპი კი, ძირითადად, მოიცავს მართვის ზედამხედველობის და კონტროლის მექანიზმების შემუშავებასა და განხორციელებას. პილოტფერმერების ბაზაზე გაიმართება ტრენინგები და სემინარები მოწინავე ტექნოლოგიებისა და ტექნიკური საშუალებების ფერმერთა საზოგადოებისათვის გასაცნობად. მათ დასანერგად საფინანსო საშუალებების მოძიებისათვის და ფერმერთა ეკოლოგიური განათლების გასაღრმავებლად.

ზემოაღნიშნულ კონცეფციაში არის მთის პრობლემებისადმი კომპლექსური მიდგომების ჩამოყალიბების მცდელობა, რაც ეფუძნება ჩვენი აგრარული მეცნიერების და სხვა მთიანი ქვეყნების მიღწევებსა და ისტორიულ გამოცდილებას. საკითხის ასე დასმა ახალი არ არის. ამ მიზნით, ჯერ კიდევ 1990 წელს, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სამთო მიწათმოქმედებაში საწარმოო პროცესების ელექტრომექანიზაციისა და ავტომატიზაციის სამეცნიერო-კვლევით საპრობლემო ლაბორატორიის ბაზაზე შეიქმნა სამთო სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

სამწუხაროდ, შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა ინსტიტუტის საქმიანობის ფართოდ გაშლის არანაირი საშუალება არ დაგვიტოვა, თუმცა, შესაძლებლობის ფარგლებში ჩვენ ვსაზღვრავდით: სამთო პირობებში ფერმერული მეურნეობების განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებს, ვაეითარებდით მათი სტრუქტურის, ტექნოლოგიური და ენერგოტექნიკური აღჭურვის ოპტიმიზაციას და პროექტირების საფუძვლებს სამთო ეკოსისტემების ბიომრავალფეროვნების დაცვის პირობებში. ვამუშავებდით ციცაბო ფერდობებზე და ტერასებზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების ტექნოლოგიასა და ტექნიკურ საშუალებებს.

ამჟამად ინსტიტუტის 40 თანამშრომლიდან ხუთი მეცნიერებათა დოქტორია, (სოფლის მეურნეობის აკადემიის ორი ნამდვილი წევრი, ერთი წევრ-კორესპონდენტი, ერთი – ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი) და ხუთიც – მეცნიერებათა კანდიდატი. განვლილ პერიოდში მათ გამოაქვეყნეს 80-მდე სამეცნიერო შრომა, მათ შორის, ათი ყოფილი სსრკ საავტორო, და 3 – რესპუბლიკის პატენტი.

ინსტიტუტის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კადრების მომზადება. თემატიკიდან გამომდინარე, დაცულია ექვსი საკანდიდატო და სამი სადოქტორო დისერტაცია. ინსტიტუტში ყოველწლიურად პრაქტიკას გადიან აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტები. ჩვენი თანამშრომლები კითხულობენ ლექციებსა და ატარებენ პრაქტიკულ მეცადინეობებს, ხელმძღვანელობენ ასპირანტებსა (საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის, სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ინსტიტუტის, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტის) და დიპლომანტებს (როგორც ბაკალავრის, ასევე მაგისტრატურის).

ჩვენი კვლევის ძირითად მიმართულებებში მექანიზაციის, ელექტრიფიკაციის საკითხები ფართოდაა მოცემული იმიტომ, რომ სამთო პირობები განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას და ამ საკითხში ჯერ კიდევ მრავალი თეთრი ლაქაა.

აქვს თუ არა საშუალება სამთო სოფლის მეურნეობის ინსტიტუტს აქტიურად დაეხმაროს ქართველ ფერმერს? – ამაზე პასუხის გასაცემად, პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ინსტიტუტის დაფინანსებიდან თითქმის სრულიად გაქრა ყოველგვარი ხარჯების სახსრები (მივლინებები, ოფისის ხარჯები, სხვა ორგანიზაციების მომსახურება, კაპიტალური ხარჯები და შეძენები), ფინანსდება მხოლოდ ხელფასის ფონდი და აქაც დავალიანებაა 10 თვე. ე.ი. არანაირი საშუალება ფერმერებთან აქტიური თანამშრომლობისა მეცნიერებს არა აქვთ. მდგომარეობის გამოსასწორებლად ინსტიტუტში შეიქმნა საცდელი წარმოება, რომელმაც თავის თავზე ჯერჯერობით აიღო ინსტიტუტის კომუნალური ხარჯები, წვრილმანი რემონტი, შეძენები და ნაწილობრივ-საგამომცემლო ხარჯები. საცდელი წარმოების შექმნის ძირითადი მიზანი ინსტიტუტში შექმნილი ტექნოლოგიების რეალიზაციაა. მაგალითად, საფურავე საკვების სამსხვრეველაზე არსებობს დიდი მოთხოვნილება, მაგრამ ფერმერებს არ გააჩნიათ თანხა მის შესაძენად.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და ჩვენი ინსტიტუტის ძალისხმევას სამთო სოფლის მეურნეობის პრობლემატიკის წინა პლანზე წამოწევისათვის ფუჭად არ ჩაუვლია. 1998 წელს **IKARDA**-ს (გვალვიან ზონებში სასოფლო-სამეურნეო კვლევების საერთაშორისო ცენტრი) საკოორდინაციო საბჭომ აკადემიკოს ვალერიან მეტრეველის ინიციატივით გამოთქვა მოსაზრება ცენტრალური აზიისა და ამიერკავკასიის ქვეყნებში სამთო სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობისათვის სპეციალური პროექტის შექმნისა და მის განსახორციელებლად შესაბამისი ცენტრის ჩამოყალიბების შესახებ.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სამთო სოფლის მეურნეობის ინსტიტუტი აქტიურად ჩაერთო სპეციალური პროექტის მოსამზადებელ სამუშაოებში. შევიმუშავეთ პროექტიც: „აგრარული სექტორის განვითარება საქართველოს მთიან ზონაში და მისი სამეცნიერო-ტექნოლოგიური უზრუნველყოფა". რომელიც უკვე საჯაროდ განხილული და მოწონებულია მეცნიერ-სპეციალისტთა მიერ.

საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო აქტიურად მუშაობს დონორ ორგანიზაცია **IFAD**-თან (სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი), მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების განვითარების გრძელვადიანი პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაზე.

წინ დიდი სამუშაოები გვაქვს. ჩვენი მიზანია მთაც ბარივით მაღალნაყოფიერი გახდეს.



**ნუგზარ ბერიძე,**
**სამთო სოფლის მეურნეობის სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

საფიქრალი

# რა კარგი იყო ქართული კონსერვი!..

დღეს გაჩერებული დგანან კვების მრეწველობის ის გიგანტი საწარმოები, რომლებიც კომუნისტების დროს სოფლის მეურნეობის პროდუქციას ამუშავებდნენ და ბაზრებზე გზავნიდნენ. მათი უმრავლესობა ახლა გაძარცული, დარბეული და მწყობრიდან გამოსულია.

ქართველ მომხმარებელს კი მოენატრა ხილისა და ციტრუსის მურაბები, ჯემები, მშობლიურ მიწაზე მოყვანილი ეკოლოგიურად სუფთა, მზა საკვები პროდუქტები. მით უმეტეს, ახალი წელი ახლოვდება. სამამულო ნაწარმი კი უდავოდ დაამშვენებდა ტრადიციულ ქართულ სუფრას.

ამ საწარმოთა გაჩერებამ ერთ ადგილზე გაყინა სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, უხელფასოდ დატოვა ათასობით მუშახელი, საგონებელში ჩააგდო მშრომელი გლეხკაცი... სამაგიეროდ, ათწლეულის სიდუხჭირემ უფრო გამოაფხიზლა ქვეყნის ხელისუფალნიც და მოსახლეობაც: რადაც უნდა დაგვიჯდეს, ისევ უნდა აებას ერთმანეთს დაწყვეტილი ჯაჭვის რგოლები: მინდვრიდან წარმოებამდე, წარმოებიდან – სარეალიზაციო დახლამდე და შემდეგ – მომხმარებლამდე.

ყველაფერ ამისთვის კი დიდი პატრიოტიზმი, მონდომება და შემართება საჭირო, საინტერესოა, თუ როგორი მდგომარეობაა ქვეყნის საკვები პროდუქტებით მომარაგების მხრივ.



სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით, წლევანდელი 9 თვის მაჩვენებლებით, შარშანდელ ამავე პერიოდთან შედარებით, საკონდიტრო ნაწარმი გამოშვებულია 12,7 პროცენტით, შაქარი – 76,5, მინერალური წყლები – 52,6 პროცენტით მეტი, გაზრდილია, აგრეთვე, ხილ-ბოსტნეულის, ხორცის, თევზის, ნატურალური ყავის, სამრეწველო საპნის წარმოება. სულ კი გადამუშავებულია 226151 ლარის ღირებულების სასაქონლო სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია.

თუმცა, ჩამორჩენაა ჩაის, ფერმენტირებული თამბაქოს, ყველის, კარაქის, ძეხვის, მცენარეული ზეთის, მარგარინის, მაკარონის წარმოებაში, ანუ შედარებით შემცირდა ისეთი აუცილებელი საკვები პროდუქტები, რომლებზეც დიდი მოთხოვნილებაა.

აღსანიშნავია, რომ ახლა სამინისტროში ერთი თაობის ახალგაზრდები მოვიდნენ ხელმძღვანელ თანამდებობებზე, რაც, ვფიქრობთ, სამომავლოდ იმედისმომცემია, – ახალგაზრდობა ხომ წრფელი გულით ეჭიდება სიძნელეებს და იმარჯვებს კიდეც. ვნახოთ, როგორ გაამართლებენ!

ბუნებრივად იბადება კითხვა: ახალ ხელმძღვანელობას აქვს თუ არა შემუშავებული სამომავლოდ დარგის სარეაბილიტაციო გეგმა, თუ ყველაფერი ისევ ჩვეული დინებით წავა?

ამ და სხვა საკითხებზე მკითხველს ესაუბრება საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს კვების მრეწველობის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ბრიგოლია:

– სურსათის წარმოება ნებისმიერი ქვეყნისთვის აუცილებელი დარგია. ამ მხრივ ჩვენთან შექმნილია მრავალი პრობლემა, და ამიტომაც, მათი გადაჭრისას, რაღა თქმა უნდა, ბევრ დაბრკოლებასაც წავაწყდებით. თუმცა, მიმაჩნია, რომ მალე უკეთესობისკენ შეიცვლება მდგომარეობა.

ჩვენი საუკუნის 80-იანი წლებისათვის საქართველოში კვების მრეწველობაზე მოდიოდა მთლიანი პროდუქციის მოცულობის 56 პროცენტი. ჩვენმა დეპარტამენტმა შეიმუშავა დარგის მიმართ კომპლექსური მიდგომა, რაც 4-5 წელიწადის განმავლობაში უნდა განხორციელდეს. ამ მიზნით უკვე ჩავატარეთ ქვეყანაში არსებული კვების მრეწველობის საწარმოთა ინვენტარიზაცია ადგილებზე, რაშიც დაგვეხმარნენ რაიონული სოფლის მეურნეობის სამმართველოები. დათვალიერების შედეგად ჩამოვაყალიბეთ საწარმოთა სამი ჯგუფი: ერთნი, რომელნიც არ ექვემდებარებიან რეაბილიტაციას, მეორენი, რომელთა ამუშავებაც, მათი რთული მდგომარეობიდან გამომდინარე, არამომგებიანია და „დაკონსერვებულია", და მესამე ჯგუფი, რომელთაც თუკი მცირედ, ტექნიკურად გადავაიარაღებთ, ამოქმედდება და მალე ჩადგება მწყობრში.

ჩვენ ახლა სწორედ ამ მესამე ჯგუფს უნდა მივხედოთ. და ყურადღება გავამახვილოთ იმ პრიორიტეტულ პროდუქციაზე, რომელიც გავა საექსპორტოდ და მისი ამონაგებიდან ამოღებული თანხა ისევ მოხმარდება საწარმოთა კვლავწარმოებას.

***– რით აპირებთ კვების მრეწველობის საწარმოთა ამუშავებას?***

– ამ მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, შეიქმნა მასთან არსებული სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის საინვესტიციო ფონდი, რომლის მიზანიც სწორედ „იაფი ფულის" მოზიდვაა (იაფი საკრედიტო თანხის წლიური საურავი 6-8 პროცენტზე მეტს არ უნდა შეადგენდეს.) ჩვენ ამ ინვესტიციებით თუ შევძლებთ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. ძირითადი აქცენტი გადატანილი იქნება საკონსერვო მრეწველობაზე, ჩაიზე, ღვინოზე – ნედლეულის მოყვანიდან საბოლოო პროდუქციის მიღებამდე.

აუცილებელი პირობაა ძველი სარეალიზაციო ბაზრების დაბრუნება და ახალ ქვეყნებში მათი მოპოვება. ამ მიზნით ჩვენ ვთანამშრომლობთ მსოფლიო ბანკთან. მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით, „აგრობიზნესბანკმა" ქალაქ გორში გახსნა თავისი ფილიალი, სადაც მხარის მეწარმეებს შეუძლიათ იქვე, ადგილზევე გადაწყვიტონ თავიანთი პრობლემები. ხელშეწყობის ეს პროცესი, თუმცა, ნელნელა, მაგრამ მაინც მიმდინარეობს.

***– თქვენ გორი ახსენეთ. იქ კი ახლა უამრავი ხილია...***

– გორის ვაშლის კონცენტრატი მაღალი კვებითი ღირებულებისაა და ევროპაში მასზე მოთხოვნილება იზრდება. მაგრამ ეს ერთი საწარმო ამ მხარეში, რომ იტყვიან, ზღვაში წვეთია. ასეთი 10-15 მცირე საწარმო მაინც უნდა არსებობდეს, რომ მომხმარებლის მოთხოვნილება დაკმაყოფილდეს.

ქართლის გარდა, თუკი კახეთში ხილის 70 პროცენტს მაინც აეითვისებთ, 600-მდე ადგილობრივი მუშახელი მაინც დასაქმდება და მათი ოჯახებიც ნელნელა წელში გაიმართებიან.

***– ყველაფერ ამას წარმოების ახალი ტექნოლოგიური ხაზები დასჭირდება, საიდან აპირებთ მათ შემოტანას?***

– ხილის პიურეების საწარმოებლად იტალიიდან შემოვიტანთ ასეპტიკურ ხაზებს, ყველა საჭირო ტექნოლოგიურ მოწყობილობას. ვფიქრობთ, ექვს თვეში ეს პროცესი ხელშესახები გახდება... ჩვენს ახალგაზრდულ ენერგიას, ცოდნას არ დავიშურებთ პრობლემათა დასაძლევად.

ახალმა ათასწლეულმა რადიკალურად უნდა შეცვალოს ხელმძღვანელ მუშაკთა თანამდებობრივი მიდგომა სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგებისადმი. თანამდებობა ტვირთია და არა პირადი გამდიდრების საშუალება. მით უმეტეს, გვერდში თვით საქართველოს პრეზიდენტი ბატონი ედუარდ შევარდნაძე გვიდგას, კაცი, რომლისთვისაც ახლა უპირველესი ჩვენი მოსახლეობის უკეთესი მომავლისათვის ზრუნვაა.

თავს ბედნიერად ჩავთვლი, თუკი პირველ ნაბიჯებს სწორად გადავდგამთ.

ვფიქრობთ, 2001 წლიდან უკვე უნდა გამოიკვეთოს ჩვენი მცდელობის შედეგი.



ესაუბრა
**ლია ჟილაძე.**

პრობლემა

# ჩაის ფაბრიკა და ფერმერი – ერთ ოჯახად

ჩაი დასავლეთ საქართველოს ძირითადი კულტურაა.

რუსეთის ბაზრის დათმობას მოჰყვა ის, რომ ქართულ პროდუქციაზე მოთხოვნილება მკვეთრად დაეცა და ჩაის წარმოება პრაქტიკულად შეჩერდა.

საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობები საშუალებას იძლევა, რომ მაისიდან ოქტომბრის ჩათვლით ვაწარმოოთ პროდუქცია, რომლის ბიზნესი მნიშვნელოვან მოგებას მოუტანს ქვეყნის ეკონომიკას, ამისათვის კი საჭიროა პლანტაციების მოვლა-პატრონობა და ტექნოლოგიების სრულყოფა. ტექნოლოგიურად მისაღები და გამართლებული იქნება 1500 ტონა მწარმოებლობის ჩაის მიკროფაბრიკების მუშაობა. მცირე საწარმოებში ეფექტიანად უნდა განხორციელდეს ტექნიკური განახლება და კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვება. მცირე ბიზნესი ითვალისწინებს ბაზრის მოთხოვნილებებს და ხელს უწყობს წარმოების მოცულობის გადიდებას, ამასთანავე, მისი განვითარება მნიშვნელოვანწილად დაგვეხმარება დასაქმების პრობლემების გადაჭრაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის და ჩაის მწარმოებელი კლასიკური ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, ავტორთა ჯგუფთან ერთად, შევიმუშავეთ ახალი პროგრესული ტექნოლოგია ჩაის ნედლეულიდან კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებისა და, შესაბამისად, შევქმენით მცირე წარმადობის ტექნოლოგიური მანქანა-დანადგარები.

ახალი ტექნოლოგიის მიხედვით, პირველ ყოვლისა, უნდა მოხდეს არსებული ჩაის პლანტაციების აღდგენა-გამოყვანა. ჩვენში პლანტაციების უმეტესი ნაწილი ისევ კოოპერაციული საკუთრებაა. შარშან ზუგდიდში ჩაის თვითღირებულებამ შეადგინა 80 ცენტი, გაუტოლდა ჩაის კლასიკური ქვეყნის მაჩვენებლებს, რის შედეგად სპონსორებმა იზარალეს, ხოლო პლანტაცია კვლავ მოუვლელი დარჩა; ასევე, ვერ გაამართლა არსებულმა ანაზღაურების სისტემამ, ვინაიდან სპონსორებს არ ჰქონდათ მოგების, ხოლო მკრეფავებს – თანხის დროულად მიღების გარანტია.

ახალი ტექნოლოგიის მიხედვით, ჩაის პლანტაცია 300 ჰექტარის ოდენობით გრძელვადიანი იჯარით გადაეცემა ჩაის მიკროფაბრიკებს; ამით შეიქმნება ჩაის ნედლეულის ხარისხის ამაღლების პირობები. ამჟამად კი, ნედლეულის ჩამბარებლები ჯერ კიდევ დაინტერესებული არიან ჩაის ფოთლის რაოდენობით და პასუხს არ აგებენ პროდუქციის ხარისხზე.

ცდების შედეგად დადგინდა, რომ ერთსა და იმავე პლანტაციაში შესაძლებელია 2-ფოთლიანი დუყის, პრაქტიკულად, ნაზი მასის 5-6-ჯერადი კრეფა, ხოლო დარჩენილი, მოუხეშო მასის შემცველი ხარისხიან-ფოთლოვანი ნედლეულის სამჯერადი გადაკრეფა.



მეჩაიეთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ჩაის ფაბრიკები იჯარით აღებულ პლანტაციებს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებით უფასოდ გადასცემენ მეჩაიეთა ოჯახებს, ან ოჯახთა ჯგუფს, საშუალოდ 5 ჰექტარის ოდენობით, და შეიქმნება ფერმერული ოჯახები, რომელთაც დააფინანსებენ მენეჯერი ჩაის ფაბრიკები.

ჩაის პლანტაციების გადაცემას ჯერ ჩაის ფაბრიკებზე და შემდგომ, მეჩაიე ოჯახებზე, აქვს გამართლებაც, კერძოდ, ფაბრიკები უფრო ორგანიზებულად გადაიხდიან გადასახადებს, იზრუნებენ პლანტაციების მოვლა-პატრონობაზე, მაგრამ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფერმერულ ოჯახებთან გააუქმებენ ხელშეკრულებას.

პლანტაციების გადაცემა ცალკეულ ოჯახებზე შესაძლებელია, აგრეთვე, გრძელვადიანი ქვიჯარით, მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით ეს ოჯახები გადაიხდიან მხოლოდ მიწის გადასახადს, მაგრამ ამ მეორე ვარიანტს აქვს ნაკლიც, კერძოდ, არ არის გამორიცხული პლანტაციების გაჩეხვა-ამოძირკვა.

საკუთრების ფორმის ასეთი შერწყმის გარდა, შესაძლებელია ჩაის მწარმოებელი კოოპერატივების ქონების ფაბრიკასთან მიერთება და შემდგომ, პლანტაციის ხელშეკრულებით გადაცემა მეჩაიე ოჯახებზე.

ახალი ტექნოლოგია პირველ ეტაპზე ითვალისწინებს ნაზი ნედლეულის გადამუშავებას ფერმერულ ოჯახებში, რისთვისაც მათ გადაეცემათ მიკროწარმადობის ტექნოლოგიური მანქანა-დანადგარები, გაიმართება ტექნოლოგიური ხაზი და ისინი გადაამუშავებენ შავი ჩაის ნახევარფაბრიკატს.

უკვე შემუშავებული გვაქვს მიკროწარმადობის მანქანა-დანადგარები ფერმერული ოჯახებისათვის, ასევე შესაბამისი ტექნოლოგია და დანადგარები – ჩაის მიკროფაბრიკებისათვის.

ამ ახალი ტექნოლოგიით გამოშვებული შავი ჩაი ხასიათდება მაღალი ხარისხით და პასუხობს მსოფლიო სტანდარტების მოთხოვნებს, მას განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევენ რუსეთის ჩაის ასოციაციის კვალიფიციური სპეციალისტები.

შავი ჩაის აღნიშნული პროდუქცია არის კონკურენტუნარიანი და ადგილზე 1 კგ. იყიდება 10 ლარად, ხოლო უცხოეთში – 20 ლარად.

ახალი ტექნოლოგიის მიხედვით, ჩაის წარმოების ბიზნესი მნიშვნელოვნად მომგებიანია.

ჩაის წარმოებაში ფერმერული ოჯახების შემოღება, ნაზი და მოუხეშო მასის შემცველი ნედლეულის განცალკევებით კრეფა-გადამუშავება ხელს შეუწყობს საქართველოში ჩაის წარმოების აღდგენას, მისი ავტორიტეტის ამაღლებას და მეჩაიეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრომ განიხილა აღნიშნული საკითხი და პროექტს რეკომენდაცია მისცა ქვეყნის ინდიკატორულ გეგმაში გასათვალისწინებლად.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ახალი ტექნოლოგიის მიხედვით ჩაის ფერმერული წარმოება დაინერგოს, პირველ რიგში, ზუგდიდში, ჩაის ფაბრიკის, შპს „არგოს" მაგალითზე.

**ზაურ დარასელია,**
ბიზნესის სახელმწიფო ინსტიტუტის სამეგრელოს რეგიონის ფილიალის დირექტორი, შპს „არგოს" მეპატრონე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი.

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!**

## გზა განვლილი და გასავლელი

**რუბრიკას უძღვება აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე**

# ცხოვრების აზრი და მიზანი

**პროფესორი ლევან გვაზავა მეცნიერთა იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომელთა მიერ განვლილი ცხოვრების გზა სამაგალითოდ გამოადგება ჩვენს ახალგაზრდა თაობას.**

დაიბადა 1937 წელს ხაშურის რაიონის სოფელ ქვიშხეთში. მიუხედავად მძიმე ბავშვობისა (მამა მის დაბადებამდე გარდაიცვალა) წიგნისა და შრომისათვის არასოდეს ულალატია, ბორჯომის სატყეო ტექნიკუმის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სწავლა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში განაგრძო. იმდენად ღრმად იყო მის პიროვნებაში ფესვებგადგმული პასუხისმგებლობის გრძნობა, რომ გუდაუთაში სატყეოს უფროსად რომ დაინიშნა, რამდენიმე ხანში მოადგილედ გადაყვანა ითხოვა, კარიერა კი არ იზიდავდა, არამედ სურდა საფუძვლიანად დაუფლებოდა მის მიერ არჩეულ პროფესიას, ტყის სამყარო მისთვის ცხოვრების აზრი და მიზანი გახლდათ.

1978 წლიდან დღემდე ბატონი ლევან გვაზავა საქართველოს სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტში მოღვაწეობს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ იგი პირველი ქართველი მეტყევე მეცნიერია, რომელმაც სადოქტორო დისერტაცია მოსკოვში დაიცვა. საბჭოს სხდომაზე მას მოწინაალმდეგენიც გამოუჩნდნენ, მაგრამ საქვეყნოდ ცნობილმა, აწ გარდაცვლილმა რუსმა აკადემიკოსმა ივანე მელიხოვმა ასე დამოძღვრა ქართველი მეცნიერი: ჩვენს წინაშე დგას ნიჭიერი მეცნიერი, რომელიც დაამშვენებდა არა მარტო საქართველოს, არამედ რუსეთსაც და საზღვარგარეთსაც... ამიტომ უგუნურობა იქნება არ დაეთანხმო და არ ენდო მას. საბჭოს წევრებიდან თერთმეტმა ხმა მისცა ქართველ მეცნიერს.

პროფესორი ლევან გვაზავა 1987-1996 წლებში ორჯერ აირჩიეს სატყეო ფაკულტეტის დეკანად. მანამდე კი სწორედ ბატონი ლევანის დამსახურებაა, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს აგრარულ უნივერსიტეტს სატყეო მეურნეობის ფაკულტეტი შეუნარჩუნდა. ამის მიზეზი გახდა ის, რომ საქართველოს სატყეო მეურნეობების სამინისტროში მუშაობის პერიოდში იქ წარმოებული არასწორი სამეცნიერო-სამეურნეო პოლიტიკის გამო, ლევან გვაზავა სამინისტროს ხელმძღვანელობას დაუპირისპირდა, ორი თვის შემდეგ კი, როცა ბატონი გვაზავა უკვე აგრარულ უნივერსიტეტში მუშაობდა, მინისტრის მოადგილის ხელმოწერით მოვიდა წერილი, სადაც იტყობინებოდნენ, რომ ვინაიდან სატყეო სპეციალობის კურსდამთავრებულები ხშირად უმუშევრები რჩებიან, სამინისტრო უარს აცხადებს ახალი კონტინგენტის შეკვეთაზეო. ეს მოთხოვნა, იმდროინდელი წესის მიხედვით, ფაკულტეტის დახურვას ნიშნავდა. მაგრამ ბატონ ლევან გვაზავას უშუალო ჩარევის შედეგად სამინისტრომ პოზიცია დათმო.

1988-1996 წლები საქართველოს სტუდენტი ახალგაზრდობისათვის საკმაოდ მძიმე წლები იყო, ახალგაზრდობა პოლიტიკაში ჩაერია და აუდიტორიებიდან ქუჩაში გამოვიდა, მაგრამ პროფესორმა ამ წლების მძიმე გამოცდასაც კაცურად გაუძლო.

ლევან გვაზავა ამჟამად აგრარული უნივერსიტეტის გეოდეზიისა და ლანდშაფტის დაგეგმარების კათედრის გამგეა. გამოქვეყნებული აქვს 80-მდე შრომა, მონოგრაფიები, რეკომენდაციული დამხმარე სახელმძღვანელო და სხვ. ჰყავს ასპირანტები და მაძიებლები.

პროფესორ ლევან გვაზავას შრომები ძირითადში ეხება საქართველოს სამთო სატყეო მეურნეობის წარმოების სრულყოფის საკითხებს, რომელთაც საფუძვლად უდევს ეკოლოგიური პრინციპების წინა პლანზე წამოწევა ადამიანის სამეურნეო საქმიანობის პირობებში ტყეში და საერთოდ.

ლევან გვაზავამ, მრავაწლიანი მეცნიერულ-პედაგოგიური საწარმოო საქმიანობით მიღებული გამოცდილების საფუძველზე, შეძლო დაედგინა სამთო ტყის მეურნეობის წარმოების არსებულ პირობებში გარემოს ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევის მთავარი მიზეზები და დაესახა თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობების გათვალისწინებით კარდინალური ღონისძიებანი ტყეში სამეურნეო ღონისძიებათა შემდგომი მოწესრიგების საშუალებით გარემოს ეკოლოგიური წონასწორი აღდგენისათვის, რაც, თავის მხრივ, ინტენსიური მეურნეობის მოწყობას გულისხმობს.

პროფესორი ლევან გვაზავა არის აგრო-ტექნოლოგიური ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. სამეცნიერო პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად წლების განმავლობაში ასრულებდა და დღესაც ასრულებს მთელ რიგ საზოგადოებრივ დავალებებს. როგორც სამეცნიერო ტექნიკური საზოგადოების სწავლული მდივანი, ჟურნალ „საქართველოს ბუნების“ რედკოლეგიის წევრი, გარემოს დაცვის სამინისტროს ეკოლოგიური კომისიის წევრი, აქტიურ მონაწილეობას იღებს როგორც გარემოს დაცვის, ასევე სატყეო დარგის კოდექსების შემუშავებასა და განხილვაში, როგორც ოპონენტი, მას, შეიძლება ითქვას, სატყეო დარგში არსებული არც ერთი პრობლემა უყურადღებოდ არ დაუტოვებია, რაც ყოველთვის აღინიშნებოდა და ფასდებოდა. იგი დაჯილდოებულია მედლებით: „ყამირი მიწების ათვისებისათვის,“ „შრომითი მამაცობისათვის“, სამკერდე ნიშნით – „სსრ კავშირის სოციალისტური სოფლის მეურნეობის წარჩინებული“, მიღებული აქვს, აგრეთვე, მრავალი სიგელი და ფულადი საჩუქრები.



ლევან გვაზავა.

აღსანიშნავია, რომ პროფესორ ლევან გვაზავას მხარს უმშვენებს მისი მეუღლე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ევროპის ალერგოლოგთა სამედიცინო აკადემიის ნამდვილი წევრი ლალი ბრეგვაძე, ორი ვაჟიშვილი და ოთხი შვილიშვილი. ახალწლის ღამეს უმაღლეს ჯილდოს მიულოცავენ, ნაყოფიერი საზოგადოებრივი და სამეცნიერო პედაგოგიური მოღვაწეობისათვის – ბატონი ლევან გვაზავა ღირსების ორდენით დაჯილდოვდა!

ვულოცავთ.

**გიორგი გაგოშიძე,**
აგრარული უნივერსიტეტის სატყეო ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
**შალვა აფციაური,**
აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს დამსახურებული მეტყევე.

## მასპინძელი

# ქართველი სეისმოლოგები თეირანის კონფერენციაზე

ყველაფერი ასე დაიწყო:

1993 წლის იანვარში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლები, აწ განსვენებული აკადემიკოსი მერაბ ალექსიძე, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი თამაზ ჭელიძე და გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი თამაზ ონოფრიშვილი მიგვიწვიეს საერთაშორისო კონფერენციაზე თეირანის სეისმოლოგიისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტში. ეს იყო ქართველ მეცნიერთა პირველი ჯგუფი, რომელიც ირანს პოსტსაბჭოურ პერიოდში ეწვია.

ვიზების მიღებისას, საკონსულოში გაგვაფრთხილეს, რომ საბაჟოზე სპირტიანი სასმელების გადატანა არ შეიძლებოდა, თუმცა, ჩვენ განზრახული გვქონდა, რომ ფერეიდნელი მოსწავლეებისათვის ჩაგვეტანა 30 ცალი „დედა ენა“. იდეა კი სწორედ ბატონ მერაბ ალექსიძეს ეკუთვნოდა. მებაჟეებისათვის, თუკი წიგნების გატანისას წინააღმდეგობას წავაწყდებოდით, პასუხიც მზად გვქონდა, რომ ეს იყო ჩვენი სამეცნიერო შრომები კონფერენციაზე წარსადგენად.

თეირანში გავფრინდით მარშრუტით: თბილისი-ბაქო-თეირანი. მაგრამ დიდი თოვლის გამო თეირანის აეროპორტი დაკეტილი იყო და ბაქოდან ავტობუსით გავემგზავრეთ. როგორც ჩანს, ღმერთი გვწყალობდა, რადგან საბაჟოს გავლისას მებაჟეები ისე იყვნენ გათოშილები, რომ ერთი კი გვკითხეს, სასმელი ხომ არ შემოგაქვთო, რაც ჩვენ ერთხმად უარვყავით, იმავდროულად, სამივემ ერთად დავიწყეთ ჩანთების გახსნაც. – როგორ გეკადრებათ, მეცნიერებს, მით უმეტეს, ქართველებს, ჩვენ ვენდობითო! ამაზე დიდი მადლობა გადავუხადეთ და შვებით ამოვისუნთქეთ, რადგან ჩვენი წიგნები ჩვენთან დარჩა!



მერაბ ალექსიძე.

მეორე დღეს ტელეფონით დავუკავშირდით ფერეიდნელ ქართველთა სათვისტომოს ხელმძღვანელს ბატონ მუხტარ ასლანს (ასლანიკაშვილს), გავეცანით და ჩამოსვლის მიზანიც გავუმხილეთ, ცხადია, ქართულ ენაზე. რამდენიმე საათში იგი თავად გვესტუმრა სასტუმროში. დიდხანს ვისაუბრეთ საქართველოზე, მის წარსულსა და აწყმოზე...

ბატონმა მუხტარმა გვითხრა, რომ იმ ღამესვე დაუკავშირდებოდა ფერეიდანში ხუფელ მარტყოფს, რათა იქაური დელეგაცია ჩამოსულიყო თეირანში ჩვენთან შესახვედრად და წიგნების წასაღებად. დავთქვით შეხვედრის თარიღიც.

მეორე დღეს, კონფერენციაზე ჩვენმა მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. იყო ბევრი შეკითხვა, თანამშრომლობის სურვილი. ოთხმა სამუშაო დღემ უცბად გაიარა.

ფერეიდნელ ქართველებთან შესახვედრად ბატონმა მუხტარმა მიგვიპატიჟა ქალაქის ცენტრში მდებარე თავის ორსართულიან, საკუთარ ბინაში. გულთბილად მიგვიღო მისმა მეუღლემ, ქალბატონმა სედიყემ. იქვე დაგვხვდა ბატონ მუხტარის უფროსი ძმა – რიზე ასლანი – ირანის არმიის გადამდგარი პოლკოვნიკი. თუმცა, იგი ნაკლებად ფლობდა ქართულს და მის საუბარს ბატონი მუხტარი გვითარგმნიდა.

ქალბატონმა სედიყემ მოგვართვა ჩაი და საკმაოდ გამართული ქართულით გვითხრა: – „მიირთვით ჩაი, ძალიან კარგია!“

ჩვენი დაინტერესება გამოიწვია კედელზე ჩამოკიდებულმა მომცრო ზომის ნაქსოვმა ხალიჩამ. მისი ორნამენტი ასახავდა მაღალ ხეს, რომელიც დახუნძლული იყო რაღაც ნაყოფით. რატომღაც აგვეკვიატა აზრი, გამოგვეცნო ნაყოფის სახეობა. დიდხანს ვაკვირდებოდით, მაგრამ ამაოდ. ბოლოს, ქალბატონმა სედიყემ გვითხრა: – „ეს ხომ ძველი ქართული ანბანია, ჩამოკიდებული ტოტებზეო“. ჩვენ გაკვირვებისაგან წამოვხტით და მივუახლოვდით ხალიჩას. ბატონმა მუხტარმა კი ჩაილაპარაკა: – „სედიყეც ფერეიდნელი ქართველია და ასე გამოხატა თავისი სიყვარული საქართველოსა და ქართველების მიმართო“.

ამ დროს ზარის ხმა გაისმა და ოთახში შემოვიდა სამი მაღალი, ბრგე ვაჟკაცი. ცხადია, სამივე ულვაშიანი, ზუსტი განსახიერება კახელი გლეხისა. თან შემოიტანეს ორი დიდი ხურჯინი. ჩვენ ძველი ნაცნობებივით გადავეხვიეთ ერთმანეთს და ქართულად ავლაპარაკდით. შემდეგ, გაშლილ სუფრას მივუსხედით. დიასახლისმა სუფრაზე შემოიტანა სტუმრების მიერ ჩამოტანილი ძღვენი – შავი ღვინო, გუდის ყველი, შოთის პურები, მწვანილი და ხილი. ეს ყველაფერი ისე ლამაზად გააწყო, რომ თავი საქართველოში გვეგონა – ისევე, როგორც ქალაქში სოფლიდან ჩამოსული ნათესავები გვესტუმრებიან ხოლმე. ოჯახის უფროსმა პირველი სადღეგრძელო საქართველოსა და ქართველებს მიუძღვნა, შემდეგ იქაური ქართველებიც დალოცა. ჩვენს მიერ წარმოთქმული სადღეგრძელოები კი უფრო ხანგრძლივი აღმოჩნდა, რადგან მასპინძლების უამრავ შეკითხვებს უპასუხოდ ვერ ვტოვებდით.

საღამოჟამს კი, უნდა გენახათ მათი გაბრწყინებული თვალები, „დედა-ენის“ ეგზემპლარების დანახვაზე. ერთ-ერთს, მარტყოფის სკოლის დირექტორს თვალებზე ცრემლებიც კი მოერია. გასაგები იყო მათი ასეთი რეაქცია. მოგვიახლოვდნენ, გადაგვეხვივნენ, მადლობას იხდიდნენ.

მეორე დღეს ჩვენ უკან, სამშობლოში ვბრუნდებოდით. ძალიან თბილად დაგვემშვიდობნენ მასპინძლები, ახლად გაცნობილი მეგობრები, გავცვალეთ სავიზიტო ბარათები. ბატონმა მუხტარმა თავისი მანქანით მიგვიყვანა ავტოსადგურში. იქ კი, გადმოგვცა სანოვაგით სავსე ჩანთა – მთელი ღამე უნდა იაროთ და გამოგადგებათო, სტუმარ-მასპინძლობის ზუსტად ისეთივე წესით, როგორც ეს ჩვენში, საქართველოში ვიცით.

ამ წინასაახალწლო დღეებში ეს ამბავი ბატონ მერაბის საპატივსაცემოდ გავიხსენეთ. რვა დეკემბერს მას 70 წელი შეუსრულდებოდა.

**თამაზ ჭელიძე,**
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;
**თამაზ ონოფრიშვილი,**
წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

## გვეკითხებიან

*– ჩემს მშობლებს სოფელში ჰქონდათ საცხოვრებელი სახლი და მიწის რეფორმის პერიოდში მიღებული 1 ჰექტარი მიწის ნაკვეთი. მშობლების გარდაცვალების შემდეგ, სოფლის საკრებულომ დამიტოვა მხოლოდ 600 კვ. მ. დანარჩენი კი – გაასხვისა. სწორია თუ არა ჩემს მიმართ საკრებულოს გადაწყვეტილება?*

თინა სიხარულიძე, ქუთაისი.

**შეკითხვას პასუხობს საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის მიწის რეფორმის, მიწათმოწყობისა და საადგილმამულო ურთიერთობის სამმართველოს უფროსი ანზორ მესხიშვილი.**

– თუ თქვენი მშობლები კანონიერად ფლობდნენ მიწის ნაკვეთს და გარდაიცვალნენ 1992 წლის 1 იანვრის შემდეგ, ამავე დროს თქვენ მათი კანონიერი მემკვიდრე ბრძანდებით, სოფლის საკრებულოს გადაწყვეტილება კანონსაწინააღმდეგოა. თქვენ მიწა უნდა დაგბრუნებოდათ იმ რაოდენობით, რა რაოდენობითაც მშობლებს ჰქონდათ მიღებული.

## ღიმილი



– აქი მეცხრე ენერგობლოკის ჩართვამდე მოგარჩენო? ხო ჩაირთო...
– სსს!.. გაჩუმდი, თვალი არ ეცეს, რა იცი, იქნებ მართლა გვეშველოს.
– მე? მე როდის მეშველება?
– მე, მე, რა, თხა ხარ, შე კაცო?

ელდარ ამბოკაძის ნახატი.

სარედაქციო კოლეგია:
როლანდ ბასილაშვილი (რედაქტორი), ნაზი ომნაიშვილი, გივი მელიქიშვილი (ტექნიკური რედაქტორი), სპარტაკ ქობულია, ლია ჭიღლაძე.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

№ 326. პარასკევი, 15 დეკემბერი, 2000 წელი.
ეროვნული ბიბლიოთეკა

## BBC, CNN, საქინფორმი.

### გენერალ ოლეინიკს ბრალდება წაუყენეს



გენერალ გიორგი ოლეინიკს, რომელიც რუსეთის თავდაცვის სამინისტროში ფინანსებს უძღვებოდა, წაუყენეს ბრალდება სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაში. ეს ბრალდება ნაწილია ოთხასი მილიონი დოლარის გაქრობის საქმის გამოძიებისა. პროკურატურის განცხადების თანახმად, გენერლის რეზიდენცია და კაბინეტი უკვე გაიჩხრიკა და მას დაადებინეს ქვეყნიდან ფეხგაუდგმელობის ხელწერილი.

### დაპატიმრება სომხეთში

სომხეთის უშიშროების სამინისტროს მეთაურის ცნობით, დაპატიმრებულია თავდაცვის სამინისტროს ოფიცერი, რაც დაკავშირებულია „მის სახლში აღმოჩენილ ცეცხლსასროლ იარაღთან და დიდძალ თანხასთან". სამინისტროს განცხადებაში ნათქვამია, რომ ავაქ ხაჩატრიანი წინა კვირას დააკავეს უშიშროების ოფიცრებისა და შეიარაღებული მილიციის ერთობლივი რეიდის დროს. როგორც განცხადებაშია ნათქვამი, ეჭვმიტანილს უპოვეს იარაღი, საბრძოლო მასალა, სხვა სამხედრო აღჭურვილობა და ასი ათასი დოლარი ნაღდი ფული.

### პუტინი – თავისუფლების კუნძულზე



ვლადიმერ პუტინი სამდღიან ოფიციალურ ვიზიტად ეწვია კუბას. ეს არის რუსეთის პრეზიდენტის პირველი სტუმრობა ჰავანაში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. მოსკოვიდან გამგზავრების წინ პუტინმა თქვა, რომ სურს, დაიწყოს ახალი ხანა ორი ქვეყნის ურთიერთობაში. საბჭოთა კავშირის დროს კუბა მოსკოვის მესამე სავაჭრო პარტნიორი და მთავარი იდეოლოგიური მოკავშირე იყო ლათინურ ამერიკაში.

### შეტაკებები ჩეჩნეთში

რუსეთიდან მიღებული ცნობების თანახმად, გროზნოს მიდამოებში გააფთრებული შეიარაღებული შეტაკებანი მოხდა. როგორც არმიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რუსმა სამხედროებმა დახოცეს ცხრამეტი ჩეჩენი მოთარეშე, როდესაც ისინი თავს დაესხნენ ბაღრაგს. ჩეჩნები კი ამტკიცებენ, რომ მოკლეს თხუთმეტი რუსი ჯარისკაცი. ჯერჯერობით არც ერთი მხარის ცნობა არ დასტურდება დამოუკიდებელი წყაროებისაგან. ჩეჩნეთის მხარე, ასევე, ამტკიცებს, რომ მოკლულია ჩეჩნეთის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ახმად კადიროვი.

### გუსინსკის ციხიდან ჯერ არ უშვებენ

რუსეთის მედია-მაგნატმა ვლადიმერ გუსინსკიმ უკვე მეორე ღამე გაათია ესპანეთის ციხეში მაშინ, როდესაც რუსეთის ხელისუფალნი ამზადებენ მოთხოვნას, რომ მადრიდმა გადასცეს მისი თავი მოსკოვს თაღლითობის ბრალდებით.



ესპანელი იურისტები აცხადებენ, რომ ექსტრადიციის პროცესს შეიძლება, რამდენიმე თვე დასჭირდეს, ვინაიდან რუსეთსა და ესპანეთს შორის არ არის ოფიციალური შეთანხმება დამნაშავეთა გადაცემის შესახებ. გუსინსკი თვლის, რომ იგი პოლიტიკური დევნის მსხვერპლია და დარწმუნებულია, რომ რუსეთის მთავრობას სურს, გაანადგუროს მისი დამოუკიდებელი მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა იმპერია.

### აფეთქებანი ნავთობსადენზე

ეკვადორის ხელისუფალნი იძიებენ აფეთქებათა სერიას, რომლებიც კოლუმბიის საზღვრის გაყოლებით მდებარე ნავთობსადენზე მოხდა. აფეთქებების შედეგად დაიღუპა სულ ცოტა რვა და დაშავდა ცხრამეტი კაცი. ეს უკვე მეორე ამგვარი ინციდენტია ნავთობსადენზე უკანასკნელი რამდენიმე დღის განმავლობაში. ეკვადორის პრეზიდენტმა გუსტავო ნოეოამ განაცხადა, რომ როგორც ჩანს, აფეთქება ახალი ნავთობის პროექტის მოწინააღმდეგეებმა მოაწყვეს. არის, აგრეთვე, ეჭვები, რომ ეს ჩაიდინეს კოლუმბიელმა მეამბოხეებმა, რომლებიც ხშირად აფეთქებენ ნავთობსადენებს თავიანთ ქვეყანაში, და ბოლო დროს ეკვადორშიც გააქტიურდნენ.

### კომპიუტერული ტექნოლოგიის ახალი მიღწევა

ამერიკის INTEL კომპანიამ გამოაცხადა, რომ დიდი წარმატებაა მიღწეული კომპიუტერული ტექნოლოგიების დარგში და მისი მეოხებით კომპიუტერული მიკროსქემები ახლანდელზე ათჯერ უფრო სწრაფად იმუშავებენ. კომპანიის წარმომადგენელთა თქმით, შეიმუშავეს ისეთი პატარა ტრანზისტორების შექმნის ტექნოლოგია, რომ ერთ სილიკონის მიკროსქემაზე დაახლოებით ოთხასი მილიონი ტრანზისტორი დაეტევა (ცნობისათვის: დღესდღეობით ყველაზე მძლავრი მიკროსქემა ორმოც მილიონ ტრანზისტორს იტევს. – რედ.)

### ასამართლებენ კიდევ ერთ ირანელ ჟურნალისტს



ერთ-ერთი წამყვანი ირანელი ჟურნალისტი წარსდგა თეირანის სასამართლოს წინაშე იმ ბრალდებით, რომ არღვევდა სიმშვიდეს და ავრცელებდა ცილისმწამებლურ მონაჩმახს, რომელიც მიმართულია მმართველობის ისლამური სისტემის წინააღმდეგ. მასუდ ბეჰნუდს, რომელიც ბი-ბი-სის რადიოს მსოფლიო სამსახურის კორესპონდენტიც იყო, აგრეთვე, ბრალად ედება, რომ აგროვებდა ინფორმაციას ბი-ბი-სის სპარსული სამსახურისათვის, რომელიც, პროკურორის თქმით, ანტიისლამურ პროპაგანდას ეწევა. თვით მასუდ ბეჰნუდი უარყოფს წაყენებულ ბრალდებებს.



## სინჰუა იუწყება

ჩინეთს განზრახული აქვს, მომავალი წლიდან დამატებით გაზარდოს 100 მილიონი იუანით ასიგნებანი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საზღვარგარეთის ქვეყნებთან გაცვლისა და თანამშრომლობის გაფართოების საჭიროებებისათვის.

აქამდე, აღნიშნულმა უწყებამ გამოაცხადა, რომ ქვეყანაში კვლავაც მოიზიდავს უცხოელ მეცნიერებსა და სპეციალისტებს ფუნდამენტური კვლევისა და უახლესი ტექნოლოგიების სახელმწიფო პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობისათვის.

საერთაშორისო თანამშრომლობის გააქტიურებისათვის მიმდინარე მუშაობა ჩინეთის საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი გახდა. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის ძიან ძემინის ინიციატივით უკვე არაერთგზის მოეწყო მეცნიერებისა და ტექნიკის მინისტრთა შეხვედრები აზია-წყნაროკეანის რეგიონის ფარგლებში, რომლებმაც პოზიტიური როლი შეასრულეს მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის სტიმულირებაში.

* * *

„ჟენმინ ჟიბაო" იუწყება, რომ მიმდინარე წლის იანვარსა და ნოემბერში ქვეყნის საერთო ფინანსურმა შემოსავალმა შეადგინა 1 ტრილიონ 191 მილიარდ 277 მილიონი იუანი (1 აშშ დოლარი!8,28 იუანს), და წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გაიზარდა 21,2 პროცენტით. ამავე პერიოდში ფინანსურმა ხარჯებმა შეადგინა 1 ტრილიონ 190 მილიარდ 925 მილიონი იუანი ანუ 20,6 პროცენტით მეტი ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

## ნეთანიაჰუს დაბრუნება



ისრაელის პარლამენტი – ქნესეთი – შეუდგა იმ საკითხის განხილვას, შეძლებს თუ ვერა ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ საყოველთაო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას.

ახლანდელი კანონების მიხედვით, ნეთანიაჰუს ვერ ექნება იმის იმედი, რომ „ლიკუდ" პარტია მას მინისტრთა კაბინეტის მეთაურად დაასახელებს, ვინაიდან ნეთანიაჰუ არ არის ქნესეთის წევრი.

პარლამენტის თანხმობის შემთხვევაში ნეთანიაჰუს მეტოქე „ლიკუდის" ლიდერის პოსტზე გახდება კიდევ ერთი ცნობილი მემარჯვენე პოლიტიკოსი არიელ შარონი.

ისრაელის პოლიტიკური



კლიმატი საგრძნობლად გაცხელდა მას შემდეგ, რაც ყოფილი პრემიერი ბენიამინ ნეთანიაჰუ დაბრუნდა სცენაზე და განაცხადა, რომ ეჰუდ ბარაკს ჩამოართმევს ძალაუფლებას თებერვლის საყოველთაო არჩევნებში.

საერთოდ, ნეთანიაჰუ ისე იქცევა, თითქოს უკვე ჩამოგდებული ჰყავდეს ტახტიდან „ლიკუდის" პარტიის მეთაური არიელ შარონი.

თუ ნეთანიაჰუმ შეძლო შარონის დამარცხება 18 დეკემბრის პირველადს პარტიულ არჩევნებში, იგი, ასე თუ ისე, წააწყდება რთულ ტექნიკურ პრობლემას.

1999 წლის არჩევნების შემდეგ 51 წლის ნეთანიაჰუმ უარი თქვა დეპუტატის მანდატზე და დროებით განუდგა პოლიტიკას. ახლა კი ეჰუდ ბარაკს ომის გაჩაღებას აბრალებს. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა მოწმობს, რომ ნეთანიაჰუ იოლად დაამარცხებს ბარაკს არჩევნებში.

## ევროკავშირი: მწეველები უნდა დააშინო



ევროპარლამენტმა ხმა მისცა ახალ კანონს, რომლის მიხედვითაც, თამბაქოს კომპანიებმა თავიანთ პროდუქციაზე უნდა მოათავსონ თვალსაჩინო აგიტაცია წევის მავნეობის შესახებ.

სიგარეტის კოლოფის ზედაპირის დაახლოებით მესამედი დაეთმობა დაჭიანებული კბილებისა და ჩაშავებული ფილტვების ფოტოსურათებს. ამან, პარლამენტართა აზრით, ხელი უნდა აალებინოს მწეველებს მავნე ჩვევაზე.

მძლავრმა თამბაქოს ლობიმ ერთხელ უკვე დაასამარა სასამართლოში პარლამენტის საკანონმდებლო ინიციატივა, რომელსაც განზრახული ჰქონდა, ევროპის კავშირში აეკრძალა თამბაქოს პროდუქციის რეკლამა და მიწოდება.




მსოფლიოში 1,1 მილიარდი მწეველია. 2025 წლისათვის მათი რაოდენობა 2,6 მილიარდამდე გაიზრდება.

განვითარებულ ქვეყნებში მწეველთა რიცხვი კლებულობს.

ეკონომიკადაქვეითებულ ქვეყნებში ეს ციფრი იზრდება.

მსოფლიოში ყოველი 10 სიკვდილიდან — ერთი თამბაქოს წევის შედეგია.

ევროპარლამენტის წევრი ქეთრინ სტივერი, რომელიც ბრიტანეთის ლეიბორისტულ პარტიაში ჯანდაცვის საკითხებს უძღვება, დარწმუნებულია, რომ მწეველთა უმრავლესობა, უბრალოდ, ვერ იცნობიერებს, თუ რაოდენ დიდ საფრთხეს უქადის მწეველებს თამბაქო, რომელიც მეოთხედიდან ნახევრამდე უმოკლებს მათ სიცოცხლეს.

როდესაც სიგარეტის კოლოფზე თავზარდამცემ ფიზიოლოგიურ დეტალებს წაიკითხავენ, მწეველები მიხვდებიან თავიანთი მავნე ჩვევის დამღუპველობას.

ახალი კანონი სიგარეტის კომპანიებს უკრძალავს კოლოფზე დაბეჭდონ სიტყვები „რბილი", „მსუბუქი", „ნაკლებად ფისშემცველი".

პარლამენტართა აზრით, ეს სიტყვები აცდუნებენ მყიდველებს, რომლებიც ასეთი სახეობის სიგარეტს ამჯობინებენ, როგორც ვითომდა, ნაკლებად მავნეს. თუმცა, მათგან ზუსტად იგივე ვნება ადგება ორგანიზმს.

გარდა ამისა, ახალი კანონი გულისხმობს ერთ ღერ სიგარეტში ფისისებრი ნივთიერებების შემცველობის 12-დან 10 მილიგრამამდე შემცირებას, აგრეთვე, სიგარეტში 1 მილიგრამი ნიკოტინის ზღვარის დაწესებას, წერს დასასრულ **სერგი დუბინი, ბი-ბი-სის** მიმომხილველი.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით უძღვებიან

*არჩილ მანჯგალაძე,*
*კახა ქორიძე.*

---

## — საუკეთესონი —



## სეოკის რჩეულნი

ახლახან საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე დაასახელეს სეოკის 2000 წლის საუკეთესო სპორტსმენები. პირველ ნომრად აღიარეს სიდნეის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი ძალოსნობაში **გიორგი ასანიძე** (სურათზე).

საუკეთესოთა ათეულში კი შევიდნენ (ანბანის მიხედვით): **ემზარ ბედინეიშვილი** (თავისუფალი ჭიდაობა), **გიორგი ვაზაგაშვილი** (ძიუდო), **მუხრან ვახტანგაძე** (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), **ზურაბ ზვიადაური** (ძიუდო), **ელდარ კურტანიძე** (თავისუფალი ჭიდაობა), **გრიგოლ მამრიკიშვილი** (ძიუდო), **ნინო სალუქვაძე** (ტყვიის სროლა), **აკაკი ჩაჩუა** (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), **ვლადიმერ ჭანტურია** (კრივი), **გიორგი წურწუმია** (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა).

## — ჭადრაკი —

## ლოგიკური ანგარიში

გუშინ ნიუ-დელიში მიმდინარე მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატზე ქალთა ფინალური და ვაჟთა ნახევარფინალური ორთაბრძოლების მესამე ტურის პარტიები გაიმართა. დიდ ინტერესს იწვევდა ჩინელების – სიუ ჟუნისა და ქენინგ ქუინის შეხვედრა. მსოფლიო ჩემპიონს ორი პარტიის შემდეგ 1,5 ქულა ჰქონდა და თეთრი ფიგურებით გამარჯვების შემთხვევაში ტიტულს ვადამდე შეინარჩუნებდა, მაგრამ საბოლოოდ ისინი დაზავდნენ. ანგარიში გახდა 2:1 სიუ ჟუნის სასარგებლოდ და ამ უკანასკნელს გეირგვინის მოსაპოვებლად მე-4 პარტიაში ყაიმიც ჰყოფნის.

ნახევარ-ნახევარი ქულა სჭირდებათ ვიშვანათან ანანდს (ინდოეთი) და ალექსეი შიროვსაც (ესპანეთი) ფინალში გასასვლელად. გუშინ მაიკლ ადამსი (ინგლისი) და ანანდი ყაიმზე შეთანხმდნენ. აქაც ანგარიშია 2:1 ინდოელის სასარგებლოდ.

უშედავათო გამოდგა ალექსეი შიროვისა და 17 წლის რუსი მოჭადრაკის ალექსანდრ გრიშჩუკის შეხვედრა. შიროვმა გაიმარჯვა და დაწინაურდა კიდეც.

დღეს მე-4 ტურია.

## „მართვე" სტუმრებს ელის

თბილისის ჭადრაკის სასახლეში 15-24 დეკემბერს საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის თანადგომით, საქართველოს განათლების სამინისტროს სპორტის აღზრდის და სამხედრო მომზადების მთავარი სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა საჭადრაკო სკოლა „მართვე" აწყობს **საჭადრაკო ფესტივალს**, რომლის პროგრამაშია ტურნირები ვაჟთა და ქალთა შორის (რეიტინგ-ტურნირი შვიდის წესებით); 50 წლის ასაკის ზემოთ ბატონებს და ქალბატონებს შორის; მოყვარულთა ასპარეზობა; ტურნირები 16, 14, 12, 10 და 8 წლის ბიჭებსა და გოგონებს შორის.

საქართველოს მოჭადრაკეებთან ერთად ასპარეზობენ აზერბაიჯანის და სომხეთის, შესაძლოა, რუსეთის წარმომადგენლებიც.

**პრიზიორთათვის დაწესებულია ფულადი ჯილდოები და ფასიანი საჩუქრები.**

## — გუშინ —

**გაიმართა საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის ორი მატჩი. გაუწყებთ მათს შედეგებს: თსუ – „ვითა" 97:95, სტუ – სსუ 125:76.**

## — ფეხბურთი —

## ევროპის სტადიონებზე

შვეიცარიაში გაიმართა უეფას თასის გათამაშების მერვედფინალისტთა კენჭისყრა, რომელმაც მეტოქენი ასე დააწყვილა:

„რაიო ვალეკანო" – „ბორდო",
„სლავია" – „კაიზერსლაუტერნი",
„ეინდჰოვენი" – „პარმა",
„ალავესი" – „ინტერი",
„ლივერპული" – „რომა",
„შტუტგარტი" – „სელტა",
აეკ – „ბარსელონა",
„პორტუ" – „ნანტი".

ტურნირი მარტში განახლდება.

**გერმანია.** XVII ტური. „ვოლფსბურგი" – „ფრაიბურგი" 1:2, „კიოლნი" – „ბორუსია" 0:0, „შტუტგარტი" – „აინტრახტი" 4:1, „ბაიერნი" – „ჰამბურგი" 2:1, „ჰერტა" – „კაიზერსლაუტერნი" 2:4, „ჰანზა" – „ვერდერი" 5:2, „კოტბუსი" – „მიუნხენი" 2:3, „უნტერჰახინგი" – „შალკე" 0:2, „ბოხუმი" – „ლევერკუზენი" 3:2.

ბუნდესლიგის ლიდერთა ჯგუფში I წრის შემდეგ ასეთი მდგომარეობაა: „შალკე" – 33, „ლევერკუზენი" – 31, „ბორუსია", „ბაიერნი" – 30-30 ქულა.



**საფრანგეთი.** გამოტოვებული შეხვედრები. „ლიონი" – „ტულუზა" 4:1, „ლილი" – „პარი სენ-ჟერმენი" 2:0, „ბასტია" – „ნანტი" 3:1.

**იტალია.** თასის გათამაშების საპასუხო მეოთხედფინალური რაუნდი. „უდინეზე" – „ლაციო" 4:1 (1:2), „ბრეშია" – „ფიორენტინა" 2:1 (0:6), „ატალანტა" – „მილანი" 2:1 (2:4), „ინტერი" – „პარმა" 1:1 (1:6).

გაუწყებთ ერთი ამხანაგური შეხვედრის შედეგსაც: საბერძნეთი-იუგოსლავია 1:1.

## — მატიანე —



## XX საუკუნის პირველ წელს...

ეს ფოტოსურათი ზუსტად 100 წლის წინათ, XX საუკუნის პირველ წელიწადს, 1900 წელსაა გადაღებული.

მასზე საინტერესო ფალავნები არიან გამოსახულნი: მარცხნიდან პირველი **თედო ლილოელია**, ზოგჯერ მას „დიდლილოელადაც" მოიხსენიებდნენ. გოლიათი „ბუჭუაანთ თედო" 1858 წელს დაიბადა სოფელ ლილოში, გარდაიცვალა 1930 წელს. მისი საჭიდაო გმირობის ამბები კარგად აქვს აღწერილი თავის „მზის მოქცევაში" მწერალ სოლომონ დემურხანაშვილს...

თედოს შემდეგ დგას **კოსტა მაისურაძე** (1891-1918), რომელიც მსხვილ რკინებს იხვევდა მკლავზე. სხვათა შორის, კოსტას დაოსტატებაში თედო ლილოელსაც (ავალიშვილსაც) მიუძღვის წვლილი.

შუაში (ჩოხაში) ზის ლეგენდარული **კულა გლდანელი** (1858-1933). კულა (ვანო) 1900 წლისათვის უკვე ვეტერან მოჭიდავედ ითვლებოდა, თუმცა, 1903 წელსაც წარმატებით გამოვიდა სარბიელზე.

კულას შემდეგ დგას უცნობი მოჭიდავე, ბოლოს კი „ჯიბგირია" დოინჯშემოყრილი. **გიორგი ოდიშვილს** (1869-1948) სწორედ „ჯიბგირს" ეძახდნენ. ამ „დასტის" თავი ფალავანი, რა თქმა უნდა, კულა გლდანელია, რომელსაც XX საუკუნის გარიჟრაჟზე მოჭიდავე ფალავნების დასტა, ნესტორ ესებუას მსგავსად, ხშირად დაჰყავდა სხვადასხვა ცირკში საჭიდაოდ ანუ „გასტროლებზე".

**გაბრიელ ბარჯაძე.**

## — ყოველი მხრიდან —

## დედამიწის გარშემო — ქარის საწინააღმდეგოდ

დედამიწის გარშემო უძნელეს საიალქნო რბოლაში (ქარის საწინააღმდეგოდ) დაიწყო მესამე ეტაპი. იახტსმენებმა ბუენოს აირესიდან ახალი ზელანდიის ველინგტონამდე ძალზე რთულ, შტორმულ ამინდში უნდა იცურონ. უკვე სტარტზე თორმეტი იახტიდან ერთმა – ინგლისურმა „ბიპიმ" სკანდალური მარცხი იწვნია: სტარტიდან რამდენიმე საათით ადრე ეკიპაჟმა ძრავა ვერ აამუშავა. აღმოჩნდა, რომ საწვავის ავზი სავსე იყო არა დიზელით, არამედ რაღაც ძონძებით, ნაგვით, წყლითა და ა. შ.

ბედის ირონიით, ეს შეემთხვა ნავს, რომლის სპონსორია ცნობილი კორპორაცია „ბრიტიშ პეტროლიუმი". ასეთი შეფერხების გამო ეკიპაჟმა გადადო სტარტი. საწვავის ახალი მარაგი თვითმფრინავით სასწრაფოდ ჩამოუტანეს და ერთი დღის დაგვიანებით ნავი გავიდა ატლანტის ოკეანეში, რათა სხვებს დასწეოდა.

22-მეტრიანი ლამაზი იახტების მარშრუტი სამხრეთისკენ, სამში გორნის კონცხისაკენ მიდის, შემდეგ კი – წყნარ ოკეანეში, ახალ ზელანდიამდე. იახტებს ამ ზონაში მუდამ მქროლავი ქარების წინააღმდეგ მოუხდება რბოლა, რაც ყველაზე რთული გამოცდაა ნავებისა და მათი ეკიპაჟებისათვის.

საქმე იმაშია, რომ იალქნიანი ხომალდების უმრავლესობა ამ რაიონში დედამიწას დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ შემოუვლის ზურგის ქარის მეშვეობით და მხოლოდ თავზეხელაღებულნი თუ ბედავენ შემხვედრ ქართან ბრძოლას.

ორი ეტაპი უკანაა. ნავებმა სტარტი 10 სექტემბერს აიღეს ინგლისის პორტ საუთჰემპტონში, ჩავიდნენ ამერიკის ბოსტონში, შემდეგ გადაკვეთეს კარიბის ზღვა, ეკვატორი და სამხრეთ ამერიკაში, არგენტინის დედაქალაქის ყურეში შევიდნენ. მესამე ეტაპის წინ საერთო ჩათვლაში ლიდერობდა ინგლისური იახტა „ელ ჯი ფლატრონი", რომელიც თხუთმეტი საათით უსწრებდა მდევრებს.

ეს უძნელესი რბოლა მომავალი საუკუნის პირველ წელს, ივნისში საუთჰემპტონში დამთავრდება.



## სკანდინავიელებს ხელიდან გამოსტაცეს ლიდერობა

რუმინეთში მიმდინარეობს ევროპის ჩემპიონატი ხელბურთში ქალთა შორის. წინა სამ ტურნირში სკანდინაველი სპორტსმენი ქალები ნორვეგიელები და დანიელები ლიდერობდნენ. ახლა კი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების – რუსეთის, უკრაინის, უნგრეთისა და რუმინეთის წარმომადგენლები გავიდნენ ნახევარფინალში.

ტურნირში ორ ჯგუფად დაყოფილი 12 ნაკრები მონაწილეობს. ორი საუკეთესო გუნდი გადიოდა ნახევარფინალში.

ახლა ერთმანეთს დაუპირისპირდებიან უკრაინა და რუსეთი, აგრეთვე, უნგრეთი და რუმინეთი.

უნდა ითქვას, რომ უნგრეთის გუნდი ერთ-ერთი უძლიერესია მსოფლიოში. სიდნეიში ოლიმპიურ თამაშებზე ფინალში დანიელებთან დამარცხდა. ახლა კი ისინი ითვლებიან ფავორიტებად.

ნახევარფინალური მატჩები შაბათს გაიმართება.

## კარტინგის ვარსკვლავი „ფორმულა–1"-ზე ოცნებობს

ლუის ჰამილტონი კარტინგის ვარსკვლავია, 15 წლის ყმაწვილი ოცნებობს, გავიდეს „ფორმულა-1"-ის ასპარეზზე. 2000 წელს მან მოასწრო კარტინგში ევროპის ჩემპიონობის მოპოვება, რაც მისი ოცნების განსახორციელებისთვის ურიგო შანსი როდია.



ნორჩი სპორტსმენი ფიქრობს, რომ ჯერ „ფორმულა-ფორდი" ან „ფორმულა-რენო" დაძლიოს, შემდეგ დადგება „ფორმულა-3"-სა და „ფორმულა-300"-ის ჯერი, რის შემდეგ უკვე შეიძლება პლანეტის მთავარ ავტორბოლაში – „ფორმულა-1"-ში მოხვედრა.

**სპორტის რედაქცია.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 326. პარასკევი, 15 დეკემბერი, 2000 წელი.

## ალბომში

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ქართველ მეცნიერთა წარმომადგენლები საშვიდნოემბრო დღესასწაულზე. თბილისი, 1962 წელი.

*რედაქცია გთხოვთ, მობრძანდეთ დაბეჭდილი სურათების ორიგინალებისათვის. დაკარგვის შემთხვევაში ჩვენ პასუხს აღარ ვაგებთ.*

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

საქართველოში საერთაშორისო ენერგეტიკული კომპანია „იცერას" კოლექტივი გამოხატავს რა ღრმეს პატივისცემას ქვეყნის ღირსეული შვილის, კაცური კაცის, ბატონი **ჯანო ბაგრატიონის** მიმართ, გულითადად ულოცავს მას ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად ხელმეორედ არჩევას, უსურვებს ბაგრატიონთა გვარისათვის ჩვეულ ჯანმრთელობას და დასახული მიზნების განხორციელებას.

## ღიმილის დოზა



— მესამე დღეა, მუშაობა მეზარება, რას უნდა ნიშნავდეს ეს?

— ალბათ, იმას, რომ დღეს ოთხშაბათია...

* * *

კაფეს კლიენტი ოფიციანტს მიმართავს:

— რატომ არ არის თქვენი ყავა ტკბილი?

— უთუოდ იმიტომ, რომ თქვენ შაქარს სხვა მიმართულებით ურევდით.

* * *

ორი ინგლისელი მატარებლით მიემგზავრება. ერთი მათგანი დროდადრო დგება, კოლოფიდან ორი თითით იღებს ფხვნილს, აღებს ფანჯარას და ყრის.

მეორემ უყურა, უყურა, ვერ მოითმინა და ჰკითხა:

— სერ, ბოდიშს გიხდით, მაგრამ რას აკეთებთ?

— ფხვნილს ვყრი ფანჯარაში.

— ეხედავ, სერ! რა ფხვნილია?

— გაუმჯობესებული „ტიპ-ტოპი", სპობს ლომებს და ვეფხვებს.

— კი, მაგრამ, ინგლისში ლომები და ვეფხვები რომ არ არის?

— ვიცი. მაგრამ არც ეს ფხვნილია ნამდვილი...

* * *

ქალმა გაზეთში განცხადება გამოაქვეყნა: „ახალგაზრდა ქალს სურს, გაიცნოს მამაკაცი სერიოზული ურთიერთობისათვის".

დარეკა ერთმა კაცმა და ეკითხება:

— მითხარით, გეთაყვა, რას ნიშნავს „სერიოზული ურთიერთობები"?

მცირე პაუზის შემდეგ ქალმა უპასუხა:

— ასე, კვირაში ერთხელ მაინც.

## ჩვენი მკითხველების საყურადღებოდ!

# ახალი ათასწლეული — ერთად!

**2001 წლიდან „საქართველოს რესპუბლიკაზე" ხელმოწერა იაფდება!**

**ძვირფასო მკითხველო!** ვინც სისტემატურად კითხულობს საქართველოს დღევანდელი, წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრების მემატიანეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას", დაგვეთანხმება, რომ ის ყველაზე სანდო, უტყუარ, პრინციპულ, ქვეყნის გადარჩენისთვის, ერთობისთვის, გამთლიანებისთვის, ურთიერთთანადგომისთვის გამიზნულ ინფორმაციას ფლობს.

ჩვენი გაზეთი ყველა რანგის ხელმძღვანელის (თბილისშიც და საქართველოს მხარეებშიც) სამაგიდო გამოცემაა. აქ და სწორედ აქ იბეჭდება სახელმწიფოებრივი, მართლაც სახელმძღვანელო დოკუმენტები. და მარტო ეს? „საქართველოს რესპუბლიკა" ყოველმხრივ დააკმაყოფილებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის, ეკონომიკის, სამართლის, კულტურის, ხელოვნების, სოციალური ყოფის, ჯანმრთელობის, სპორტის პრობლემებით დაინტერესებულ ადამიანებს.

„საქართველოს რესპუბლიკა" მხოლოდ სწორ, მრავალმხრივ შემოწმებულ ინფორმაციას აწვდის მკითხველს, რათა ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას შეუწყოს ხელი.

ჩვენო პირუთვნელო მკითხველებო, ვიცით, რომ ფინანსურად მალიან გიჭირთ, მაგრამ უამგაზეთოდ კიდევ უფრო გაგიჭირდებათ! ამიტომაც შეგახსენებთ, რომ ნამდვილად ღირს „საქართველოს რესპუბლიკის" გამოწერა და მის პროფესიონალ კოლექტივთან სისტემატური თანამშრომლობა.

მით უფრო, რომ ჩვენ შესაძლებლობის მაქსიმუმი გავაკეთეთ და ახალი, 2001 წლიდან საგრძნობლად შევამცირეთ ხელმოწერის თანხა.

„საქართველოს რესპუბლიკა" ყოველდღიურად გამოდის და ერთი თვით ღირს 13 ლარი, სამი თვით — 39 ლარი, 6 თვით — 78 ლარი. ასე რომ, ვინც ექვსი თვით გამოიწერს გაზეთს, გასულ წლებთან შედარებით, 12 ლარით ნაკლები დაუჯდება (სამი თვით — 6 ლარით ნაკლები და ა. შ.). ჩვენი ინდექსია — 66434.

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ „საქართველოს რესპუბლიკა"**

სარედაქციო კოლეგია.

## გვწერენ

# ნუთუ, სინდისი არავის აწუხებს?

ძვირფასო რედაქცია!

ამ ნახევარი წლის წინათ, სახლში, სადაც მე ვცხოვრობ (დიღმის მასივი, მე-3 კვ, მე-2 კორპ, ბინა №19) დაიწყეს ელექტრომრიცხველების გარეთ გამოტანა. იმ დღეს, როცა სადენი ჩემი ბინის კართან მოიყვანეს, მეც და მეუღლეც სამსახურში გახლდით. საღამოს 6 საათისთვის ელექტრიკოსები კარის მეზობელთან ამთავრებდნენ სამუშაოს. ჩემს ბინაში ხაზის შემოყვანა მათ მეორე დღისთვის გადადეს, თუმცა, მას შემდეგ არავინ გამოჩენილა! ჩემს მდგომარეობაში აღმოჩნდა დაახლოებით 10 ოჯახი. რამდენიმე დღის შემდეგ „აი-ი-ეს თელასს" დავუკავშირდი. შემპირდნენ, უახლოეს დღეებში დავამთავრებთო. კვლავ არავინ გამოჩენილა!

22 სექტემბრამდე ელექტროენერგიის საფასურს ვიხდიდი ძველი მრიცხველის მიხედვით. 22 სექტემბერს ძველი კვება გათიშეს, ისე რომ არავინ გაუფრთხილებიათ და არც ახალი ხაზი შემოუყვანიათ.

მეზობლებმა, ვინც როგორ შეძლო (უმეტესობამ ტექნიკური წესების დარღვევით), ისე შეიყვანეს დენი ბინაში. ხუთჯერ (!) მივმართე „ეი-ი-ეს თელასს", მაგრამ უშედეგოდ. პირველი განცხადება შევიტანე „თელასის" დიღმის ცენტრში 2000 წლის 4 ოქტომბერს. რეგისტრაციის ნომერი მათივე რჩევით არ ავიღე, დამამშვიდეს, რომ რამდენიმე დღეში სამუშაოს დაამთავრებდნენ. რა თქმა უნდა, ამჯერადაც მომატყუეს!

მეორე განცხადება იქვე შევიტანე 13 ოქტომბერს (რეგ. №142). მოვითხოვე ცენტრის უფროსთან შესვლა, თუმცა, მასთან ვერ შევაღწიე და მიმიღო მოადგილემ. ჩემი თანდასწრებით იგი შეეცადა მობილური ტელეფონით ვიღაცას დაკავშირებოდა, მაგრამ ამაოდ!

მესამე განცხადება ვაახლე 20 ოქტომბერს (რეგ. №207). ახლაღა მითხრეს, რომ მათ ეს საქმე არ ეხებათ და ორგანიზაცია „ბლექ ენდ ვიჩის" (წერეთლის ქ. №126) მიმართეთო.

მივაკითხე ამ ორგანიზაციას, იქ მითხრეს, რომ მათ ეს ობიექტი უკვე ჩააბარეს „ეი-ი-ეს თელასს" და ახლა მათ მოჰკითხეთო.

„ეი-ი-ეს თელასში" ახალი განცხადებით მივედი 8 ნოემბერს (რეგ. №1-49). გამოუძახეს დიღმის ცენტრის უფროსს რამაზ ჯალიაშვილს... ამიხსნეს, რომ სამუშაოებს ვერ ასრულებენ საბურღის („დრელის") უქონლობის გამო!

ცოტა ხანს გაეწუმდით. რას იზამ, „დრელი" ვერ უშოვიათ!

მეხუთე განცხადებით ისევ „ეი-ი-ეს თელასს" მივმართე 27 ნოემბერს (რეგ. №1-64). ახლა უკვე ვითხოვდი, რომ წერილობით ეცნობებინათ, ბოლოს და ბოლოს, როდის მოგვხედავდნენ. დეკემბერიც მალე მიილევა. 4 ოქტომბრიდან დღემდე ჩემს 5 განცხადებაზე არათუ ვინმე ადამიანურად გამომეხმაურა, უბრალოდ, ყურიც არავის შეუბერტყია. ორთვენახევარზე მეტია ბინაში სინათლე არა გვაქვს, მხოლოდ ლამპით და ნავთქურით ვწვალობთ!

იქნებ მირჩიოთ, ვიღას მივმართო და რა ვიღონო?! ისევ თქვენი გაზეთის იმედი მაქვს, ალბათ, ჩემი რეპლიკის გამოქვეყნების შემდეგ ვიღაცას სინდისი შეაწუხებს და გამოგვეხმაურება.

**ვახტანგ დოხნაძე,**
გამომცემლობა „სამშობლოს" მთავარი ტექნოლოგი.

## სიტუაცია

# რკინიგზა ზარალდება

ელექტროენერგიის არასტაბილური მოწოდება, მოულოდნელი გამორთვები მძიმე მდგომარეობაში აყენებს საქართველოს რკინიგზას. მარტო ოქტომბერში სამგზავრო მატარებლების გაჩერებით გამოწვეულმა ზარალმა 2885 ლარი, ხოლო სატვირთო მატარებლებისა – 167058 ლარი შეადგინა. არანაკლებ ზარალდება რკინიგზის ის საწარმო-დაწესებულებანი, რომლებიც ტვირთის გადაზიდვაში მონაწილეობენ. ნოემბერში ელექტროენერგია გამოირთო 830 საათის ხანგრძლივობით, რის გამოც ზარალმა შეადგინა 22578,3 ლარი. ცხრა თვის მანძილზე ელექტროენერგია გამორთული იყო 4217 საათით, შესაბამისად, ზარალმა 83727 ლარს მიაღწია.

ამას ემატება რკინიგზის გადაკეტვა მოსახლეობის საპროტესტო აქციების დროს. მარტო 2 დეკემბერს სადგურ ზაჰესი-მცხეთის გადასარბენზე გზის გადაკეტვის შედეგად გაჩერდა 7 სამგზავრო და ერთი სატვირთო მატარებელი. ზარალმა შეადგინა 1362,59 ლარი.

ამასთან ერთად, არსებობს დაუფიქსირებელი ზარალიც – რკინიგზა მგზავრთა ნდობას კარგავს. თუ მდგომარეობა სასწრაფოდ არ გამოსწორდა, რკინიგზას ძალიან გაუჭირდება საკუთარი მოვალეობის შესრულება.

**საქართველოს რკინიგზის საინფორმაციო სამსახური.**

## გახსენება

# ოთარ ნარმანია



რა სწრაფად გაეიდა ცრემლიანი და ტკივილიანი 40 დღე, არ შეგვიძლია ამ უბედურებასთან შეგუება, როგორ დავიჯერო, რომ აღარა ხარ ასეთი ლამაზი, ამაყი, მოსიყვარულე და სულგრძელი.

გამოუთქმელია ის მწუხარება და მოუშუშებელი ის ტკივილი, რასაც შენი უეცარი, უდროო სიკვდილით განვიცდით მთელი ოჯახი და ნათესაობა: სასოწარკვეთილი უბედური დედაშენი, საბოლოოდ გამტყდარი და დაბერებული მამაშენი, ამ საშინელებისგან განადგურებული შენი და-ძმა ადგილს ვერ პოულობენ ოჯახში უშენოდ და შენს სამუდამო განსასვენებელს ევლებიან თავს... შენი მეგობრების სახიდან კი თითქოს სამუდამოდ გამქრალა ღიმილი. დანაღვლიანებულია შენი პატარა ოთიკო.

ცრემლები გვდის ღაპაღუპით და გვიმძიმს შენთვის დაბადების დღის მოლოცვა – 19 დეკემბერი ხომ შენი დაბადების დღეა.

ძალიან გვიყვარხარ და უსაზღვროდ გვენატრები, გვეჩვენება, რომ შენ ჩვენს მონატრებას გრძნობ და ჩვენთან ხარ.

შენი სიყვარულით და მოფერებით განებივრებულები შენით ვამაყობდით, მაგრამ ამ ზანცდის უფლება წაგვართვა განგებამ შენი უღვთო სიკვდილით, შენ ჩვენი ნორჩი გულების პირველი და დაუვიწყარი დიდი ტკივილი ხარ, ჩვენო საყვარელო **ოთარი** ბიძია.

ამქვეყნად არსებობს რაღაც აუხსნელი, რაც მარტო განგებამ იცის...

ის, ვინც ძალიან გიყვარდა, ყოველთვის აგინთებს სანთლებს წმინდა ტაძარში, რათა ნათელი არ მოგაკლდეს მართალ სულთა სასუფეველში.

ნათელში იყავი, ჩვენო საყვარელო, დაუვიწყარო ოთარი ბიძია.

**თამრიკო ჩიხლაძე, მაია და გია ნარმანიები, ნინო და ჯაბა ჯოლოხავები.**



მეუღლე ცისანა ებრალიძე, შვილი ლევან რაზმაძე, შვილიშვილი გიორგი, ვერა ებრალიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ბორის შალვას ძე რაზმაძე

პანაშვიდი 14,15 XII 4 სთ. გამოსვენება 16 XII, 2 სთ. ქობულეთის ქ. 3/15, მე-5 სადარბაზო.

---

უახლოესი მეგობრები: ოთარ კერესელიძე, ლერმან ლეკიშვილი, ზურაბ მენაბდე, ჯიმი ქვარცხავა, თემო მუხაძე, ნუგზარ ბრეგვაძე, ჯემალ სხირტლაძე, ანზორ ფეიქრიშვილი, გია ბაქრაძე, გელა გელაშვილი, თემო სიხარულიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ბორის რაზმაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

თბილისის მე-15 საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სკოლის სამკურნალო ფიზკულტურის პედაგოგი

მზია თოფურიძე-ლისოვეცი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს შსს სატრანსპორტო პოლიციის დეპარტამენტის პირადი შემადგენლობა ღრმა მწუხარებას გამოთქვამს შსს მცხეთა-მთიანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის, პოლიციის პოლკოვნიკის

ბონდო ბოლქვაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

---

ნიკო ფიროსმანაშვილის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე მუზეუმის დირექტორის მოადგილე (სამეურნეო დარგში)

ოთარ არსენის ძე პაპაჩაშვილი

გადასვენება 15 XII, 10 სთ. წერეთლის პროსპექტი, VII კორპუსი, მე-4 სად. დაკრძალვა 16 XII, 2 სთ.; დედოფლისწყაროს რაიონის სოფ. ზემო მაჩხაანში.

**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.**

## სანთელი

### ირაკლი ფირცხალაიშვილი გიორგი შაკაია.



დღე არ გავა ისე, რაიმე საშინელება არ შევიტყოთ. უზომოდ მოგვიმრავლდა უზნეობა, განუკითხაობა, კაცთა კვლა. თვისტომის სიცოცხლე არაფრად გვიღირს. ერთმანეთს უმოწყალოდ ვიმეტებთ. ვინ იფიქრებდა, რომ 10 დეკემბერი ჯანღონითა და სიკეთის სავსე ოცდაოთხი წლის ყმაწვილის **ირაკლი ფირცხალაიშვილისთვის** და მის მეგობარ **გიორგი შაკაიასთვის** სიცოცხლის ბოლო დღე იქნებოდა, რომ ამ დღეს ისინი უკანასკნელად იხილავდნენ მზის ნათელს... ირაკლი მეტად ვეღარ მოეფერებოდა თავის ოთხი წლის გოგონას, პატარა ქეთას.

მეტი რა უნდა მოესწრო ასე ახალგაზრდა ირაკლის – 15 წლისა სტუდენტი გახდა, ისწავლა, ეკონომისტის პროფესიას დაეუფლა, ოჯახს მოეკიდა, ტოლ-ამხანაგებში გამორჩეული იყო, სამომავლოდ ბევრი რამის გაკეთებას აპირებდა, მაგრამ, არაკაცის ხელით გაიწირა, სიჭაბუკეშივე დაესვა წერტილი მის ოცნებებს. რამდენი ადამიანი უნდა გაამწაროს ამ უღვთო სიკვდილმა? ვინ უნდა ანუგეშოს ირაკლი ფირცხალაიშვილის გულმკვდარი მშობლები, გაუბედურებული მეუღლე ნინიკო, ნათესავები, მეგობრები. გიორგი შაკაიაც დედის უკანასკნელი იმედი იყო... ვინც ასეთ ახალგაზრდებს ესვრის ტყვიას, იგი თვით საქართველოს მომავალს იმეტებს სასიკვდილოდ. როდემდე უნდა ვუცქიროთ გულხელდაკრეფილებმა ამ შემზარავ განუკითხაობას?

10 დეკემბერს თუ ირაკლი ფირცხალაიშვილს და გიორგი შაკაიას მოუსწრაფეს სიცოცხლე, ხვალ და ზეგ მათ სხვა თანატოლებსაც გაიმეტებენ. როდემდე უნდა იღვრებოდეს ქართველისგან ქართველის სისხლი? როდისღა მოვეგებით გონს? რაღაც ხომ უნდა გვასწავლოს ამდენმა მწუხარებამ, უბედურებამ? ისევ ღმერთი, სასწაული თუ უშველის ასეთ დღეში ჩავარდნილ საქართველოს.

ღმერთო, შენ გვეაკმარე!

**ნათესავები და მეგობრები.**

ქ. ვ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი საპრივატიზაციო კომისიის იმ პირთ, ვინც 1999 წლის 24 ოქტომბრისათვის მუშაობდა ინსტიტუტში, აცნობებს, რომ საქართველოს პრეზიდენტის ე. შევარდნაძის 2000 წლის 10 დეკემბრის №1305 განკარგულებით, ინსტიტუტის კოლექტივს უფლება მიეცა, პირდაპირი წესით გამოისყიდოს ინსტიტუტის ქონება.

ვაქვეყნებთ რა საქართველოს პრეზიდენტის ზემოაღნიშნულ განკარგულებას, დაინტერესებულ პირთ განვუმარტავთ, რომ მათ უფლება აქვთ, მიიღონ პრივატიზაციაში მონაწილეობა ინსტიტუტის შრომითი კოლექტივის 2000 წლის 14 ივლისის კრების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. დრო შეზღუდულია. (15.12.2000-დან 15.01.20001-მდე).

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ მოგვმართოთ: ქ. თბილისი, კოსტავას 38. კ. ვ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტის საპრივატიზაციო კომისია ტ: 93-23-02.

**საპრივატიზაციო კომისია.**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 11 დეკემბრის №250/ო ბრძანების შესაბამისად

დიპლომისშემდგომი განათლების სახელმწიფო სამედიცინო აკადემია აცხადებს მიღებას დარგობრივ რეზიდენტურაში.

საბუთები მიიღება 2000 წლის 14 დეკემბრიდან 2001 წლის 4 იანვრამდე ყოველდღე, კვირის გარდა, 11 სთ-დან 18 სთ-მდე.

გამოცდები – 2001 წლის 5 იანვრიდან.

**მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 29. ტელ.: 23-42-06.**

## ტელევიზია

### პარასკევი, 15 დეკემბერი

**1** 08.00 ალიონი 09.30 ტელესერიალი "**ძილის წინ**" 09.45, 20.50 სერიალი "**ქამელეონი**" 10.20 მე ქალი ვარ 10.50 თბილისის დროთ 11.10 სერიალი "**სენ-ტროპე**" 12.00, 20.00, 23.10 მოამბე 12.10 რამპა 12.15 სერიალი "**ფსიქფაქტორი**" 12.35 ეძიე ქალი 13.00 ნაშუადღევი 14.05 ვიდეოფილმი "**ჩემი გოგლა**" 14.40 ჯანსაღი მომავლისათვის 15.00 **კალათბურთი. "ბასკო"** (ბთ.) - "**აზოტი**" (რუსთავი) (შესვენებისას მოამბე) 16.25 სახსოვარი. გ. ტაბიძე 17.00 50/50 17.50 მუსიკალური პაუზა 18.00 ვესტნიკი 18.15 სერიალი "**სენ-ტროპე**" 19.05, 02.05 ვიდეოპატრული-02 19.15 მაესტრო 19.25 ოვერტაიმი 19.40 ბასტი-ბუბუ 21.40 "XX საუკუნე" 22.00 "მოსკოვი-თბილისი" 22.20 მრავალსახეობა 22.40 ტელესერიალი "**ფსიქფაქტორი**" 23.50 ტელესერიალი "**ძილის წინ**" 00.15 გმირი 00.35 მხ.ფილმი "**ცოლქმრული ღალატის ტექნიკა**"

**2** 19.00 ინფორმაცია 19.35 იყო და არა იყო რა 20.00 360 გრადუსი 20.15 დოკ. ფილმი 21.10 ლიტერატურული ესკიზები 21.30 აფხაზეთის ტელევიზია 22.00 ინფორმაცია 22.15 ანტრე 22.55 ჰიტ-პარადი 23.05 მხ.ფ. "**უკან მოუხედავად**"

**რუსთავი 2** 07.00 მუსიკა. 07.30 ტექს ავერი, რობინ ჰუდი 08.00, 12.00, 15.00 კურიერი 08.55 სერიალი "**ბლანკოს ქვრივი**" 09.50 სერიალი "**ნიკიტა**" 10.40 სერიალი "**ჯუნგლების წიგნი**" 11.10 სერიალი "**სამანტა**" 12.15 მულტსერიალი 13.30 მხ. ფილმი 15.15 ევროპული ფეხბურთის მიმოხილვა 18.00, 21.00, 23.00, 02.50 კურიერი 18.30 "**ჯუნგლების წიგნი**" 19.00 დოკ. ფილმი "მშვიდობით მეოცე საუკუნევ" 19.50 სერიალი "**სამანტა**" 21.50 ტელევიქტორინა "ვის უნდა ოცი ათასი" 00.05 მხ.ფ. "**ნიჭიერი მისტერ რიპლი**" რეჟ. ენტონი მიგელა. მთ. როლებში: მეტ დემონი, გვინეტ პელტროუ. 01.50 სიმფსონები 02.20 სერიალი "**წითელი ფეხსაცმლის დღიურები**" 03.20 კლასიკა

**იბერია** 12.00 მხ.ფ. "**მიზერი**". 13.50, 15.20, 17.15, 21.00 მუსიკა 14.00 სერიალი "**ჩრდილოეთი და სამხრეთი**" 15.20 მხ.ფილმი 17.15, 21.00 მუსიკა 17.00, 19.00, 20.30, 00.00 "დღეს" 19.20 სტუდია "სპექტრი" 21.00 "ვარსკვლავები". 22.00 მხ.ფ. "**დაკრძალვა**" 00.20 გადაცემა "რატომ?"

**ევრიკა** 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი" 10.15 მხ.ფ. "**შერკინება**" 11.45 მუსიკალური კოლაჟი 12.15 პროგრამა "სალონი" 14.00 მხ.ფ. "**მწვანე მილა**" 17.00 ხმა გამარჯვებული მორწმუნისა 17.30 მულტფილმი 18.30 მხ.ფ. "**ტელეფონი დაკავებულია**" 19.00 სალონი 21.30 კრიმინალი, პოლიცია, საზოგადოება 22.30 დოკ. ფილმი 23.00 მხ.ფილმი

**IST** 08.00 "ტონიკი" 10.00 "ბისი".მხ.ფ. "**გზა სამოთხისკენ**" 12.00, 17.25, 19.15, 21.40, 23.45 კლიპ-მიქსი 14.00 კონცერტი 16.30 "სამყარო" დოკ. ფილმი 17.00 "მადიანი" 17.40 "Co.მედია" მხ.ფ. "**სამთა ტანგო**" 19.30 "დღის ქრონიკა" 20.00 პროგრამა "F" მხ.ფ. "**განხეთქილება**". მთ. როლში კიფერ საზერლენდი. 22.00 "ბრავო". მხ.ფ. "**მოწმეების დაცვა**". მთ. როლში ტომ საიზმორი. 00.00 "ღამურა" მხ.ფ. "**ბოროტი გული**" 01.40 ნონ-სტოპი

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-98"

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, ზურაბ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, გიორგი ლალიაშვილი, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბექა ჭედია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები – „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
ბონდო მძინარაშვილი.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა – PRESS-98@CAUCASUS.NET

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსში, ხომარაულის 29.